პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—38) მდივნის 10—58) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%—ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- გარდაიცვალა საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ციურუპა.
- ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ც. კ. პროტესტი ბელა-კუნის დაპატიმრების გამო.
- განახლდა პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება.
- საბჭოთა ნოტის გამოძახილი პოლონეთში.
- ზეიპელის განცხადება ბელა-კუნის დაპატიმრების შესახებ.
- ჩეხო-სლოვაკიის გაფიცულ მემაღაროეთა გამარჯვება.
- ძალაუფლებისათვის ბრძოლა რუმინეთში.
- რუმინელ პრინც კაროლის გაძევება ინგლისიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 9 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 105 (2148)

12 მაისს, საღამოს 6 საათზე,
სასახლის წითელ დარბაზში
გაიხსნება
საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის
მორიგი პლენუმი
საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი

ოთხშაბათს, მაისის 9-ს საღამოს 7 საათზე
შედგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის **მორიგი სხდომა**
ს. ს. ცაკის სამდივნო

რა გამოირკვა?

როცა შახტის ეკონომიურ კონტრრევოლიუციასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნენ მისი მონაწილე არამზადები, ბურჟუაზიულმა და სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ, ერთი განგაში ასტეხა. მაგალითად, გერმანელ მენშევიკების ცენტრალური ორგანო „ფორვერტს“-ი, რომელიც ჩვეულებრივ ყოველგვარ საბაბს ეძებს ანტისაბჭოთა კამპანიის საწარმოებლად, წერდა, რომ შახტის ისტორია თითქო ხელოვნურად ყოფილიყოს შექმნილი სამეურნეო მშენებლობის დარგში საბჭოთა ხელისუფლების „უუნარიანობის“ გასამართლებლად და ამისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად „პატიოსან“ სპეციალისტებისათვის, რომლებიც ვითომდა სრულიად უსაფუძვლოდ იქნენ დაჭერილნი. ამასთან, გაზეთი უცხოეთის კაპიტალისტებს და სპეციალისტებს მოუწოდებდა საბჭოთა კავშირისათვის ბოიკოტი გამოეცხადებიათ. გერმანიის მთავრობა კი გამოექომაგა იმ რამოდენიმე გერმანელ ინჟინერს, რომელნიც გარეული არიან შახტის საქმეში, და მათი დაპატიმრება საბჭოთა სათანადო ორგანოების მიერ მან გამოიყენა ჩვენთან სავაჭრო მოლაპარაკების შესაწყვეტად.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსები საერთოდ უკვე იცნობენ შახტის კონტრ-რევოლიუციის შინაარსს, ხოლო ის მასალა, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, მათთვის უფრო ნათელს ხდის იმ დამანგრეველ მუშაობას, რომელსაც პროლეტარიატის დიქტატურის შინაური და გარეშე მტრები ეწევიან.

შახტის მაღაროების ყოფ. მესაკუთრეები იმ თავიდანვე შეუდგენ კონტრრევოლიუციური ორგანიზაციის ფარულ ქსელის მოწყობას. მათთან სამსახურში მყოფ ინჟინრების ნაწილი, თავის პატრონების დირექტივების მიხედვით, თვალთმაქცურად აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას და მაღაროებში დაბრუნების სურვილს. საბჭოთა მთავრობის ნდობას ეს ვაჟბატონები იყენებენ ჩვენი მშენებლობისათვის ძირის გამოსათხრელად და საბოლოო ანგარიშით შრომის რესპუბლიკის დასამხობად. მაღაროების ბუდობების ხელუხლებელი შენარჩუნება მათ ყოფ. მეპატრონეთათვის, თუ მათ ბედი გაუღიმებდა და საბჭოთა ხელისუფლება „მალე“ დაემხობოდა. თუ ეს არ მოხდებოდა,—მუშაობის ისე წარმოება, რომ საბჭოთა ხელისუფლებას გამოეტანა დასკვნა, მაღაროების ზარალიანობის შესახებ მოეხდინა მათი დენაციონალიზაცია და ამა თუ იმ სახით, (იჯარა, კონცესია) გადაეცა ყოფ. მესაკუთრეებისათვის, მაღაროების მუშაობის შემცირება და მათი მოწყობილობის დანგრევა, რათა შესუსტებულიყო საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარი ომის შემთხვევაში, და სხვ.—აი საითკენ იყო მიმართული შახტის „გმირების“ მთელი „მოღვაწეობა“.

საგულისხმო ამასთან ის არის, რომ ამ საქმეში მონაწილეობას იღებდენ ზოგიერთი უცხოელ სახელმწიფოთა ოფიციალური ორგანოები და უცხოელი ფირმები, კერძოდ გერმანიის ზოგიერთი ფირმები, ისე როგორც ზოგიერთი გერმანელი ინჟინერები, რომლებიც შახტის მაღაროებში მუშაობდენ. მათ ამ შემთხვევაში ორი მოტივი ამოძრავებდათ. პირველი—ანგარებითი მოტივი: ისინი ჩვენი მაღაროებისათვის ამაღებდენ სრულიად უვარგის მოწყობილობას; ამით ჯერ ერთი, რომ უშუალოდ დიდ მოგებას ნახულობდენ და შემდეგ—ახალი შეკვეთების მიღების იმედი ჰქონდათ. მეორე მოტივი ასე ჩამოაყალიბა გერმანელმა ინჟინერმა ზეებოლდმა: „უცხოელები ხელს ვერ შეუწყობენ ბოლშევიკების სამეურნეო მშენებლობას, პირიქით, ისინი შეაფერხებენ ამ მშენებლობას ძველი უვარგისი მანქანების მიწოდებით“. მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს პოლიტიკურ მოსაზრებასთან—სოციალისტურ მშენებლობის და პროლეტარიატის დიქტატურის დანგრევის ცდასთან. ამ მიზნების მისაღწევად, როგორც მაღაროების ყოფ. პატრონები, ისე ზოგიერთი გერმანული ფირმები არაფრის წინაშე არ ჩერდებოდენ, როგორც დიდ თანხების გაღება კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციის სასარგებლოდ, სათანადო პირების მოქრთამვა, მაღაროების და მოწყობილობის განზრახ გაფუჭება და სხვ.

გამოძიების მასალებით, თვით ბოროტმოქმედთა ჩვენებით ყველაფერი ეს უდაოდ დადასტურებულია. ყველაფერ ამის შემდეგ უფრო გარკვეული ხდება „ფორვერტს“-ის კამპანიის და გერმანიის მთავრობის მოქმედების ხასიათი შახტის კონტრრევოლიუციასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა უკვე გამოიტანეს შესაფერი დასკვნები შახტის ისტორიიდან. ბრძოლის გაძლიერება ყველა ბოროტ ელემენტებთან, რომელნიც ცდილობენ მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა და სოციალისტური მშენებლობისათვის ლახვარის ჩაცემას, ფხიზელი და სისტემატიური კონტროლი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის შეუჩერებელი განვითარება, ფხიზელი და დაკვირვებული დამოკიდებულება უცხოეთის ფირმებისადმი, მასებსა და პატიოსან ტექნიკურ ძალებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, სოციალისტურ მშენებლობის გაჯანსაღება—ასეთია მასების პასუხი შახტის შეთქმულებაზე.

ამავე დროს გამოქვეყნებული მასალები უფრო აახელს თვალს მშრომელ მუშათა კლასს ჩვენი მტრების ანტისაბჭოთა მუშაობაზე და დარაზმავს მას ერთად ერთი პროლეტარულ სახელმწიფოს დასაცავად.

თეთრგვარდიელ ყაჩაღებმა და მათმა მფარველებმა პასუხი უნდა აგონ

ბოგომოლოვის ნოტა, მიმართული პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ზალესკისადმი, და პოლონეთიდან მიღებული ცნობები აშკარავებენ იმ გარემოებას, რომელშიაც 4 მაისს ვარშავაში კინაღამ მოხდა საშინელი ბოროტმოქმედება, რაც საფრთხეში ჩააგდებდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი ურთიერთობას. უშედეგო თავდასხმის გამორკვეული პირობები იძლევიან უფრო უარეს სურათს, ვინემ ეს შეგვეძლო წარმოგვედგინა.

პირველ ყოვლისა, გამოირკვა, რომ თეთრგვარდიელ ტერორისტ იური ვოიცეხოვსკის უნდოდა მოეკლა ბოგომოლოვი, ე. ი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვარშავაში. ამგვარათ, თავდასხმის პროვოკაციული ხასიათი აშკარაა.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ვოიცეხოვსკი მონაწილეობას იღებდა ვოიკოვის საზიზღარ მკვლელობის მოწყობაში, რომ ის და ბორის კავერდა ერთი კატეგორიის ხალხია და რომ ის შედიოდა თეთრგვარდიელთა ტერორისტულ ორგანიზაციაში. ამგვარათ, თავდასხმის „შემთხვევით“, „ინდივიდუალურ“ და სხვ. ხასიათის შესახებ ზედმეტია ლაპარაკი.

დაბოლოს, გამოირკვა, რომ თეთრგვარდიელი ბანდიტები ვოიცეხოვსკი და კომპანია მუშაობდენ საბჭოთა კავშირის პასუხისმგებელ წარმომადგენლების წინააღმდეგ პოლონეთის ტერიტორიაზე, რასაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა პოლონეთის ხელისუფლება, პოლონეთის პოლიცია და რეაქციონური „საზოგადოებრივი აზრი“.

პოლონეთში თავმოყრილი თეთრგვარდიელი მონარქისტები გეგმაშეწონილათ და შეუსუსტებლათ ეწევიან სისხლიან თამაშს საბჭოთა კავშირის საწარმომადგენლო დაწესებულებათა წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 11 თვის განმავლობაში ჩვენს წინააღმდეგ მოხდა რამოდენიმე თავდასხმა. წარსული წლის ივნისში თეთრგვარდიელის ტყვიამ მხეცურად და მუხანათურად მოჰკლა ამხ. ვოიკოვი, ჩვენი სახელოვანი სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

რას აკეთებდა და რას აკეთებს პოლონეთის მთავრობა და პოლონეთის სახელმწიფო ხელისუფლება?

პოლონეთის მთავრობა მთელი თავისი საქციელით გვარწმუნებს, რომ ის ფარავს მკვლელებს, თუ პირდაპირ არა, არაპირდაპირ მაინც მფარველობას უწევს თეთრგვარდიელ მონარქისტების ხროვას; ის გამოდის კავერდებისა და ვოიცეხოვსკების ბნელი კომპანიის მოკავშირედ და თანამონაწილედ. ამიტომ პოლონეთის მთავრობას უნდა დაეკისროს მთავარი პასუხისმგებლობა იმ ბოროტმოქმედებათათვის, რომლებიც უკვე მოხდა და რომლებიც მზადდება.

ის, რომ პოლონეთის მთავრობა, წინააღმდეგ საერთაშორისო ურთიერთობების ყველა წესებისა და ნორმებისა და წინააღმდეგ დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის არსებობისა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, კი არ ებრძოდა, არამედ დემონსტრატიულად მფარველობას უწევდა ანტისაბჭოთა ტერორისტებს, აშკარად მტკიცდება შემდეგი ფაქტებით:

ვოიკოვის ველური მკვლელობის შემდეგ პოლონეთის მთავრობას არ უნდა დაევიწყა ჩვენი მითითებისათვის და გადამჭრელ და კატეგორიულ ფორმებში უნდა აღეკვეთა იმ პირთა საქმიანობა, ვინც განსაკუთრებით ქმნის საფრთხეს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის ნორმალურ ურთიერთობის არსებობისათვის. მაგრამ საჭირო ზომები მიღებული არ იქნა, მკვლელი კავერდა კი თითქმის „ნაციონალურ გმირად“ გამოაცხადეს. თავისუფლად დარჩენილი კავერდები სულ უფრო და უფრო თავხედდებოდნენ პოლიციის კეთილგანწყობილი „ნეიტრალიტეტის“ პირობებში.

ჩვენ ჯერ კიდევ 1927 წლის 11 ივნისს გავაფრთხილეთ პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო, თუ რას წარმოადგენს ის ბნელი პიროვნება, რომელიც ატარებს ვოიცეხოვსკის გვარს, ჩვენ ვაცხადებდით, რომ ის არის ვოიკოვის მკვლელობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. ამის საპასუხოდ ჩვენ „დაგვარწმუნეს“, რომ „არაფერს ამის მსგავსს“ ადგილი არ ჰქონიათ, რომ სამინისტროში „პირადად იცნობენ“ ვოიცეხოვსკის და შეუძლებლად სთვლიან მის მონაწილეობას.

გასული წლის 24 ივნისს ჩვენ ხელმეორედ გავაფრთხილეთ პოლონეთის მთავრობა პოლონეთის ელჩის საშუალებით მოსკოვში, რომ თეთრგვარდიელ ტერორისტები აწარმოებენ დანაშაულებრივ მუშაობას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების და საწარმომადგენლო დაწესებულებების წინააღმდეგ პოლონეთში, განსაკუთრებით ბოროტ და საშიში თეთრგვარდიელების ჩვენ მიერ გადაცემულ სიაში მერვე ნომრით აღნიშნული იყო ვოიცეხოვსკი. 4 მაისის თავდასხმა ნათელჰყოფს, რომ ჩვენი გაფრთხილება სათანადო სერიოზულობით არ შეაფასეს.

საჭირო და სრულიად ელემენტარული ზომები მიღებული არ იქნა—თეთრგვარდიელ გველების ბუდე დაუსჯელად განაგრძობდა ჩვენს საწინააღმდეგო მუშაობას. ჩვენს ურთიერთობაში [illegible] შეიქმნა აუტანელი მდგომარეობა. განა შეიძლება „ნორმალურად“ ვაჭრობა და დიპლომატიურ კონტაქტის დაცვა იმ სახელმწიფოსთან, რომელშიაც ჩვენს მუშაკს ყოველ კუთხეში მოელის თეთრგვარდიელ არამზადების ვერაგული თავდასხმა? განა ლოიალურ გზას ადგია ჩვენს მიმართ პოლონეთის მთავრობა, რომელიც ითმენს ასეთ მდგომარეობას? განა პოლონეთის ხელისუფლების ასეთი პოზიცია ცეცხლთან თამაში არ არის და განა ეს თამაში არ წააგავს საბჭოთა კავშირის მშრომელთა გამოწვევას? საბჭოთა კავშირს უკვე საკმაოდ მოაბეზრა თავი ვარშავის ყოველგვარმა „შემთხვევითმა“ ამბებმა.

ჩვენ არ შეგვიძლია სერიოზულად მივიღოთ პოლონეთის ბურჟუაზიული პრესის, აგრეთვე ოფიციოზური პრესის „განმარტებები“. ეს პასუხიდან თავის დაძვრენის უხალისო ცდებს და არასაკადრის მანევრებს წარმოადგენს, და არა განმარტებას და პასუხს საქმის შინაარსზე. ესაა ან სისულე, საკმაოდ შეზავებული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ცილისწამებით, ან უფერული იდიოტური ვერსია „შემთხვევითი“ ამბების შესახებ, ან სულისმაცხონებელი საუბრები თეთრგვარდიელთა ემიგრაციის „ფხიზელ“ და „უვნებელ“ ელემენტების შესახებ. ოფიციოზურ „ეპოქა“-ს წერილები სავსეა მსჯელობით „თავშესაფარის უფლების“, გაძევებულთა მძიმე ხვედრის (ეს „გაძევებულები“ არიან ბურჟუები და მემამულენი, მშრომელი ხალხის სისხლის მსმელნი და ჯალათები) და რაღაც განსაკუთრებულ „რუსულ პოლიტიკურ ფსიქოლოგიის“ შესახებ. ეს წერილები ისეთი კილოთია შედგენილი, რომ ბოლოს ხდის „ემიგრაციის ფხიზელ ნაწილს“. პოლონეთის ზოგიერთ გაზეთებში კი კავერდებს და ვოიცეხოვსკებს დღემდე მოსავენ „გმირობის“ შარავანდედით.

ასეთი მდგომარეობის ატანა ამიერიდან სრულებით შეუძლებელია. ის აშკარად არღვევს ჩვენს ურთიერთობას პოლონეთთან. ამიტომ ის ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ცალკე, მეტისმეტად აშკარად მომქმედ თეთრგვარდიელ მონარქისტების დაპატიმრებით დაკმაყოფილება სრულებით არ არის საკმაო.

ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო თეთრგვარდიელების ანტისაბჭოთა ტერორს ვარშავის ქუჩებზე. ეს არის ჩვენი მინიმალური მოთხოვნილება, რომელიც უნდა შეასრულოს პოლონეთის მთავრობამ. მშრომელ მასებს უფლება აქვთ მოითხოვონ ჩვენი საბჭოთა მთავრობისაგან, რომ ის შესძლებს შეასრულებინოს პოლონეთს მისი ელემენტალური ვალდებულებანი დაუყოვნებლივ, გადაუდებლად. დაუყოვნებლივ და სასწრაფოდ უნდა მოხდეს თეთრგვარდიელთა იმ ტერორისტული „ჯგუფებისა“ და „რაზმების“ აშკარა და ფარული საზოგადოებების ლიკვიდაცია, რომლებიც „მოღვაწეობენ“ პოლონეთის ტერიტორიაზე და ხელს უშლიან პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ეს დიდი ხანია უნდა მომხდარიყო. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს ეხლა.

„პრავდა“, 8 მაისი.

იაპონელების ინტერვენცია ჩინეთში

ცზინანში განახლდა ბრძოლა ნანკინის ჯარებსა და იაპონელებს შორის

სამხედრო მოქმედება ჭილის პროვინციაში.—მუკდენის მრავალი მოხელეები გარბიან პეკინიდან

ინგლისის თემთა პალატამ მიიღო კანონი ქალთა საარჩევნო უფლების შესახებ

ბრძოლა პეკინისათვის

გარბიან პეკინიდან.

პეკინი, 7 მაისი. ჩენმენის სადგური პეკინში სავსეა მგზავრებით, რომლებიც სტოვებენ პეკინს. მეტ წილად მიემგზავრებიან მუკდენის მმართველი წრეების ოჯახები და პეკინის მთავრობის მოხელეები. (ადს).

სამხედრო მოქმედების განახლება.

პეკინი, 7 მაისი. ტონსის სააგენტოს ცნობით, ჭილის პროვინციის სამხედრო ნაწილში განახლდა სამხედრო მოქმედება მუკდენის ჯარებს, და ფინ-იუ-სიანის ჯარებს შორის. სააგენტოს ცნობით, ფინ-იუ-სიანის ჯარებმა დაიკავეს ცზეჩჟოუს (სადგური პეკინ-ხანკოუს რკ. გზაზე), ჭილის პროვინციის სამხრეთით).

ფინ-იუ-სიანი აღშფოთებულია.

შანხაი, 7 მაისი. „სინ-ვენ-ბაო“ იუწყება, რომ ცზინანში ჩავიდა ფინ-იუ-სიანი, რომელიც საშინლად აღშფოთებულია იაპონელების ბარბაროსული მოქმედებით. მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, ფინ-იუ-სიანმა და ჩან-კაი-შიმ განაწილეს ფუნქციები. ფინ-იუ-სიანს დაევალა განაგრძოს ცზინანსა და იაპონიასთან ურთიერთობა, ხოლო ჩან-კაი-შიმ იკისრა მუკდენელების საწინააღმდეგო ოპერაციების ხელმძღვანელობა.

გაზეთების ცნობით, 6 მაისს ცინდაოში გადმოსხა 1.000 იაპონელი ჯარის კაცი და სამი წყალქვეშა ნავი. (ადს).

უშედეგო ცდა.

ვაშინგტონი, 7 მაისი. ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების კონსული იუწყება, რომ მან იაპონიისა და ჩინეთის ხელისუფლებას მიმართა თხოვნით შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება. მაგრამ მოწინააღმდეგე მხარეთა შერიგების ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ჩინურმა ორგანიზაციებმა სახელმწიფოების საკონსულოებს მიმართეს თხოვნით ეკისრათ შუამდგომლობა, მაგრამ მათ უპასუხეს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ გადადგან სათანადო ნაბიჯი, თუ ორივე მხარე მიმართავს მათ ასეთი თხოვნით.

ფინ-იუ-სიანის ჯარების დამარცხება

შანხაი, 7 მაისი. ნანკინიდან იუწყებიან, რომ ცზეჩჟოუდან სამხრეთით, პეკინ-ხანკოუს რკინიგზაზე ფინ-იუ-სიანის ჯარები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს.

მტერმა ტყვედ წაიყვანა ფინ-იუ-სიანის 12.000 ჯარისკაცი (ადს).

თავდასხმა

შანხაი, 7 მაისი. „შანხაი ტაიმს“-ის ცნობით, 900 კაცისაგან შემდგარი „ბანდიტების რაზმი“, თავს დაესხა სოფელ შოა-ჩჟოუს, ცზიანინის მახლობლად, თავდამსხმელებმა დაარბიეს სოფელი, დაანგრიეს ტაძარი, მოჰკლეს 20 ბერი და გადასწვეს მრავალი სახლი (ადს).

სამხედრო მოქმედება განახლდა

ტოკიო, 7 მაისი. სამხრ. რენგოს სააგენტო იუწყება: „7 მაისს განახლდა სამხედრო მოქმედება ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს შორის. სამხრეთელებმა მოულოდნელად მიიტანეს იერიში სავაჭრო კვარტალზე, რომელსაც იაპონიის ჯარები იცავდენ. ვინაიდან ამით სამხრეთელებმა დაარღვიეს შეთანხმება, იაპონიის სარდლობა მოითხოვს, რომ სამხრეთელების ჯარები გაყვანილ იქნეს 20 მილის დაშორებით დადგენილ ზონიდან (ადს).

ბელა კუნის დაპატიმრების გარშემო

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას პლენუმის რეზოლიუცია

პრაღა, 7 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს ბელა კუნის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. პლენუმი პროტესტს აცხადებს უნგრეთის ჯალათებისათვის ბელა-კუნის გადაცემის წინააღმდეგ.

რეზოლიუცია ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიას მოუწოდებს განაცხადონ პროტესტი ბელა კუნის დაპატიმრების წინააღმდეგ და მიიღონ ზომები, რომ ის არ გადასცენ ხორტის. (ადს).

ზეიპელის განცხადება

ვენა, 7 მაისი. კანცლერმა ზეიპელმა „მიუნხენერ ნეიესტე ნახრიხტენ“-ის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ავსტრია არ დაუშვებს, რომ ბელა კუნის თვითნებურად დაბრუნების საკითხი უმაღლოდ შეავსოს. თუ კუნი მართლა ჩამოვიდა არა იმისათვის, რომ მღელვარება გამოეწვია ავსტრიაში, არამედ ერთ-ერთ მეზობელ სახელმწიფოში რევოლიუციის მომზადების მიზნით, მაშინ ეს, ჩემი აზრით, ავსტრიის წინაშე გაცილებით უფრო ვერაგული და საზიანო გამოსვლაა, ვიდრე ის, კუნს რომ მხედველობაში ჰქონოდა კომუნისტური აგიტაციის წარმოება თვით ავსტრიაში (ადს).

რუმინეთის გლეხთა ნაციონალური პარტიის ყრილობა

ვენა, 7 მაისი. 6 მაისს ალბა-იულიაში გაიხსნა რუმინეთის გლეხთა ნაციონალური პარტიის ყრილობა. ყრილობის გამო ალბა-იულიაში რუმინეთის ყველა კუთხეებიდან ჩამოვიდა 150.000მდე გლეხი. ყრილობას ესწრება 677 დელეგატი. თავმჯდომარეობს მანიუ. მანიუს მოხსენების გამო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც ხაზს უსვამს რუმინეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობას ეხლანდელ საზღვრებში.

რეზოლიუცია უკანონოდ აცხადებს ლიბერალური პარტიის 10 წლის განმავლობაში ბატონობას რუმინეთში და მიმართავს რა მოკავშირე სახელმწიფოებს და ერთა ლიგას, სთხოვს მათ გაარჩიონ ერთმანეთისაგან რუმინეთის ხალხი და მისი ეხლანდელი მთავრობა, რომელსაც უფლება არა აქვს იკისროს ახალი საერთაშორისო ვალდებულებანი და აიღოს სესხები. რეზოლიუცია მოითხოვს სარეგენტო საბჭოსაგან ბრატიანუს მთავრობის გადაყენებას და კაბინეტის შედგენის მინდობას მანიუსათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში რეზოლიუცია იმუქრება მმართველობის ფორმის შეცვლით. ყრილობის შემდეგ შესდგა მიტინგი, შემდეგ კი სამღვდელოების მონაწილეობით ფიცის მიღების ცერემონია, რომლის დროსაც მასებმა ფიცი დასდვეს იბრძოლონ უკანონო მთავრობის დასამხობად.

ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია, გაზეთების ცნობით გადაეცა სარეგენტო საბჭოს. ამასთან დაკავშირებით მთავრობა აცხადებს, რომ ვერ ხედავს საფუძველს გადადგომისათვის.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ყრილობა ალბა-იულიაში და კრებები სხვა ქალაქებში მშვიდობიანად ჩატარდა, გარდა ბუქარესტისა, სადაც პოლიციამ გაფანტა დემონსტრაცია. რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში გავრცელებულია აზრი, რომ გლეხთა ნაციონალურ პარტიასა და მთავრობას შორის მოხდა შეთანხმება. (ადს).

საფრანგეთი არჩევნების შემდეგ

„ორი“ მიმდინარეობა მენშევიკების ბანაკში

პარიზი, 7 მაისი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სენის ფედერაციის კონგრესზე მკაფიოდ გამოირკვა ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმდინარეობა—ერთი აცხადებს, რომ მუშათა მასები „უიმედოთ არის დასნეულებული კომუნიზმით“, და წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს რადიკალების მემარცხენე ფრთის პროგრამა და ტაქტიკა და საჭიროდ სთვლის კოალიციონურ მთავრობაში მონაწილეობას, იმ მოსაზრებით, რომ სოციალისტებს ალბათ, მოუხდება აქტიურად მხარის დაჭერა პუანკარეს-ერიოს კომბინაციებისათვის უკიდურეს მემარჯვენეთა წინააღმდეგ. მეორე მიმდინარეობის წარმომადგენელთა აზრით, პარტიამ თავისი ოპორტუნიზმით კომუნიზმის გავლენის ქვეშ მოაქცია მუშათა მასები. მუშების დაპყრობისათვის პირველი ნაბიჯი უნდა იქნეს მთავრობაში მონაწილეობაზე უარის თქმა.

მიუხედავათ მემარჯვენეთა ენერგიული გამოსვლებისა, ისინი იძულებული გახდენ ადგილების 50 პროცენტი სარედაქციო კომისიაში დაეთმოთ მემარცხენე მიმდინარეობის წარმომადგენლებისათვის.

საბჭოთა ნოტის გამოძახილი

ვარშავა, 7 მაისი. პოლონეთის სააგენტო ბოგომოლოვის ნოტის გამო აცხადებს: „ნოტა შედგენილია მეტად თავდაჭერილად და არა ისეთი ტონით, რომელიც გამოიწვევდა გართულებას პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის შორის.

მთავრობამ კონფისკაცია უყო გაზეთ „კურიერ ჩერვონი“-ს 6 მაისის ნომერს საბჭოთა ნოტიდან ციტატების გადამახინჯებით მოყვანისა და ნოტის არა სწორად შეფასების გამო“ (ადს).

რეფერენდუმი ნოტინგამშირის მემაღაროეთა შორის

ლონდონი, 7 მაისი. რეფერენდუმმა, რომელიც მოაწყო ტრედ-იუნიონების გენსაბჭომ ინგლისის მემაღაროეთა საყოველთაო ფედერაციაში შემავალ ნოტინგემშირის ფედერაციის მომხრეთა და სპენსერის აპოლიტიკურ კავშირის მომხრეთა შორის ძალთა განწყობილების გამორკვევის მიზნით, ასეთი შედეგები გამოიღო: ნოტინგემშირის ფედერაციას ხმა მისცა 32.277 მემაღაროელმა, ხოლო სპენსერის კავშირს—2.533 გენსაბჭოს მდივანმა სიტრინმა განაცხადა, რომ გენსაბჭოს რეფერენდუმის შედეგების მიხედვით მიმართა მაღაროების მეპატრონეებს მოითხოვა ნოლებით ეცნოთ მემაღაროეთა ნოტინგემშირის ფედერაცია, როგორც ინგლისის საყოველთაო ფედერაციის შემადგენელი ნაწილი. სიტრინის განცხადების შეფასების დროს მხედველობაში მიღებული იქნა გარემოება, რომ ნოტინგემშირის მაღაროების მეპატრონეები და სპენსერი ჯერ კიდევ რეფერენდუმის მოხდენამდე კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ არ გაუწევენ ანგარიშს რეფერენდუმის შედეგებს

ელზასელ ავტონომისტების პროცესი

პარიზი, 7 მაისი. ელზასელ ავტონომისტების პროცესზე კოლმარში მოსმენილ იქნა უკანასკნელ სასამართლოს ჩვენება. ბრალდებულებმა განუცხადეს სასამართლოს, რომ ისინი უდანაშაულონი არიან, რომ მათ არ უნდოდათ ელზასის გამოყოფა საფრანგეთისაგან, არავითარი დახმარება გერმანიისაგან არ მიუღიათ და არ უწარმოებიათ არავითარი მუშაობა მის სასარგებლოთ.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას. (ადს).

ქალთა საარჩევნო უფლებები ინგლისში

ლონდონი, 7 მაისი. თემთა პალატამ მესამე წაკითხვის შემდეგ უკამათოთ მიიღო კანონპროექტი, რომელიც საარჩევნო უფლების მხრით ქალებს ათანასწორებს მამაკაცებთან. (ადს).

პრინც კაროლის გაძევება ინგლისიდან

ლონდონი, 7 მაისი. რეიტერი იუწყება: „დეილი მეილ“-ის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების თათბირის შემდეგ გადაწყდა სთხოვონ პრინც კაროლს დასტოვოს ინგლისის საზღვრები (ადს).

ჰენდერსონი აღელვებულია

მენშევიკი თანაგრძნობას უცხადებს იტალიის მეფეს და ფაშისტების ბელადს.

ლონდონი, 7. მაისი. ჰენდერსონმა მე-2 ინტერნაციონალის თავმჯდომარის სახელით მუსოლინის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვამს აღშფოთებას იტალიის მეფესა და მუსოლინიზე თავდასხმის გამო (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

დელეგაციები კოვნოში

ვილნო, 7 მაისი. კოვნოში ჩამოვიდა პოლონეთის დელეგაცია. ლიტვისა და პოლონეთის დელეგაციების შეერთებული პირველი სხდომა გაიმართება 7 მაისს. ეს სხდომა შეიმუშავებს კონფერენციის დღის წესრიგს და აირჩევს ქვე-კომისიებს ზარალის ანაზღაურებისა და უშიშროების საკითხების შესახებ. (ადს).

დირიჟაბლი „იტალია“

ოსლო, 7 მაისი. კინგსბეიში მოფრენილი დირიჟაბლი „იტალია“ შპიცბერგენზე დაჰყოფს რამოდენიმე დღეს ერთ-ერთი მატორის შესაკეთებლად (ადს).

13 მეზღვაურის საქმე

პარიზი, 7 მაისი. იმ 13 მეზღვაურის პროცესზე, რომელთა საქმეც გამოყოფილია კალვის დისციპლინარულ ბატალიონის ამბოხების საერთო საქმიდან, ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ სასამართლოს ჩვენება მისცა კომუნისტმა მარტიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამხედრო-საზღვაო საქმის ინდუსტრიალიზაციამ მექანიზაციამ მეზღვაურებს შეუქმნა პროლეტარული ფსიქოლოგია და ჩაუნერგა პროლეტარიატთან სოლიდარობის შეგნება. მეზღვაურების ამ შეგნებას,—სთქვა მარტიმ,—უპირისპირდება მსხვილ კაპიტალთან დაკავშირებულ მეთაურთა შემადგენლობის კონსერვატიზმი. მარტი ასახელებს ფლოტის მთელ რიგ მეთაურებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი თანამდებობანი ეჭირათ მრეწველობაში.

მარტის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინა აუდიტორიამ. (ადს).

ამანულა-ხანი მოსკოვში

ამხ. ჩიჩერინი ავღანისტანის ფადიშაჰთან.

მოსკოვი, 8 მაისი. 6 მაისს ფადიშაჰმა მიიღო ჩიჩერინი, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი (ადს).

ავღანისტანის ვაჭრობის მინისტრი ამხ. მიქოიანთან.

მოსკოვი, 8 მაისი. 6 მაისს ამხ. მიქოიანმა მიიღო მოსკოვში ჩამოსული ავღანისტანის ვაჭრობის მინისტრი აბდულ ხადი ხანი. დარბაზობას დაესწრო საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. განეცკი. (ადს).

მუშა-ქიმიკოსების საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 8 მაისი. დამთავრდა მუშა-ქიმიკოსების მე-7 საკავშირო ყრილობა. ამხ. დობროვოლსკიმ ყრილობის დახურვის წინ აღნიშნა კავშირის თვალსაჩინო ამოცანები ქვეყნის მომავალი ქიმიზაციასთან დაკავშირებით. ყრილობამ შეიმუშავა ძირითადი დირექტივები ქიმიური წარმოების განვითარებისათვის. ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მუშათა მასებმა შეთანხმებით უნდა იმოქმედონ ამ დირექტივების განსახორციელებლად.

ყრილობის დამთავრების შემდეგ შესდგა კავშირის ახალი ც. კ.-ის პლენუმი, რომელმაც კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ლუგოვოი. (ადს).

ამხ. ა. ციურუპას გარდაცვალება

მოსკოვი, 8 მაისი. 8 მაისს დილით გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ციურუპა. უკანასკნელ წლებში ამხ. ციურუპა დაავადებული იყო გულის ავადმყოფობით, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა უკანასკნელ წლებში. ვინაიდან ეს ავადმყოფობა პირდაპირ ემუქრებოდა მის სიცოცხლეს, ამის გამო ამხ. ციურუპა დასასვენებლად გადავიდა ყირიმში, სადაც თავს რამოდენიმედ უკეთ გრძნობდა, მაგრამ 30 აპრილს ავად გახდა გრიპით, რომელიც გაურთულდა ფილტვების ანთებით. ავადმყოფმა გულმა ვერ აიტანა ფილტვების ანთება და ამხ. ციურუპა გარდაიცვალა 8 მაისს დილით.



ამხ. ა. დ. ციურუპა

ბიოგრაფიული ცნობები

ალექსანდრე დიმიტრის ძე ციურუპა დაიბადა 1870 წელს. პროფესიით ის იყო აგრონომი და სტატისტიკოსი. მე-90 წლების ნახევრიდან მუშაობდა სამხრეთ რუსეთის მარქსისტულ წრეებში, შემდეგ უფაში, ხარკოვში, ტულაში და სხვა ქალაქებში, პირველად ემხრობოდა ისკრელებს, შემდეგ ბოლშევიკებს. 1903 წელს ამხ. ციურუპა დააპატიმრეს ტამბოვის გუბერნიაში და გაგზავნეს ოლონეცის გუბერნიაში, საიდანაც დაბრუნდა მხოლოდ 1905 წლის ამნისტიის შემდეგ. შემდეგ მუშაობდა უფას გუბერნიაში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ამხ. ციურუპა რამოდენიმე წლის განმავლობაში იყო სახურსათო საქმეთა სახალხო კომისრად და ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის სურსათით მომარაგებას. უკანასკნელ დროს ამხ. ციურუპა იყო საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (ადს).

მთავრობის ცნობა ამხ. ციურუპას გარდაცვალების შესახებ

მოსკოვი, 8 მაისი. 8 მაისს, დილის 4 საათსა და 18 წუთზე ყირიმში საბჭოთა კავშირის ცაკის სახლში გულის სიდამბლით, რომელიც დაერთო ფილტვების ანთებას, გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე დიმიტრის ძე ციურუპა. საბჭოთა კავშირის მშრომელნი მისი სახით ჰკარგავენ მთავრობის თვალსაჩინო მოღვაწეს და ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასის ინტერესების დაცვას. ფართო სახელმწიფოებრივი ნიჭი, განსაკუთრებული შრომის უნარი, თვითეულ სახელმწიფო ღონისძიების ყოველ წვრილმანში გარკვევის ნიჭი და მტკიცე ნებისყოფა ამ ღონისძიებათა გატარების დროს — აი ის იშვიათი თვისებები, რომლებმაც დააწინაურა ალექსანდრე დიმიტრის ძე უმაღლეს პოსტებზე საბჭოთა კავშირის მთავრობაში. ამ თვისებებს იჩენდა ის რევოლიუციის პირველ წლებში სახურსათო საქმეთა სახალხო კომისრის საპასუხისმგებლო პოსტზე, როდესაც ამ მძიმე ბრძოლის წლებში დაულალავად მუშაობდა მატერიალური პირობების შესაქმნელად წითელი არმიის გამარჯვებისათვის მშრომელთა მტრებთან ბრძოლაში. იგივე თვისებები შეინარჩუნა მან აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისათვის ბრძოლის პერიოდშიაც საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე. ავადმყოფობა და დაუღალავი შრომის წლები ხელს ვერ უშლიდნენ მას შემოქმედებით რევოლიუციონურ მუშაობაში. საბჭოთა კავშირის მშრომელნი იზიარებენ მთავრობის მწუხარებას ამ მძიმე დანაკლისის გამო.

საბჭოთა კავშირის ცაკის ცნობა

მოსკოვი, 8 მაისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 8 მაისს დილის 4 საათზე ყირიმში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი ალექსანდრე დიმიტრის ძე ციურუპა (ადს).

ამხ. ციურუპას დამკრძალავი კომისია

მოსკოვი, 8 მაისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი ადგენს: შესდგეს ამხ. ციურუპას დამკრძალავი კომისია საბჭოთა კავშირის ცაკის, სრულიად რუსეთის ცაკის, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს და მოსკოვის საბჭოს წარმომადგენლებისაგან შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. რუძუტაკი, წევრები ამხ. ბრიუხანოვი, გორდეევი, ენუქიძე, კისელიოვი, კრჟიჟანოვსკი, ლეჟავა და მიროშნიკოვი (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ახალი ცნობები ამხ. ლაზარევზე თავდასხმის შესახებ

ვარშავა, 7 მაისი. გაზეთი „მომენტ“-ი აქვეყნებს ახალ ცნობებს ამხ. ლაზარევზე თავდასხმის შესახებ. „მიუხედავად თეთრგვარდიელების გაზეთ „ზა სვობოდუ“-ს განცხადებისა,—ნათქვამია გაზეთში,—იური ვოიცეხოვსკი უკანასკნელ დღემდე რუს ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე იყო“. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ ვოიცეხოვსკის აღმოაჩნდა არა ემიგრანტის პასპორტი, არამედ მუდმივი პოლონური პასპორტი. ვოიცეხოვსკიმ, გაზეთის სიტყვით, გამომძიებელს განუცხადა, რომ პარასკევს გადასწყვიტა მან აუცილებლად მოეხდინა თავდასხმა ბოგომოლოვზე. ამ მიზნით პარასკევს ვოიცეხოვსკი გამოცხადდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში და შეეცადა შესულიყო სრულუფლებიან წარმომადგენლობის შენობაში. მაგრამ სრულუფლებიან წარმომადგენლობის შიკრიკმა არ გაუშვა ვოიცეხოვსკი, რადგან საეჭვოდ მოეჩვენა მისი ახსნა-განმარტება წარმომადგენლობაში შესვლის მიზნის შესახებ. ვოიცეხოვსკისთან ერთად დაპატიმრებულია 16 ემიგრანტი, რომელთაც ბრალდებათ თავდასხმაში მონაწილეობა. ემიგრანტების ორგანიზაციები, რომლებიც პოლიციამ დაბეჭდა, კვლავ გახსნეს. ამ ორგანიზაციების მიწერ-მოწერა და არქივი წაღებულია პოლიციის სამმართველოში (ადს).

დეჩჟოუს აღება

შანხაი, 8 მაისი. სამხრეთის ჯარებმა 7 მაისს აიღეს დეჩჟოუ, (შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში) ტიანცზინ-პუკოუს რკინიგზაზე. დეჩჟოუს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია და ცზინანიდან დაშორებულია 120 კილომეტრით (ადს).

ბრძანება ამხ. სიპულაზე თავდასხმის შესახებ

ვარშავა, 8 მაისი. პოლონეთის სეიმის კომფრაქციამ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „4 მაისს დეპუტატ სიპულას (კომუნისტი) გამოცხადდნენ მუშები — პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები (რომელთა გვარებსაც გასაგებ მიზეზების გამო ვერ გამოვაქვეყნებთ) და განუცხადეს სიპულას, ფრთხილად იყოს, ვინაიდან [illegible] ვარშავის ქალაქის საბჭოს წევრმა (პოლ. სოც. პარტიის წევრი) — პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მებრძოლი რაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელმა (რომელიც ცნობილია ტასემკას სახელწოდებით) გასცა ბრძანება დეპუტატ სიპულაზე თავდასხმის შესახებ“ (ადს).

ნოტის საქმიანი ხასიათი

ვარშავა, 8 მაისი. პრესაში გამოქვეყნდა ჩიჩერინის იმ ნოტის შინაარსი, რომელიც გადაეცა პატეკს მოსკოვში ლაზარევზე თავდასხმასთან დაკავშირებით.

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ ნოტის დამშვიდებულ და საქმიანი ხასიათის ტონს. (ადს).

ზეიპელი ყალბ დოკუმენტებს ამზადებს

ვენა, 8 მაისი. „როტე ფანე“ აცხადებს, რომ ის დოკუმენტები, რომლებიც უნდა გააცნოს კანცლერ ზეიპელმა უცხოეთის მთავრობებს „აწი უნდა დამზადდეს“.

გაზეთი სწერს: „ზეიპელს სურს დაამზადოს ყალბი საგამომძიებლო მასალა, რათა მოიხვეჭოს ინგლისისა და საფრანგეთის ნდობა; მას სურს ბელა კუნის საქმე გადააქციოს ხელსაყრელ ფინანსიურ კომბინაციად“ (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. ციურუპას გარდაცვალება

მოსკოვი, 8 მაისი. წუხელ ღამით გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ციურუპა. განსვენებული უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ავად იყო გრიპით, რომელიც შემდეგ ფილტვების ანთებად გადაიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფს მკურნალობდა მოსკოვის საუკეთესო ექიმები, გულის სნეულებით დაავადებულ ორგანიზმმა ვერ გადაიტანა შედარებით მსუბუქი და ხანმოკლე სიცხე.

დღეს უკვე დილიდანვე მთელ ქალაქს მოედო ცნობა ამხ. ციურუპას გარდაცვალების შესახებ. მთავრობისა და განსვენებულის ოჯახს მოსდის მრავალი სამძიმრის დეპეშები. დღეს ნაშუადღევიდან მოსკოვი, შემოსა სამგლოვიარო დროშებით.

30.000 კილომეტრი ახალი რკინის გზა

მოსკოვი, 8 მაისი. ტრანსპორტის მართველობის საბჭომ ამ დღეებში განიხილა სარკინიგზო აღმშენებლობის სპერსპექტივო გეგმა. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალ რკინისგზათა გაყვანას.

გეგმის თანახმად პირველ რიგში დაგებული იქნება ახალი რკინისგზა შემდეგ მიმართულებით: სარატოვი-მილლეროვი, პერმი-უფა, ორენბურგი-თერმეზი-დუშამბე. ახალი რკინის გზების სიგრძე იქნება 30.000 კილომეტრი.

მილიციის მდგომარეობა

მოსკოვი, 8 მაისი. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ ამხ. სოლანნიკოვის თავმჯდომარეობით გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა მილიციის მდგომარეობის გამოკვლევა.

კომისიამ გამოკვლევა მოახდინა საბჭოთა კავშირის მთელ რიგ დიდ ცენტრებში. დღეს უკვე დასრულებულია საგამოკვლევო მუშაობა, რომელიც შეეხო მილიციის ყველა დარგებს, როგორც საერთო საქალაქო, ისე სახალხო სამართლის მაძებრულ მილიციასაც.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან გამოყოფილთა დასკვნა ჩატარებულ გამოკვლევებიდან ასეთია: უკანასკნელი წლების განმავლობაში საბჭოთა მილიციას უდიდესი მიღწევები აქვს. ეს არის მილიციის ფუნქციათა უფრო ნათლად გარკვევა, დისციპლინის განმტკიცება, სოციალურ შემადგენლობის გაუმჯობესება და სხვა. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი დიდი დეფექტებიც.

ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის ზოგიერთ დიდ ქალაქებში მილიციის სოციალური შემადგენლობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამ ქალაქებში მილიციაში თავი შეაფარებიათ ზნეობრივად არასაიმედო პირებს. ამისაგან წარმოსდგება ის მახინჯი მოვლენები, რომელნიც აღმოაჩინა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რწმუნებულებმა ზოგიერთ დიდ ქალაქების მილიციის მუშაობაში. მილიციის აპარატში ჯერ კიდევ ბევრგან მაგრად აქვს გადგმული ფესვები ბიუროკრატიზმს.

გარდა ამისა, როგორც ეს კომისიამ აღმოაჩინა, ზოგიერთ ქალაქებში მილიციის მუშაკთა შორის ადგილი აქვს მექრთამეობას, ვაჭრებთან დაახლოებას და სხვა.

ერთდროულად რა მუშების გამოძახილს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რწმუნებულთა გამოკვლევების შესახებ, მოსკოვის ზოგიერთი გაზეთები აყენებენ კითხვას მილიციის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გაზეთების აზრით ეს საკითხი უკვე საკმაოდ მომწიფებულია. ამასვე ცხადჰყოფს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ნაყოფიერად ჩატარებული გამოკვლევა.

კომკავშირის ცენტრალური ორგანო „კომსომოლსკაია პრავდა“, სხვათა შორის, ამბობს, რომ საჭიროა მოწყობილ იქნას მოხალისე მუშათა მილიცია. ასეთი წესით შედგენილ მილიციაში შემავალი მუშები მორიგეობით შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

საბჭოთა კავშირის მომავალი—მთელი კაცობრიობის მომავალია

მოსკოვი, 8 მაისი. იაპონელ მწერალ უდეძაკუ აკიტამ, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში, უკვე მოიარა მთელი რიგი მნიშვნელოვანი რაიონები. მან სხვათა შორის ინახულა თბილისიც.

მოსკოვის დღევანდელ გაზეთში მოთავსებულია უდეძაკუ აკიტას შთაბეჭდილებები მის მოგზაურობიდან, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობის დროს, ამბობს უდეძაკუ აკიტა, მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირი უფრო ჩქარა მიდის წინ, სამეურნეო აღმშენებლობის დარგში, ვიდრე რომელიმე კაპიტალისტური ქვეყანა.

შეიძლება თამამად ითქვას, სწერს იაპონელი მწერალი, რომ საბჭოთა კავშირის მომავალი—მთელი კაცობრიობის მომავალია.

ეროვნული [illegible]

საბრალდებულო დასკვნა შახტის საქმეზე

ყოფ. მესაკუთრეთა დირექტივების თანახმად

მოსკოვი, 8 მაისი. შახტის რაიონში აღმოჩენილია კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია ინჟინერებისა და ტეხნიკოსებისა, რომელნიც ქვანახშირის მრეწველობაში მუშაობდნენ. გამოძიების მასალამ გამოარკვია, რომ ორგანიზაციის წარმოშობას საფუძველი ჩაუყარა იმ დირექტივებმა, რომლებსაც ინჟინრებმა მიიღეს 1920 წლის დამდეგს როსტოვში გამართულ მაღაროების ყოფილ მფლობელთა და ინჟინერთა თათბირზე. მას შემდეგ, რაც წითელმა ჯარებმა როსტოვი დაიჭირეს და მრეწველები საბოლოოდ გაიქცნენ საზღვარგარეთ, ინჟინრებმა მოისურვეს დაბრუნებოდნენ მიტოვებულ მაღაროებს, სადაც მათ გულდაგულ ებატიუებოდნენ ადგილობრივ შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, მაგრამ მაღაროებზე დაბრუნების შემდეგ ინჟინრები თავის ბატრონების ერთგულნი დარჩნენ. მათ შორის უთანხმოებას იწვევდა მხოლოდ მათი პატრონების დირექტივების შესრულების მეთოდები: ისინი, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ინტერვენცია მალე გამარჯვებით დამთავრდებოდა, ცდილობდნენ მაღაროებისა და მოწყობილობის ხელუხლებლად შენარჩუნებას, ხოლო ისინი, რომელნიც თეთრების მალე გამარჯვება საეჭვოდ მიაჩნდა, ცდილობდნენ მაღაროების ხელუხლებლად შენარჩუნებას და ამისათვის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ მაღაროების წყლით ამოვსება.; მაგალითად, ბრალდებულმა ბაბენკომ ჯერ კიდევ 1921 წლის შემოდგომაზე განგებ ამოავსო წყლით ყოფ. ნოვოაზოვის კომპანიის მომქმედი მაღარო № 2.

შახტის რაიონის ყოფილი ხარაზნო ინჟინერი ბრალდებული ბერიოზოვსკი გამოტყდა, რომ ნოვოაზოვის მაღარო ნამდვილად მისი განკარგულებით იქნა წყლით ამოვსებული და რომ ეს ღონისძიება მართლაც მიღებულ იქნა აშკარა ზიანის მიყენების მიზნით.

ვინ ეხმარებოდა კონტრ-რევოლიუციონერებს.

1922 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონტრ რევოლიუციონური ორგანიზაცია დონეც-გრუშევის მაღაროებში. ამ ორგანიზაციაში შედიოდნენ: ინჟინერი ბერიოზოვსკი, ხარაზნო ინჟინერი შადლუნი, მთავარი ინჟინერი კალგანოვი, მთავარი მექანიკოსი ბაშკინი, მაღაროების გამგენი ძმები კოლოდუბები, დადენკო და სხვანი. ეს პირები თავიანთ საზიანო მოქმედებისათვის საზღვარგარეთიდან გასამრჯელოს იღებდნენ ფულად. ბაბენკომ, მისივე საკუთარი ჩვენების მიხედვით, 9.000 მანეთი მიიღო იმ საზიანო მუშაობისათვის, რომელსაც იგი ეწეოდა მაღაროში № 2. თუ რამდენად ფართოდ იყო დაყენებული ორგანიზაციის მოქმედება დონეც-გრუშევის რაიონში და ამ ორგანიზაციის მომარაგება ფინანსებით, ამას ადასტურებს ბრალდებულ ინჟინრის კალგანოვის ჩვენება:

„სულ საზიანო მოქმედების საჭიროებისათვის მე მივიღე დაახლოებით 100.000 მანეთი". მეორე ბრალდებული ბერიოზოვსკი, რომელიც ერთ დროს საზღვარგარეთიდან მოსულ ფულს უნაწილებდა დამზიანებლებს, თავის ჩვენებაში ამბობს:

„სულ ორგანიზაციის საჭიროებისათვის ჩემს ხელში გაიარა დაახლოებით 175.000 მანეთმა. პირადად მე ჩემს სასარგებლოდ მივიღე 20.000 მანეთი".

შემდეგ კონტრ-რევოლიუციონური დამზიანებელი ორგანიზაციები წარმოიშვა ვლასოვის, ნესვეტაევის და შჩერბინის რაიონების მაღაროებში. დაზიანების ერთ-ერთი საშუალება იყო ქვა-ნახშირის მრეწველობასთან უშუალოდ დაკავშირებულ საწარმოთა მოსპობა მაღაროებში. ვლასოვის რაიონში იყო სამხედრო მნიშვნელობის რამოდენიმე ქარხანა. ორგანიზაციის წევრებმა ეს ქარხნები მექანიზმების აყრითა და სხვა ამგვარი საშუალებით წაახდინეს და ამის გამო ახლაც უმოქმედოდ არიან გაჩერებულნი. მთელი ამ „მუშაობის" საკომპენსაციოდ ჯგუფების წევრები რეგულიარულად იღებდნენ ჯამაგირს და ერთდროულ გასამრჯელოს.

ხარკოვის ცენტრში.

შემდგომმა გამოძიებამ გამოარკვია ცენტრიცა და ფინანსებით მომარაგების წყაროც. ორგანიზაციის ცენტრად აღმოჩნდა ხარკოვი. გამოძიებამ გამოაშკარავა, რომ პერიფერიაში საზიანო მუშაობის ხელმძღვანელობის გარდა, ხარკოვის ცენტრი დამოუკიდებლად ეწეოდა დიდ საზიანო მუშაობას „დონუგოლის" ტრესტის გამგეობაში.

ორგანიზაციას ფინანსებს აწოდებდნენ ყოფილი მესაკუთრენი და აგრეთვე უცხოეთის ფირმები ანარიცხების სახით, ხოლო ფულისა და ინსტრუქციების გადამცემნი იყვნენ ამ ფირმების წარმომადგენლები და ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოები საბჭოთა კავშირში.

ბრალდებული ინჟინერ მატოვი შეეხო ხარკოვის ცენტრის წარმოშობას და ილაპარაკა ყოფ. მაღაროს მფლობელის და შჩერბინის მაღაროთა დირექტორის დვორჟანჩიკის ინსტრუქციის შესახებ". დვორჟანჩიკი პოლონეთში გაიქცა 1919 წელს; ინსტრუქცია ეხებოდა ინფორმაციის მიწოდებას მაღაროების შესახებ და იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებსაც უნდა შეეფერხებია ქვანახშირის ზრდა და ამოღება; ინსტრუქციაში ლაპარაკი იყო აგრეთვე საერთოდ მუშაობის ნორმალური განვითარებისათვის ყოველგვარი დაბრკოლების შექმნის შესახებ.

ბრალდებული ბრატინოვსკის ჩვენება ორგანიზაციის ამოცანების შესახებ არ განსხვავდება ბრალდებული მატოვის ჩვენებისაგან.

ყოფ. მეპატრონეთათვის მაღაროების დაბრუნების მიზნით.

ხარკოვის ცენტრის საინიციატივო ჯგუფში შემავალი ბრალდებული კაზარინოვი ორგანიზაციის ამოცანების შესახებ შემდეგს ამბობს:

ორგანიზაციის ძირითად ამოცანას შეადგენდა ქვა-ნახშირის მაღაროების და სათამადნო წარმოებათა დაბრუნება ძველი მეპატრონეებისათვის ამა თუ იმ საფუძველზე. ამ მიზნის მისაღწევად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მაღაროების ყოფილ მეპატრონეებს წარმოებები მიეღოთ იმ სახით და იმ მდგომარეობაში, რომ ქვა-ნახშირის ამოღებას მიეღწია უმაღლეს დონემდე განსაკუთრებული ხარჯების გაუწევლად, ამისათვის იღებდნენ ზომებს, რათა აღედგინათ მაღაროები და ამოღებით ქვა-ნახშირი იმგვარად, რომ არ გამოლეულიყო ქვა-ნახშირის მდიდარი ბუდობები. შემდეგ, ამ ამოცანის განსახორციელებლად ყოველი ძალღონით ცდილობდნენ, რომ მაღაროებში თავი მოეყარა მექანიკურ მოწყობილობათა დიდ რაოდენობას და რომ შეუძლებელი ყოფილიყო ამ მოწყობილობათა განსაზღვრულ მომენტამდე გამოყენება. პირველ რიგში სწარმოებდა ისეთი მაღაროების აღდგენა და მოწყობა, რომელთა აღდგენა ძვირი ჯდებოდა, იმის მაგივრად, რომ ახალ ადგილებზე მოეწყოთ უფრო იაფი მაღაროები; ამავე დროს ქვა-ნახშირის ახალი ხელსაყრელი ადგილების დამუშავებას ხელოვნურად აბრკოლებდნენ იმით, რომ ხელს უშლიდნენ გამოკვლევებს და ნაკლებ სასარგებლო ადგილებში აწყობდნენ ახალ მაღაროებს. ამ ღონისძიებათა შედეგად უნდა გამოაშკარავებულიყო ის, რომ სასარგებლო და რენტაბელური არ არის „დონუგოლის" ექსპლოატაცია და რომ საჭიროა დენაციონალიზაცია, მაღაროების გაცემა იჯარით, კონცესიით და სხ.

ინტერვენციის მოლოდინში.

ორგანიზაციის სხვა ამოცანებს შორის,— აცხადებს შემდეგ კაზარინოვი,—იყო მოქმედების სპეციალური გეგმის შემუშავება ინტერვენციის შემთხვევისათვის, რათა მაღაროები დაცული ყოფილიყო ექსპლოატაციისათვის და პირიქით, წალეკილი ყოფილიყო, თუ კი ეს მიზანშეწონილი იქნებოდა და მაღაროები შემდეგში დაუბრკოლებლად და დაუზიანებლად შეიძლებოდა აღდგენილიყო. დაბოლოს, ორგანიზაციის პროგრამაში შედიოდა სპეციალური გეგმის შემუშავება იმისათვის, რომ მექანიზმისა და მოწყობილობათა გაფუჭების გზით ხელოვნურად შემცირებულიყო ქვა-ნახშირის ამოღება ცალკე მაღაროებში, რათა ამით დაბრკოლება შექმნილიყო რესპუბლიკაში იმის დროს.

ხელმძღვანელი ჯგუფი.

—ჩვენი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის,—ამბობს თავის ჩვენებაში ინჟინერი მატოვი,—მე ჩვეულებრივ ვიღებდი ზომებს, რომ უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორც ჩემ თანაშემწეებად, „დონუგოლში", ისე მთავარ ხელმძღვანელებად ადგილებზე დანიშნული ყოფილიყო ჩვენი ორგანიზაციის წევრები. ამგვარად შეიქმნა ხელმძღვანელი ჯგუფი.

შემდეგ, გამოძიების პროცესში გამოირკვა, რომ მავნე მუშაობის სერიოზულ საკითხებს იხილავდნენ ხელმძღვანელი ჯგუფის განსაკუთრებულ თათბირებზე. განხილვა სწარმოებდა მეტად კონსპირატიულად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხებს სწყდებოდა ფართო თათბირებზე, რომლებზედაც ჩვეულებრივ იწვევდნენ გამოჩენილ წევრებს და პერიფერიის ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ორგანიზაცია იმდენად განვითარდა და მან იმდენად გააფართოვა თავისი გავლენა, კერძოდ უცხოეთთან კ[illegible] დარგში, რომ რაციონალურად შე[illegible]ვადაწყვეტილიყო ყველა ამოცანები, [illegible] იგი ისახავდა მხოლოდ იმ პირობე[illegible] კავშირის მრეწველობის ხელმძღვა[illegible]ტრში (მოსკოვში) შექმნილა სათანადო [illegible]. ასეთი აპარატის შექმნის საჭიროებას [illegible]ვდა მრეწველობის სხვა დარგებთან კა[illegible]რის დამყარების სურვილი და ის დიდი როლი, რომელსაც ორგანიზაცია თამაშობდა უცხოეთში მიცემული დაკვეთების რეალიზაციის, და საიმპორტო მოწყობილობათა შესყიდვის საქმეში და, დაბოლოს, იმ დარგში, რომელშიაც ორგანიზაცია ეწეოდა წმინდა ჯაშუშურ—საზიანო, სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის მუშაობას. ასეთი ცენტრი შეიქმნა 1926 წელში, როცა ორგანიზაცია უკვე წარმოადგენდა სერიოზულ პოლიტიკურ ძალას. ხელმძღვანელ როლს ამ ცენტრში თამაშობდნენ ქვა-ნახშირის მაღაროების ძველი მეპატრონე რაბინოვიჩი, ხაკუტა, ბოიარინოვი, იმენიტოვი და სხ. მოსკოვის ცენტრის ამოცანას შეადგენდა არსებული ორგანიზაციების გაერთიანება და ახალი ორგანიზაციების შექმნა, გავლენის მოპოვება ცენტრალურ სამრეწველო ორგანოებში და კავშირის დამყარება საინჟინრო-ტეხნიკურ ორგანიზაციებთან. დონის რაიონის მრეწველობის სხვა დარგებთან კავშირი დამყარებულ იქნა იმ გზით, რომ ორგანიზაციაში ჩააბეს სამი სხვა ტრესტის ტეხნიკური პერსონალის წარმომადგენლები. განსაკუთრებით დიდი დამანგრეველი მუშაობა ორგანიზაციამ ჩაატარა საიმპორტო მოწყობილობათა შესყიდვის დარგში.

კავშირი უცხოეთის ფირმებთან.

ბრალდებული კაზარინოვი—„დონუგოლის" საიმპორტო განყოფილების ყოფილი გამგე, გერმანიაში ყოფნის დროს მთელ რიგ ფირმებს შეუთანხმდა იმის შესახებ, რომ ორგანიზაციას უნდა მისცემოდა საკომისიო პროცენტები. ორი გერმანული ფირმიდან კაზარინოვმა,—მისი საკუთარი ჩვენებით,—მიიღო: პირველიდან 8.000, მეორიდან 7.000 მარკა.

— ზარალი, რომელიც რესპუბლიკამ მიიღო ორგანიზაციის მოქმედებით იმპორტის საქმეში,—როგორც ბრალდებული კაზარინოვი აღნიშნავს,— რამდენიმე ასი ათასი მანეთით განისაზღვრება და იყოფა ორ ჯგუფად. უშუალო ზარალი გამოუსადეგი ქონების შესყიდვისა ან და ზარალი ისეთი მოწყობილობის დაგროვებისაგან, რომელიც გამოუყენებლად ეგდება.

უცხოეთის მთელი რიგი ფირმები დაკავშირებული იყვნენ არა მარტო ორგანიზაციის ცალკე წევრებთან, არამედ თვით ორგანიზაციასთან მთლიანად. უცხოეთის ფირმები გასამრჯელოს აძლევდნენ ორგანიზაციის წევრებს. ამასთანავე ფულს იღებდა უშუალოდ ორგანიზაცია.

მთელი რიგი ბრალდებულები აღნიშნავენ,რომ ორგანიზაციის წევრები უკვეთავდნენ არა მარტო გამოუსადეგ, არამედ უვარგის მოწყობილობას და მანქანებს. ამის მაგალითს წარმოადგენს მანქანების შეძენა გერმანული ფირმისაგან, რომელთანაც ხელშეკრულობა დახდო ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა ინჟინერმა გორლეცკიმ. მანქანები მიღებულ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად გამოუსადეგი იყო. ამ მანქანების მიღებისათვის მიმღებ კომისიის თავმჯდომარემ ბრალდებულმა ინჟინერ კუზმამ გერმანული ფირმის წარმომადგენლისაგან მიიღო 2.500 მან. გერმანელი მონტიორი, რომელიც მანქანების დასადგმელად მუშაობდა, ბრალდებული ბატშტიბერი გამოტყდა, რომ ქრთამს მაღაროს გამგეს აძლევდა თავის უშუალო უფროსის გერმანელი ინჟინერ ზებოლდის ბრძანებით და ხელი მოაწერა აქტს იმის შესახებ, რომ მანქანები გამოსადეგია, რაიც არ შეეფერებოდა სინამდვილეს.

უვარგისი მანქანების ჩაბარებისა და მიღების მიზანი,—აცხადებს ბატშტიბერი,—ორგვარი იყო: უვარგისი მანქანების ჩაბარება და ამ მანქანების მალე გაფუჭების შემდეგ ახალი დაკვეთების მიცემა, და ამით საბჭოთა სახელმწიფოს მეურნეობის დანგრევის მიზნის განხორციელება.

ბატშტიბერის პირდაპირ ჩვენებათა გარდა შეთანხმებულ მოქმედებას ადასტურებს ინჟინერ ზებოლდის განცხადება ინჟინერ გავრილენკოს ბინაზე, რომ „უცხოელები ბოლშევიკების სამეურნეო მშენებლობას არ შეუწყობენ ხელს კარგი მანქანების ჩაბარებით და რომ ისინი, პირიქით, შეუწყობენ ხელს ძველი უვარგისი მანქანების მიწოდებით".

„ელექტრონის საყოველთაო კამპანია"

ამ ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, თუ მათ განვიხილავთ ორგანიზაციის მთელ იმ მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოძიების პროცესში გამოირკვა. „დონუგოლის" დამზიანებელ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა არა მარტო დონის მაღაროების ყოფილ მეპატრონეებთან სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ მთელ რიგ გერმანულ ფირმებთან, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მანქანების და მოწყობილობების დაკვეთების განაწილებაში. ბრალდებულთა ჩვენებებში განსაკუთრებით ხაზგასმულია კავშირი „ელექტრონის საყოველთაო კამპანიასთან (გერმანული ფირმა), რომლის რუსეთის განყოფილებასთან მუშაობდა ამ საქმისათვის პასუხისგებაში მიცემული ბაშკინი—რუსი ემიგრანტი. ამ განყოფილების დირექტორი იყო ბლეიმანი. ამ განყოფილებაში, ბრალდებულ კაზარინოვის ჩვენებით, 1927 წლის მარტში გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრო მაღაროების ძველ მეპატრონეთა წარმომადგენელი დვორჟანჩიკი; ამ თათბირზე ბაშკინმა წინადადება შეიტანა, რომ უცხოეთის ფირმებს, რომლებიც „დონუგოლის" ტრესტს აბარებენ მანქანებს და მოწყობილობას, პროცენტები გამოერთმიეოდა ორგანიზაციის სასარგებლოდ.

ბაშკინის წინადადებას,—აცხადებს ამ თათბირზე დამსწრე კაზარინოვი,—მხარი დაუჭირა ბლეიმანმა, რომელმაც „ელექტრონის საყოველთაო კამპანიის" სახელით თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ დაკვეთების განსაზღვრულ პროცენტებს გადახდიდა ორგანიზაციის სასარგებლოდ. ამ წინადადების მიღების შემდეგ ბაშკინს დაავალეს, რომ მიღებული ფული გადაეგზავნა ორგანიზაციისათვის, რაზედაც დახმარება აღუთქვა ბლეიმანმა.

დანარჩენი ბრალდებულების ჩვენებებიც ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ „ელექტრონის საყოველთაო კამპანიის) რუსეთის განყოფილებას და მის დირექტორს ბლეიმანს კავშირი ჰქონდათ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან. ამ ფირმის რუსეთის განყოფილება ფაქტიურად იყო საორგანიზაციო ცენტრი იმისათვის, რომ კავშირი დამყარებულიყო ინჟინერთა ორგანიზაციასა და კაპიტალისტ-მესაკუთრეებთან საზღვარგარეთ.

რუსეთის განყოფილებაში გამართულ თათბირზე განხილულ იქნა კაპიტალისტური ორგანიზაციების შემდგომი ტაქტიკის საკითხება, რომლებიც შეეხებოდა მოქმედების გაერთიანებას და კოორდინაციას. მესამე საკითხი იყო ფინანსების მიწოდების საკითხი, რომელშიაც აშკარა ხდება გერმანული ფირმების შანტაჟი ამ ორგანიზაციის წევრების მხრივ. უეჭველია, რომ როგორც არ უნდა იყოს ბლეიმანის როგორც გერმანელი ფირმის,—„ელექტრონის საყოველთაო კამპანიის" წარმომადგენლის თანხმობის მოტივები, ზემოაღნიშნული ანარიცხების გადადება, თვით ამ თათბირში მისი მონაწილეობის ფაქტი დამტკიცებულია; დამტკიცებულია აგრეთვე ის, რომ ბლეიმანმა სავსებით იცოდა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობა და მისი პრაქტიკული მიზნები.

ბატშტიბერის (რომელსაც საქმე ჰქონდა დამზიანებელ ორგანიზაციის წევრებთან) ჩვენება გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამ ფირმის წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ, წმინდა კომერციული მიზნების გარდა, უვარგისი მანქანების ჩაბარება ისახავდა სხვა მიზნებსაც.

ბრალდებულმა ბაშკინმა, რომელიც მთავარი მექანიკოსის თანამდებობაზე მუშაობდა ვლასოვის მაღაროებში, ჩამოსული გერმანელი ინჟინრებისაგან— გესლერისაგან გაიგო, რომ მის ძმას კავშირი აქვს დამზიანებელ ორგანიზაციის ცენტრთან. 1926 წლის აგვისტოში „ელექტრონის საყოველთაო კამპანიის" ინჟინერი ოტო გაგზავნეს რუტჩენკოვის და გორლოვის მაღაროებში, ხოლო 1927 წლის მარტში რუტჩენკოვოში ჩავიდა „ელექტრონის საყოველთაო კამპანიის" მონტიორი მეიერი. ორივე ეს მოსამსახურე ფირმის რუსეთის განყოფილებაში გამართული თათბირის შემდეგ გაგზავნეს საბჭოთა კავშირში, იმის შესახებ, რომ ოტოს და მეიერის ჩამოსვლა ისახავს არა მარტო საქმიან მიზნებს, ბრალდებულ ბაშკინს აცნობა გერმანელმა ინჟინერმა ვეგნერმა, რომელმაც სთქვა, რომ მას, ინჟინერ ოტტოს და მონტიორ მეიერს დავალებული აქვთ დამანგრეველი მუშაობის წარმოება და ამ მუშაობის შეთანხმება ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მონტიორმა რომელიც მუშაობდა ტურბინების დასადგმელად ვლასოვის მაღაროებში, ბაშკინს მისცა დაწვრილებითი დირექტივები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაეფუჭებია ტურბინები. ტურბინების გაფუჭებისათვის წარმოებული მუშაობისათვის ბაშკინმა მეიერისაგან მიიღო 500 მანეთი. მეიერი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მას საუბარი ჰქონდა ტურბინის გაფუჭების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ უარყოფს იმას, რომ მან მისცა დირექტივები ზიანის მიყენების მიზნით. ინჟინერი ოტტო, რომელსაც ბაშკინი იხსენიებს მეიერთან ერთად და რომელსაც დავალებული ჰქონდა დამანგრეველი მუშაობის წარმოება, წინედ არა ერთხელ ყოფილა რუსეთში ;ამასთანავე 1919 წლის დასაწყისში გერმანიის სამხედრო ხელისუფლების თანხმობით სამი წლით გაუგრძელეს სამხედრო სამსახურში გაყვანის ვადა (ორი რუსი ინჟინრის არასაკმაოდ შემოწმებული ცნობებით, ოტტო თავის დროზე სამხედრო ჯაშუში იყო მეფის რუსეთში). 1927 წელში, საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის წინ ოტტო, მისი სიტყვით, იყო „ფოლადის მუზარადის" წევრი გერმანიაში. ოტტო უარყოფს იმას, რომ ხელს უწყობდა დამანგრეველ მუშაობას, შეგნებულად ეხმარებოდა ორგანიზაციას და გადასცა მან დირექტივები საზღვარგარეთიდან. მაგრამ მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს ამტკიცებს ბრალდებულ კაზარინოვის ჩვენება, რომელთანაც ოტტო საზღვარ - გარეთიდან ჩამოსვლისთანავე მივიდა და კონსპირატიული წერილების გადასაცემად.

ვინაა პასუხისგებაში მიცემული

ახლაა ძირითადი ფაქტები, რომლებიც გამოაშკარავდა ამ საქმის ირგვლივ წარმოებული გამოძიების პროცესში. შახტის საქმის აღმოჩენამ ხელი შეუწყო ამ ცენტრის მუშაობის ლიკვიდაციას. საგამოძიებლო ხელისუფლებამ ამ საქმის გამო პასუხისგებაში მისცა მხოლოდ ის პირნი, რომელთაც ყველაზე უფრო მეტი დანაშაული ედებათ; ხოლო ცალკე გამოიყო ამ პირთა საქმე, რომლებიც ხელმძღვანელ როლს არ თამაშობდნენ დამანგრეველ მუშაობის დარგში, ან თამაშობდნენ ხელმძღვანელ როლს მოსკოვში, მაგრამ არა ქვანახშირის მრეწველობის დარგში. სულ ამ საქმის გამო პასუხისგებაში არის მიცემული 53 კაცი, მათ შორის მაღაროების 5 ყოფილი მეპატრონე და თანამეპატრონე, 37 ინჟინერი, რომელთა უმრავლესობა ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ქვანახშირის მრეწველობაში, და 8 ტეხნიკოსი.

მათ ბრალად ედება მოქმედება, რომელიც ისჯება რ. ს. ფ. ს. რ. სისხლის სამართლის მე-58 მუხლის მეშვიდე ნაწილით (ეკონომიური კონტრ - რევოლიუცია). ბრალდებულთა შორის არის გერმანიის სამი ქვეშევრდომი — ერთი ინჟინერი და ორი მონტიორი, რომელთაც წაყენებული აქვთ ბრალდება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის მე-58 მუხლის მე-7 და მე-17 ნაწილში (ხელის შეწყობა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციისათვის).

სასამართლოს შემადგენლობა

მოსკოვი, 8 მაისი. საქმეს ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის შესახებ შახტის რაიონში გაარჩევს საკავშირო უზენაესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. **ვიშინსკი**—მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, წევრები—ამხ. **ვასილიევ-იუჟინი**, **ანტონოვ-სარატოვსკი**, (უზენაეს სასამართლოს წევრები), დონის მეშახტე—**კურჩენკო**, მოსკოველი მუშა **კისელიოვი** და სათადარიგო წევრები—ამხ. **ერმინი** და **სოკოლოვი**. სახელმწიფო ბრალდებულებად გამოდიან რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე ამხ. **კრილენკო**, რ. ს. ფ. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პროკურორი ამხ. **როგინსკი** და საზოგადოებრივი ბრალმდებლები საქმის გარჩევა დაიწყება 15 მაისს (ადს).

---

10 მაისს, საღამოს 6 საათზე

საკავშირო კომპარტიის, (ბ) ა. კ. საოლქო საკონტროლო კომისიის ბინაზე (რუსთაველის გამზ. 24) შესდგება

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის

მესამე პლენუმი

დღის წესრიგი:

1. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მუშურ-გლეხური მასების ჩაბმის შესახებ.
2. საქართველოში საბჭოთა დემოკრატიის გატარების გამოკვლევის შედეგების შესახებ.
3. ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შემოწმების შედეგები.

სავალდებულოა ს. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო საკონტროლო კომისიის ყველა წევრების დასწრება.

ს. კ. პ. (ბ) ა. კ. საოლქო საკონტროლო
კომისიის თავმჯდომარე ნა[illegible] 1350

სათეატრო თათბირი

მეორე დ[illegible]

კამათი ამხ. მამულიას მოხს[illegible]

ამხ. მამულიას მოხსენების გარშემო კამათი, რომელიც პირველი დღის სხდომაზე დაიწყო, გაგრძელდა მეორე დღის დილისა და საღამოს სხდომებზე. კამათი რამოდენიმედ დასცილდა მომხსენებლის ძირითად თემას-კულტურულ რევოლიუციის და თეატრის საკითხებს და შეეხო უმთავრესად რუსთაველის აკადემიური თეატრის წარსულსა და დღევანდელ საქმიანობას. ორატორების ერთი ნაწილი არ დაეთანხმა მომხსენებლის ქართული თეატრის, უფრო უკეთ, რუსთაველის აკადემიური თეატრის ისტორიის სამ საფეხურად დაყოფაში. ამ ორატორთა აზრით, რომელსაც თავის საბოლოო სიტყვაში დაეთანხმა თვით მომხსენებელიც, თეატრალური ფორმების განვითარების თვალსაზრისით,—რუსთაველის თეატრის ისტორია ორ პერიოდათ ნაწილდება. პირველი პერიოდი 1917 წლიდან 22 წლამდე და მეორე პერიოდი 22 წლიდან,— უკანასკნელ დრომდე როდესაც შეიქმნა მუდმივი დასი და თეატრის მუშაობას ჩაეყარა მხატვრული ხელმძღვანელობის მტკიცე საფუძვლები. ორატორებმა გაიზიარეს მომხსენებლის დებულება იმის შესახებ, რომ შინაარსის,—რეპერტუარის თვალსაზრისით აკადემიურ თეატრს განვლილი აქვს თავის განვითარების სამი საფეხური, რომელთაგან უკანასკნელს ახასიათებს გარკვეული რევოლიუციონური მიმართულება. მაგრამ ზოგიერთ ორატორების დასკვნით ერთი-ორი რევოლიუციონური პიესის დადგმა ვერ განამტკიცებს და ვერ უზრუნველყოფს თეატრის რევოლიუციონურ მიმართულებას. აქ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს მუშაობის მეთოდებსა და ხერხებს. თუ თეატრი ძველ ტრადიციებიდან არ განთავისუფლდება, ძველ მხატვრულ ხერხებს თავს არ დაანებებს, იგი ვერ შეძლებს ძალზე რევოლიუციონურ, თანამედროვე ყოფაქცევის ამსახველ პიესის დადგმას. ამას კი გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. ისტორიულ წარსულიდან აღებული, თუნდაც რევოლიუციონური თემები არ გამოადგება ჩვენს თეატრს, რადგან ისინი სათანადო ემოციონალურ ზეგავლენას ვერ ახდენენ თანამედროვე მაყურებელზე, რომელსაც მთელი სიმძაფრით განუცდია უდიდესი თანამედროვე სოციალური რევოლიუციები. უმჯობესია ჩვენში თეატრებმა, უფრო უკეთ ჩვენმა დრამატურგიამ, გამოხატოს მიმდინარე თანამედროვეობა, შეეხოს ყველა იმ საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც აღელვებს დღევანდელ ადამიანს, შეეცადოს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებსაც აყენებს მებრძოლი პროლეტარიატი და მისი ავანგარდი. გარეშე ამისა, თუნდაც უძლიერესი რევოლიუციონური პიესა, ვერ იქნება თანამედროვე.

ზოგიერთი ორატორები მიუთითებდნენ იმაზე, რომ რუსთაველის თეატრს არა აქვს გარკვეული მიმართულება, მუშაობის განსაზღვრული სისტემა, თავისი საკუთარი სტილი, რასაც შედეგად სდევს ის, რომ ამ თეატრში წმინდა მეშჩანურ ობივატელურ მაყურებლის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ პიესებთან ერთად იდგმება უძლიერესი რევოლიუციონური პიესები. რამოდენიმე ორატორს ეს გარემოება სრულიად ბუნებრივად მიაჩნია, რადგან მათი აზრით 5—6 წელიწადი მცირე დროა იმისათვის, რომ თეატრმა შექმნას თავისი სტილი, თავისი მიმართულება. რუსეთის თეატრები ასეთ სტილს ქმნიდენ ორი და ათეული წლის განმავლობაში. ამ დებულებას უპირდაპირებდენ იმას, რომ რუსთაველის თეატრისთვის ეს დრო საკმაო იყო იმისთვის, რომ გარკვეული ტენდენცია მაინც გამოეჩინა თეატრალურ ფორმების შესაქმნელად ისეთი ფორმების, რომლებიც მას საბოლოოდ ჩამოაშორებდენ ძველი თეატრის ტრადიციებს. ზრ. რობაქიძის აზრით საბჭოთა კავშირში არსებულ ყველა თეატრალურ მიმდინარეობებს, ხშირად ერთიმეორესადმი დაპირდაპირებულ სკოლებს, აქვთ საერთო დამახასიათებელი სტილი, რომელიც შეუმჩნეველია ჩვენთვის, მაგრამ ადვილად შესამჩნევია საბჭოთა კავშირის გარეთ მყოფთათვის,—ევროპიელებისათვის. ეს არის საბჭოთა სტილი, რომელიც ეპოქალური მოვლენაა. ამ საბჭოთა სტილის მატარებელი არის, სხვათა შორის, რუსთაველის თეატრიც. ორატორები შეეხნენ აგრეთვე იმ დაჯგუფებებს, რომლებიც ამჟამად რუსთაველის აკადემიურ თეატრის დასში არსებობს. ზოგიერთებს ეს უბრალო შემთხვევითი მოვლენად არ მიაჩნიათ. მათი აზრით, ჩვენი თეატრის განვითარებამ, ჩვენი მაყურებლების თეატრალურმა გემოვნებამ უკვე მიაღწია იმ დონეს, როცა აუცილებელი ხდება დიფერენციაცია სათეატრო დარგში. ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს პარტიამ და ხელისუფლებამ, ამხ. **ამაღლობელს** მოჰყავს საკავშირო კომპარტიის აგიტპროპის მიერ გამართულ თეატრალური თათბირის დადგენილებანი, რომლითაც ამტკიცებს, რომ საჭიროა არა ერთი თეატრი და არა ერთი თეატრალური სკოლა,არამედ რამოდენიმე. საჭიროა თეატრთა შორის შეჯიბრი, მხატვრული კონკურენცია. ამასთანავე ამავე თათბირის დადგენილებით საჭიროა ფრთხილი და მოქნილი პოლიტიკა ძველი თეატრალური კულტურის გამოსაყენებლად. იგივე ორატორი შეეხო რა თეატრალურ პოლიტიკის ძირითად საკითხს, პირველ რიგში საჭიროდ აღიარა თეატრალურ ძალების სწორი განაწილება, რადგან მისი აზრით, ყოველი თეატრი იქნება დიდი მხატვრული ავტორიტეტით (რეინჰარტი, სტანისლავსკი, მეიერხოლდი, ტაიროვი და სხვა) საჭიროა ჩვენშიაც მოხდეს თეატრალურ ძალების სწორი განაწილება და შეიქმნას მათთვის მუდმივი მუშაობის პირობები. ჩვენი თეატრის უდიდესი ნაკლი არის სეზონობით მუშაობა და მუდმივი დასების უყოლობა. ძალების განაწილებას უნდა თან სდევდეს რესურსების განაწილებაც. ჩვენში დღეს თეატრზე იხარჯება იმდენი, რამდენიც არასოდეს არ დახარჯულა ქართულ თეატრზე, მაგრამ თანხები ჯერ კიდევ თანაბრად და რაციონალურად არ არის განაწილებული. იმ დროს, როდესაც პროვინციის თეატრებს და კლუბებს მუდმივი მტკიცე ბიუჯეტი არ გააჩნიათ, ოპერის ხელოვნურ დადგმაზე 10 ათასობით იხარჯება. ზოგიერთების აზრით საჭიროა ცენტრში ისე მოეწყოს საქმე, რომ შეიძლებოდეს ერთი მუდმივი დასით საქართველოს ყველა კუთხეების შემოვლა. სათეატრო შენობათა აგების საკითხში საჭიროა შეტანილ იქნეს უფრო მეტი გეგმიანობა და ანგარიში გაეწიოს თანამედროვე თეატრის მოთხოვნილებას.

თათბირზე გამოითქვა აზრი იმის შესახებაც, რომ გახსნილ იქნეს ერთი თეატრალური საშუალო სასწავლებელი, რომელიც მოამზადებს კვალიფიციურ ძალებს სასოფლო და საკლუბო სცენებისათვის. კამათში მონაწილეობა მიიღეს—**ჩიქოვანმა**, **კ. მეგრელიძემ**, **ხორავამ**, **ანდრონიკაშვილმა**, **ტ. ტაბიძემ**, **ძღენტმა**, **ს. ამაღლობელმა**, **ზრ. რობაქიძემ**, **აკ. ვასაძემ**, **შ. ჩხეიძემ**, **აკ. ფაღავამ**, **შ. დადუჩავამ**, **ალ. ახმეტელმა** **ნ. შენგელაიამ** და **მამულაიშვილმა**.

დასასრულ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ს. მამულიამ, რომელმაც გაიზიარა ორატორთა მიერ გამოთქმული პრაქტიკული წინადადებები.

კომპოზიტორ სპენდიაროვის ხსოვნას

მეორე დღის საღამოს სხდომის წინ ამხ. დავით კანდელაკის წინადადებით თათბირის დელეგატებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ამ დღეებში გარდაცვლილ სომხეთის რესპუბლიკის სახალხო კომპოზიტორის სპენდიაროვის ხსოვნას.

საქართველოს ბიუჯეტი

XII

წინა წერილში*) ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ბიუჯეტი დეფიციტიანია.

რა ხასიათისაა, საიდგან წარმოიშობა ეს დეფიციტი?

ამ დეფიციტის ფესვები ჩამარხულია იმ ისტორიულ წარსულში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ წარმოადგენდა თვითმპყრობელურ იმპერიალისტურ რუსეთის ერთ-ერთ ჩამორჩენილ განაპირა კუთხეთაგანს. ფეოდალურ - ბურჟუაზიული რუსეთი არ იყო დაინტერესებული საწარმოო ძალების განვითარებაში საქართველოში, მასში ვაჭრობა - მრეწველობის დანერგვაში. მეფის მთავრობას ორგანიულ შიშს გვრიდა ყოველგვარი თანამედროვე ფორმა ეკონომიკის განვითარებისა, მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა. სოფელი გაყინული იყო ნახევრათ ნატურალურ მეურნეობის საფეხურზე, ქალაქში ჩარჩული სავაჭრო კაპიტალი თარეშობდა. სახელმწიფოს სამეურნეო მოქმედება არ შორდებოდა სამხედრო დაპყრობითი პოლიტიკით გამოწვეულ ღონისძიებებს. ეკონომიურ ჩამორჩენილობას თან სდევს კულტურული ჩამორჩენილობაც. მოსახლეობის ფართო მასები მოკლებული იყო ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას განათლების, ჯანმრთელობის და სოციალ. უზრუნველყოფის დარგებში. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა იმპერიალისტურ ომის დროს: მთელი რიგი მეურნეობის დარგებისა დაეცა, ან სულ ჩაკვდა.

თებერვლის რევოლიუციამ საქართველოს ბედ-იღბალი მენშევიკებს გადაახარა. მენშევიკების ბატონობის ხანაზე შეჩერება ზედმეტია, ეს იყო ხანა განუწყვეტელი ომების შიგ და გარეთ, აღვირ ახსნილი სპეკულიაციის, ხალხის დამშევის. საქართველოს მეურნეობის მაჯის ცემა სულ ერთიანად შეწყდა, მიღუნდა, ასეთი მემკვიდრეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ მეფისაგან და მენშევიკებისაგან 1921 წელში. სახალხო მეურნეობა დაცემული, თავის ძირითად კაპიტალის შეჭმის გზაზე შემდგარი, ხალხი გაღატაკებული, საარსებო პურის მონატრული. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით იწყება საქართველოში სახალხო მეურნეობის აღორძინება და ეს აღორძინება ხდება სულ სხვა ეკონომიურ და სოციალურ ბაზაზე. კერძო საკუთრება უმთავრეს საწარმოო საშუალებებზე, როგორიც არის მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, საწარმოო იარაღები და სხვ., საბჭოთა ხელისუფლებამ სამუდამოთ გაუქმებულად გამოაცხადა და ისინი საზოგადო კუთვნილებათ გადააქცია, წინააღდეგობა ფეოდალურ და ბურჟუაზიულ კლასების დაარღვია და ბატონობა მშრომელ კლასებს გადასცა. მხოლოდ ასეთი რევოლიუციამ ეკონომიურ და პოლიტიკურ სფეროში შესაძლებელი გახადა საქართველოს სახალხო მეურნეობის ისეთი სწრაფი ზრდა, რომელსაც განიცდის ის საბჭოთა ხელისუფლების დროს. 7 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო მეურნეობის აღორძინებამ არამც თუ მიაღწია ომის წინა დონეს, არამედ ბევრ დარგებში გადააჭარბა კიდეც. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაჩვენებელი.

სოფლის მეურნეობა

1909 - 1913 წლებში დათესილ მიწების რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 698.200 ჰექტარს, მოსავალი 657.600 ტონს. 1926 წელში დათესილ მიწების რაოდენობა ავიდა 731.200 ჰექტრამდე, მოსავალი 742.200 ტონი. თამბაქო გაშენდა 1913 წელში 10.500 ჰექტარი, მოსავალი მისი უდრიდა 8.900 ტონს. 1926 წელში სივრცე გაშენებულ თამბაქოს პლანტაციებისა ავიდა 14.100 ჰექტარამდე, მოსავალი 11.800 ტონამდე. ასეთივე მიღწევებია მებაღეობაში, სუბტროპიკული კულტურების (ჩაი, მანდარინი) გაშენებაში, მებრეშუმეობაში. მესაქონლეობაში — მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა 1.301.700 თავიდან 1913 წელში გაიზარდა 1.441.900 თავამდე 1927 - 28 წელში; ცხვრის რაოდენობა 1.663.500 თავიდან 1.900.000 თავამდე.

მრეწველობა

კიდევ უფრო სწრაფ და თვალსაჩინო ზრდას განიცდის საქართველოს მრეწველობა, რომელიც ვითარდება ორი მიმართულებით 1) უკვე არსებულ მემკვიდრეობით მიღებულ წარმოებებში. არამც თუ მიღწეულია ომის წინა დონე, არამედ გადაჭარბებულია ბევრათ, როგორც საერთო პროდუქციის გამოშუშავების, ისე მუშათა რიცხვის ზრდისა და სამუშაო ხელფასის გადიდების მხრივ და ყველაფერი ეს ხდება 8 საათის სამუშაო დღის პირობებში. 2) მეორე მიმართულებით, რომელიც გამოიხატება მრეწველობის ახალი დარგების და ახალი წარმოების დაწყებაში, საბჭოთა წყობილების დროს საქართველოში გაკეთებულია გაცილებით მეტი, ვიდრე ყველა წინა რეჟიმის დროს. სახელმწიფო მრეწველობის ახალ აღმშენებლობაზე 4 წლის განმავლობაში, 1923 - 27 წელში, დახარჯულია 17 მილიონი მანეთი, გარდა ელექტროფიკაციისა და ადგილობრივი მრეწველობისა. 1927 - 28 წელში აღმშენებლობაში იმყოფება 21 სამრეწველო ახალშენება. მათ შორის მთავარია: 1) მაუდის ქარხანა თბილისში, 2) ბარიტის წისქვილი ქუთაისში, 3) აბრეშუმის ძაფის სახვევი ფაბრიკები ქუთაისში, ხონში და ოზურგეთში, 4) ცემენტის ქარხანა კასპში, 5) კონსერვის ქარხანა — გორში, 6) ხე-ტყის ქარხანა ბზიფზე (აფხაზეთში) და სხვა. ყველა ამ ქარხნების შენება - დამთავრდება მიმდინარე 1928 წელში, გარდა მაუდის ფაბრიკისა, რომლის დამთავრება განზრახულია 1929 წელში და ცემენტის ქარხნისა, რომელიც დამთავრდება 1930 წელში. ყველა ამ ახალი შენების ღირებულება ხარჯთ-აღრიცხვით გამოანგარიშებული 19 მილიონი მანეთი. ყველაზე დიდი, განსაკუთრებით დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ელექტროფიკაციის განვითარებას ჩვენში, საქართველოს მეურნეობის სრული რეკონსტრუქცია, მისი ახალ ტეხნიკურ ბაზაზე გადაყვანა და განვითარების ტემპის დაჩქარება შეუძლებელია, თუ ჩვენ არ ვიშოვეთ იაფი ენერგია. საქართველოში ბლომად მოიპოვება ეგ. წ. „თეთრი ნახშირი" — მთის მდინარეები, რომელთა გამოყენებით, ჰიდროელექტროსადგურების აშენებით ჩვენ შეგვიძლია სწორედ იმ იაფი ენერგიის შექმნა, რომელიც წარმოადგენს წინასწარ პირობას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალურ განვითარებისათვის. უკვე ამუშავდა ზაჰესი, პირველ ხანად 18.000 ცხენის ძალა, შემდეგში ეს სიმძლავრე შეიძლება აყვანილ იქნეს 54.000 ცხენის ძალამდე მცირე ხარჯის გაწევით. პირველ მაისს ამუშავდა აბაშის ელსადგური, 2.500 ცხ. ძალა, შენდება აჭარის წყალის ელსადგური, რომელიც უნდა დასრულდეს 1929 წელში, შეუდგენ რიონჰესის აგებას, რომელიც უნდა დასრულდეს 1930 - 32 წ. ყველა ამ სადგურებზე უკვე დახარჯულია 22 მილ. მან. და უნდა დაიხარჯოს ამ სამ წელიწადში კიდევ 15-16 მილ. მან. პატარა ელექტროსადგურებზე, რომლებიც აშენდა და აშენდება კიდევ, მე აქ არას ვიტყვი.

მრეწველობის განვითარებაზე რომ ლაპარაკი მოვრჩით, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას აქ ადგილობრივ მრეწველობაზეც. ადგილობრ. მრეწველობა ემსახურება სოფლის ნაწარმოების გადამუშავებას და საადმშენებლო მასალის დამზადებას. ასეთებია ერბო-ყველის ქარხნები, ხილის სახმობი ქარხნები, თხილის სარჩევი ქარხნები, კირის და აგურ - კრამიტის ქარხნები და სხვ. 1926 - 27 წელში დაწყებულია 11 ასეთი ახალი წარმოების აშენება. მათი ღირებულება გამოანგარიშებულია 2 მილიონ მანეთამდე. ზოგი მათგანი უკვე დამთავრებულია ზოგიც დამთავრებულ იქნება ამ საბიუჯეტო წელში.

ასეთივე ზრდას განიცდის მეურნეობის სხვა დარგებიც. რკინის გზის მუშაობა მგზავრების გადაყვანის და ტვირთის გადაზიდვის მხრივ გაიზარდა 20 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით. ვაჭრობაც ძლიერდება, სავაჭრო ბრუნვები წლიდან წლამდე იზრდება. სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების ხვედრითი წონა სავაჭრო ბრუნვაში ყოველ წლობით მატულობს, კერძო ვაჭრობის კლებულობს.

XIII.

საქართველოს მთელი მეურნეობის ასეთი აღორძინების და განვითარების ნიადაგზე ხდება ბიუჯეტის ზრდაც, მისი განვითარება. ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროები ყოველ წლობით იზრდება. როგორც ზევით იყო ნაჩვენები საქართველოს საგადასახადო შემოსავალი, რესპუბლიკანური ბიუჯეტის გათვალისწინებით, გაიზარდა 9.048.449 მანეთიდგან 1926 - 27 წელში, ვიდრე 11.749.940 მანეთამდე 1927 - 28 წელში, ანუ 30 პროც. ეს კოლოსალური ზრდაა, რაც აიხსნება იმ სწრაფი განვითარებით რომელსაც განიცდის საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგები: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, აღებ - მიცემობა. ეს ზრდა კიდევ უფრო დიდათ წარმოგვიდგება ჩვენ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გადასახადებს ჩვენში მკაცრი კლასობრივი ხასიათი აქვს და დიდი ნაწილი მოსახლეობისა გადასახადს სულ არ იხდის, ან თუ იხდის, ძალიან მცირეს. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადს სულ არ იხდიან ის მუშა-მოსამსახურეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში არ აღემატება 1200 მან. არაფერს არ იხდიან სხვა მოქალაქეებიც, თუ მათი შემოსავალი არ აღემატება წელიწადში 800 მანეთს. 1200 მანეთს ზევით შემოსავლიან მუშა - მოსამსახურეებს იბეგრება ძალიან მცირეთ. სამაგიეროთ მაგრათ იბეგრება ყველა არა შრომელი ელემენტები: ვაჭრები, სახლის პატრონები, და სხვა.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადმა 1927 - 28 წელში მოგვცა 2.160.000 მანეთი, რაც შეადგენს მხოლოთ 3 პროც. სოფლის მეურნეობის მთელი პირობითი წმინდა შემოსავლისას.

მერე ვინ გადაიხადა ეს გადასახადი? საქართველოში სულ 430.200 გლეხის ოჯახია. აქედან 193.000 ოჯახი, ანუ 45 პროც., (ღარიბები) ერთ კაპეიკსაც არ იხდის სასოფლო - სამეურნეო გადასახადს, 220.000 ოჯახი. ანუ 51 პროც. (საშუალო შეძლების გლეხები) იხდის 1.540.000 მანეთს ანუ 70 პროც. მთელი გადასახადისას. და 17.200 ოჯახი ანუ 4 პროც., (შეძლებულები) 820.000 მანეთს, ანუ 30 პროც. გადასახადისას. რა სიმძიმით აწევება თვითეულ გლეხის ოჯახს სასოფლო გადასახადი? ღარიბი მეურნე არაფერს არ იხდის, საშუალო შეძლების მეურნე იხდის საშუალოთ 7 მანეთს წელიწადში და შეძლებული კი 50 მანეთს ოჯახზე. აქ კლასობრივი პოლიტიკა სასტიკად დაცულია.

მნიშვნელოვანათ იზრდება აგრეთვე არა საგადასახადო შემოსავალიც. 2.451. 989 მანეთიდან 1926-27 წელში ის ავიდა 2.837.230 მანეთამდე მიმდინარე 1927 - 28 წელში, ე. ი. შემოსავალი გაიზარდა 15,70 პროც. განსაკუთრებით დიდი ზრდა ეტყობა 1927-28 წელში სატყეო შემოსავალს. როცა ის 1.200.000 მანეთიდან 1926-27 წელში გაიზარდა 1.688.500 მანეთამდე, ანუ 40,71 პროც. იზრდებიან, თუმცა არა ასეთი ჩქარი ტემპით, საშემოსავლო წყაროები ა.-კავკასიის, საკავშირო და ადგილობრივი ბიუჯეტებითაც. საქართველოს მთელი ტერიტორიალური შემოსავლის ზრდა 1927 - 28 წელში შეადგენს 8.209.265 მანეთს, ანუ 7,7 პროც., 1926 - 27 წელთან შედარებით. ის ფრიად მნიშვნელოვანი ზრდაა თავისთავათ, მაგრამ ის მაინც სრულებითაც საკმარისი არაა იმისათვის, რომ დაეფაროს ყველა ის გადიდებული ხარჯები, რომელიც გამოწვეულია სამეურნეო აღმშენებლობით და ფართო მასების (წინათ დაჩაგრული) მოთხოვნილებათა არა ჩვეულებრივი ზრდით რევოლიუციის ხანაში. ამ სწორედ ეს „არა ნორმალური" დიდი ხარჯები სოციალისტურ სამეურნეო აღმშენებლობაზე და ფართო მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მცირე შემოსავლიანობა ჩვენი ქვეყნის სუსტი, ეკონომიურათ უკან ჩამორჩენილი სახალხო მეურნეობისა, გვაძლევს შედეგათ იმას, რომ საქართველოს შემოსავალი ვერ ფარავს საქართველოს ყველა გასავალს, ანუ სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ბიუჯეტი საქართველოსი დეფიციტიანია. ეს დეფიციტი, როგორც ზევით იყო აღნიშნული, უდრის 1927 - 28 წელში 18.531.879 მანეთს — ფედერატიულ და საკავშირო ხარჯებში საქართველოს წილის ჩაუთვლელათ, ამ ხარჯების ჩათვლით კი 21.131.879, წინააღმდეგ 1926 - 27 წ. 17.618.079 მან.

XIV.

როგორ შეიძლება მივაღწიოთ ჩვენ უდეფიციტო ბიუჯეტს? არსებობს ორი გზა იმისათვის, რომ ბიუჯეტი შეადგინო უდეფიციტოთ.

ერთი გზა მდგომარეობს იმაში, რომ ხარჯებს არ მისცე გასაქანი, ზრდის საშუალება; ხარჯები შეამცირო, დაიყვანო შემოსავლის დონემდე. მეორე გზა არის — ასწიო შემოსავალი, გაადიდო საშემოსავლო წყაროები.

როგორ ვითარდება ჩვენში ბიუჯეტი?

ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯები ჩვენ მართლაც შევამცირეთ 20 პროც. 1926 - 27 წელთან შედარებით და კურსი გვაქვს აღებული იქითკენ, რომ კიდევ უფრო შევამციროთ ისინი, ვინაიდან გადაჭარბებული ადმინისტრატიულ - სამართველო ხარჯები მძიმე ტვირთათ აწვება ხალხს. რაც უფრო იაფი ჯდება ხელისუფლების შენახვა, მით უფრო მისაღებია ის ხალხისათვის. მაგრამ, რაც შეეხება სოციალ - კულტურულ და საწარმოო ხარჯებს, ისინი არამც თუ არ მცირდებიან, არამედ პირიქით წლიდან წლამდე იზრდებიან.

1926 - 27 წელში ხვედრითი წონა ადმინისტრატიულ ხარჯებისა ბიუჯეტში შეადგენდა 35,4 პროც., სოციალ-კულტურული — 53,9 პროც. და საწარმოო — 10,7 პროც., ამ წელში კი ადმინისტრატიული შეადგენს 31,7 პროც., სოციალ - კულტურული 55.2 პროც. და საწარმოო —13,1 პროც., მთელი სახელმწიფო რესპუბლიკანურ ბიუჯეტის 48 პროც., — 5.656.000 მანეთი—იხარჯება მხოლოდ განათლების კომისარიატზე, შარშან ეს ხარჯები შეადგენდა 5.128.859 მანეთს. ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც დიდი თანხები იხარჯება სოციალ - კულტურულ საჭიროებებზე. ჯამი ამ ხარჯებისა 1927-28 წელში უდრის 15.480.300 მანეთს და შეადგენს მთელი ადგილობრივი ბიუჯეტის 32,7 პროც., იგივე ხარჯები 1926-27 წელში შეადგენდა 13.051.900 მანეთს.

ყველა ეს ციფრები და პროცენტები რომ ცოცხალ ცხოვრებაზე გადავიტანოთ და ამ ცხოვრების თუნდაც ზოგიერთი კუთხეები გავაშუქოთ, დავინახავთ შემდეგ სურათს:

სახალხო განათლების დარგში

სკოლების რიცხვი იყო საქართველოში 1914 - 1917 წელში, ე. ი. მეფის დროს, 1503; 1920 - 21 წელში, ანუ მენშევიკების დროს 1804 და 1926 27 წელში 2083. მოწაფეთა რიცხვი მეფის დროს იყო 138.644, მენშევიკების დროს 183.000 და 1926 - 27 წელში 298.444. მასწავლებელთა რიცხვი უდრიდა მეფის დროს 5.155, მენშევიკების 6.137, 1926-27 წელში 10.671. მოწაფეთა რაოდენობა მხრივ საქართველო წინ დგას, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკები, ან ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნები. 1000 სულ მცხოვრებლებზე მოწაფეთა რაოდენობა მოდის რუსეთში — 63 კაცი, საფრანგეთში— 107, იტალიაში — 112, შვეციაში — 117, საქართველოში — 125 კაცი. საქართველოში — 85 სპეციალური ტეხნიკუმებია (სასოფლო - სამეურნეო, პედაგოგიური, სამრეწველო - ეკონომიური, ქიმიური, ელექტრო-ტეხნიკური და სხვ.).

4 მუშათა ფაკულტეტი,
7 საქარხნო - სამრეწველო სკოლები.
4 უმაღლესი სასწავლებელი.

სახალხო ჯანმრთელობის დარგში

საავადმყოფოთა რაოდენობა შეადგენს 83, ნაცვლად 45 მენშევიკების დროს და 38 მეფის დროს. საწოლები არის 4.265, ნაცვლად 1043 მენშევიკების დროს და 1985 მეფის დროს; სასოფლო საექიმო პუნქტები 233, ნაცვლად 117 მენშევიკების დროს და 36 მეფის დროს.

როგორც ხედავთ მიღწევები ამ მოკლე დროში დიდია. ხარჯები სოციალ-კულტურულ საჭიროებებზე კი არ მცირდება, არამედ მატულობს ყოველ წლობით, და ეს ასეც უნდა იყოს. ყველაზე კარგი წესწყობილება ის წყობილებაა, რომელიც ყველაზე უფრო ფართოდ და სრულად აკმაყოფილებს მშრომელი კლასების მოთხოვნილებებს, მათ შორის სოციალ - კულტურულ მოთხოვნილებებსაც.

საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება პირველ ადგილას არ დააყენოს თავის ბიუჯეტში. მართალია ამ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ფინანსიურ საშუალებების ნაკლებობის გამო, მაგრამ მათი შეკვეცაც იმ ზომამდე, როგორიცაა ჩვენი საშემოსავლო რესურსები, ესეც შეუძლებელია, რადგან ეს იქნებოდა ხალხის წინსვლის ძალდატანებით შეჩერება, უკან დახევინება. ასეთივე, თუ მეტიც არა, იმპერატიულ აუცილებლობას წარმოადგენს დიდი ხარჯების გაღება სამეურნეო აღმშენებლობაზედაც. საქართველო ჩამორჩენილი ქვეყანაა ეკონომიურათ და ტეხნიკურათ.

საჭიროა დიდი კაპიტალის ჩადება საქართველოს სახალხო მეურნეობაში, რომ სწრაფათ განვითარდეს მისი საწარმოო ძალები და საუკუნოებით მკვდრათ დებული ბუნების სიმდიდრენი გადაიქცნენ ხალხის კეთილდღეობის წყაროებათ.

აშკარაა, ვერც ერთ ამ ხარჯს საქართველოს ბიუჯეტი გვერდს ვერ აუქცევს, ეს ხარჯები აუცილებლად უნდა იქნან გაწეული, თუ ჩვენ არ გვინდა, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა დაემსგავსოს იმ კაპიტალისტურ ქვეყნებს, სადაც მშრომელ მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უკანასკნელ ადგილზეა დაყენებული.

ამ ხარჯების შეკვეცა საქართველოში მოასწავებდა სასკოლო, საექიმო და საგრიკულტურო ქსელის სანახევროთ შემცირებას, ჰიდრო - ელსადგურის და ფაბრიკა - ქარხნების მშენებლობის შეჩერებას და ქართველი ხალხის ძველებურათ სიბნელეში და სიღარიბეში დატოვებას.

ამიტომ გზა ხარჯების იმდენათ შემცირებისა, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი არ აღემატებოდეს საშემოსავლო ნაწილს, რათა ამით მივაღწიოთ უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენას, საქართველოს დღევანდელ პირობებში რეაქციონურია და ჩვენთვის მიუღებელი.

ერთათ - ერთი სწორი და ჩვენთვის მისაღები გზა საბიუჯეტო დეფიციტის ლიკვიდაციისათვის არის ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროების გაზრდა, მათი გადიდება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სახალხო მეურნეობის შემოსავლიანობის გაზრდით. საქართველოს ინდუსტრიალიზაცია — აი ერთათ ერთი რადიკალური საშუალება სახალხო მეურნეობის შემოსავლიანობის გასაზრდელად. ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს მრეწველობის განვითარებას, ნედლი მასალის პროდუქტათ გადამუშავებას განვითარებული ტეხნიკური საშუალებებით, მანქანური წესით. რადგან 5-6 წელია მას შემდეგ, რაც საბჭოთა საქართველო შესდგა ინდუსტრიალიზაციის გზაზე და ამ მოკლე ხანშიც ზოგი რამე გაკეთებულა ამ სფეროში. უმთავრესი ამ გაკეთებულთა რიცხვში არის, უეჭველათ, საქართველოს ელექტროფიკაცია. **იაფი ენერგია** — აი ის გამოსავალი წერტილი, საიდანაც უნდა დაიწყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება. და ამ მხრივ თბილისის პროლეტარიატის პირველი ნაბიჯი ინდუსტრიალიზაციის გზაზე — ზაჰესის აშენება — უნდა ჩაითვალოს საუკეთესო გამოხატულებათ საქართველოს მუშათა კლასის შორსმჭვრეტელობისა და ფართო აზროვნებისა.

თვითმპყრობელობის დროს, ან მენშევიკების ბატონობის ხანაში, ან და რომელიმე სხვა ბურჟუაზიული წყობილების პირობებში საქართველოს ინდუსტრიალიზაციაზე ფიქრიც ოცნება იქნებოდა და მეტი არაფერი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა ყველა ის პირობები, რომლებიც საჭიროა საქართველოს სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის. პოლიტიკური ძალაუფლება თვით მწარმოებელ კლასების ხელში, ზედმეტი პროდუქტის მიმთვისებელი კლასის — კაპიტალისტების კლასის დათრგუნვა, გარეშე ვაჭრობის მონოპოლიის გზით უცხო კაპიტალისტური ქვეყნების — ეკონომიურათ უფრო ძლიერი ქვეყნების მეტოქეობის თავიდან აცილება და საქართველოს სამეურნეო მუშაობის საბჭოთა კავშირის და ფედერატიული კავშირის სამეურნეო გეგმასთან შეთანხმებული მუშაობა არის სწორეთ ის პირობები, რომლებიც ქმნიან განუსაზღვრელ შესაძლებლობას საქართველოს სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებისათვის. თუ მეფის დროს, ან ბურჟუაზიულ ბატონობის პირობებში საქართველო მუდამ დარჩებოდა კოლონიათ, ნედლი მასალის მიმწოდებელ ქვეყნათ, დღეს მაგრათაა აღებული კურსი, რომ საქართველოს ნედლეული საქართველოშივე გადამუშავდეს.

შენდება ფაბრიკები, რომლებმაც უნდა გადაამუშაოს საქართველოში შეგროვილი მთელი რაოდენობა აბრეშუმის პარკისა, მატყლის, ხილეულობის და სხვა.

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მოხსნილია ყოველივე საბაჟო ზღუდეები და მთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ნაწარმოებისათვის გახსნილია ფართე გასასაღებელი ბაზარი რუსეთის, უკრაინის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების, და წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთათვისაც ღიაა ჩვენი კარები მათი ნაწარმოებების ჩვენში უბაჟოთ შემოსატანათ.

ფრიად დიდი თანხები იხარჯება უდაბნო მიწების მოსარწყავათ და ჭაობი მიწების ამოსაშრობათ. სოფლის მეურნეობაში თანდათან ფეხს იკიდებს ახალი ფორმა შრომის ორგანიზაციისა — კოლექტიური მეურნეობები, — ახალი მეთოდები მუშაობის, ახალი საწარმოო იარაღები - ტრაქტორი, სახნავი, სალეწი მანქანები, ახალი უფრო რენტაბელური კულტურები, ნაცვლად ძველი არარენტაბელურისა, ყველა ეს ღონისძიებები მიმართულია სახალხო მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ეკონომიური ბაზის განმტკიცებისაკენ. თვითეული ახლათ აშენებული ფაბრიკა, თვითეული ელექტრო-სადგური, თვითეული ახლათ გაყვანილი სარწყავი არხი წარმოადგენს ახალ წყაროს სახალხო მეურნეობის შემოსავლიანობის გასაზრდელათ. სახალხო მეურნეობის ეკონომიური ბაზის ზრდა გამაგრებასთან ერთათ იზრდება და დიდდება საშემოსავლო რესურსები ჩვენი ბიუჯეტისაც და შორს აღარ არის ის დრო, როცა საქართველოს ბიუჯეტი დეფიციტიანიდან გადაიქცევა უდეფიციტოთ. ხალხის მოთხოვნილებათა მაქსიმალურათ დაკმაყოფილებასთან ერთათ. ვიდრე ეს მომენტი დადგებოდეს საქართველოს ბიუჯეტი იძულებულია ისარგებლოს საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით დოტაციის, სუბვენციის თუ სესხის სახით. ეს დახმარება საბჭოთა კავშირის მხრივ საქართველოსადმი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, იმ ისტორიული უსამართლობის გამოსწორებას, რომელიც გამოიხატებოდა ცენტრალურ იმპერიალისტურ რუსეთის მიერ განაპირა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ექსპლოატაციაში, მისი განზრახ სიბნელეში და სიღარიბეში დატოვებაში. დიდი ნაწილი ამ დახმარებისა დოტაციის და სუბვენციის სახით წარმოადგენს უკან დაუბრუნებელ თანხებს. ისტორიამ არ იცის ასეთი მაგალითი, რომ ერთი ბურჟუაზიული ქვეყანა ეხმარებოდეს მეორეს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში აძლევდეს ამ მიზნით მილიონებს უპროცენტოთ, უსასყიდლოთ, უკან მოუთხოვნელათ. ეს შესაძლებელია მხოლოდ დედამიწის ზურგის იმ მეექვსედ ნაწილში, სადაც მუშათა კლასის თავგადადებული და დაუღალავი შრომით, ინტერნაციონალური სოლიდარობის დროშის ქვეშ, შენდება ახალი სოციალისტური წყობილება, იქ იზრდება ახალი უკლასო საზოგადოება.

საბჭოთა საქართველოს სწრაფი განვითარება უზრუნველყოფილია, იმით, რომ ისიც აქტიური მონაწილეა ამ მშენებლობის, ისიც წევრთაა ამ დიდი კოლექტივის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის.

გ. მგალობლიშვილი.

(დასასრული იქნება).

---

*) იხ. „კომუნისტი" № 104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა.-კ. პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა

მეორე სხდომა

8 მაისის დილის სხდომაზე მოხსენებით სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. ბაგრიშევოვი.

ტას.

სარევიზიო კომისიის მოხსენება

ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს სარევიზიო კომისია შესდგება 5 წევრისა და სამი კანდიდატისაგან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სარევიზიო კომისიამ ჩაატარა 5 რევიზია, დაახლოებით ყოველ სამ თვეში ერთი რევიზია. დებულების თანახმად ჩვენ ყოველ სამ თვეში უნდა მოგვეხდინა პროფსაბჭოს მუშაობის შემოწმება, მაგრამ ეს არც საჭირო იყო და არც მოსახერხებელი, იმიტომ, რომ სარევიზიო კომისიის წევრების შეკრება არც ისე ადვილი საქმე იყო.

ჩემს მოხსენებაში მე შევეხები სარევიზიო კომისიის ძირითად საქმიანობას ამ ხნის განმავლობაში. უპირველესად ყოვლისა ჩვენ ვსინჯავდით სამეურნეო-ადმინისტრატიულ ხარჯებს, ვეხებოდით საქმის წარმოებას, თანხების სისწორით დახარჯვის საქმეს, ნაირნაირთა ფონდების განაწილებას, ქონებას და სხვ.

ა.-კ. პროფსაბჭოს თავის არსებობის განმავლობაში სულ დაუხარჯავს 118.183 მანეთი. იყო შემთხვევები, როდესაც ა.-კ. პროფსაბჭოს ხარჯთაღრიცხვაზე უფრო მეტ თანხებს, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ხარჯთაღრიცხვით, მაგრამ ეს თანხები მაინც და მაინც დიდი არ იყო.

პროფსაბჭოს ბუღალტერია მუშაობდა ამერიკული სისტემით, მაგრამ საქმე ისე ცუდად იყო დაყენებული, რომ ჯაკა ვერაფერს ვერ გაიგებდა. ჩვენ ამ დარგში მივეცით სათანადო მითითებები, რომელთა ცხოვრებაში გატარების შემდეგ საფინანსო ანგარიშის საქმემ საბჭოში წინ წაიწია.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე ა.-კ. პროფსაბჭოს ბიუჯეტის განაწილებას ხარჯების სხვადასხვა პუნქტებზე და ამბობს, რომ მომავალში ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს საჭიროა საშემოსავლო-გასავლის თვითეული მუხლის მეტი ყურადღებით შესწავლა.

კამათი ამხ. იაკუბოვის მოხსენების გარშემო

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი ა.-კ. პროფსაბჭოს მოხსენების გარშემო.

ამხ. ჯანგიროვი

(განჯა)

ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ უმთავრეს დარგს წარმოადგენს ტრანსპორტი. მე მინდა შევეხო ა.-კ. რკინიგზებზე და კერძოდ განჯის რაიონში კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების და გამოყენების საქმეს. ეს დარგი ვერ არის სათანადოდ დაყენებული ჩვენს რაიონში, საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

ამხ. ჯანგიროვი ეხება აგრეთვე მუშაობას წარმოებაში და ამბობს, რომ განჯის საყუდში ვერ არის შექმნილი ხელსაყრელი პირობები წარმოების ნაყოფიერების აწევისათვის. უნდა ითქვას, რომ ჩვენს ტრანსპორტს ა.-კ. პროფსაბჭო არ აქცევს დიდ ყურადღებას, საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება.

ამხ. შევლახოვი

(სამხრეთ-ოსეთი)

ა.-კ. პროფსაბჭოს მუშაობის მიღწევებზე ჩვენ აქ ვილაპარაკებთ, ვინაიდან ეს მიღწევები თვალსაჩინოა ყველასათვის. მიღწევებთან ერთად ჩვენს მუშაობას აუცილებლად აქვს ნაკლულოვანებანი. კულტურულ მუშაობისათვის დახარჯული თანხა მილიონებში გამოიხატება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მილიონები მცირე გამოკლებით დახარჯულია ცენტრში. საჭიროა კია, რომ კულტურულ მუშაობის გაძლიერებას ყურადღება მიექცეს პერიფერიებში.

ამხ. შევლახოვი შემდეგ შეეხო მუშათა საბინაო აღმშენებლობას, ჯანმრთელობის დაცვას, ადგილებზე მომზადებულ მმართველ-მუშაკების ნაკლულოვანებებს და სხვა.

ამხ. მიაგკოვი

ამხ. მიაგკოვი ეხება ა.-კ. პროფსაბჭოს მუშაობას გასულ საანგარიშო პერიოდში და ამბობს: ამხ. იაკუბოვის მოხსენებიდან ჩვენ დავინახეთ თუ რა დაბრკოლებები გადაულახავს თავის მუშაობის მსვლელობაში ა.-კ. პროფსაბჭოს.

საჭიროა მეტი ხელმძღვანელობა გაეწიოს ადგილებს მუშაობის ყველა დარგებში.

საწარმოთ თათბირების მუშაობა ამ ბოლო ხანებში დიდი სიცხოველით მიმდინარეობს, მაგრამ მუშების წინადადებებს ადმინისტრაცია არ აქცევს სათანადო ყურადღებას, საჭიროა ამ მხრივ მეტი ყურადღება.

ამხ. ავეტოვი

(აზერბეიჯანი)

ამხ. ავეტოვი ეხება ა.-კ. მრეწველობის განვითარებას და აღნიშნავს, რომ ჩვენ მართალია მივდივართ წინ მრეწველობის განვითარების სფეროში, მაგრამ მეტი ენერგიის გამოჩენაა საჭირო პროფორგანიზაციების მხრიდან.

მუშაობის ინტენსიურად მსვლელობა დამოკიდებულია შეცდომების გათვალისწინებაზე და მათი აღნუსხვით შემდგომი მუშაობის გაფართოებაზე. აი სწორედ აქეთ უნდა იქნას მიქცეული ჩვენი ყურადღების ცენტრი.

შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ფრიკამ, შალაშვილმა, ჩერქასოვმა, მირზოიანმა, კარაკოზოვმა, ვოლჩენკოვმა, ხაჩიძემ, ატოევმა და სხვებმა.

მესამე სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. იაკუბოვის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მინასოვმა, ბარნაბიშვილმა, არაქელოვმა, ორჯონიკიძემ, პოლოსიანმა, ჯივატმა, მამედოვმა, ანთიძემ, მელიქიანმა; პოდოლსკიმ და ბაგირბეკოვმა.

ორატორებმა აღნიშნავდენ პროფსაბჭოს მიღწევებს ადგილებზე და მიუთითებდენ ყრილობას ზოგიერთ დეფექტებზე რომელთა გამოსასწორებლად მიღებული უნდა იქნეს საჭირო ზომები.

ამხ. იაკუბოვის საბოლოო სიტყვა

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. იაკუბოვი. მომხსენებელი შეეხო უმთავრესად ქალთა შორის მუშაობას და აღნიშნა, რომ 1926 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის ა.-კ. პროფკავშირთა წევრებს შორის ქალები შეადგენდენ 17,8 პროცენტს. საერთოდ კი ქალების რიცხვი ა.-კ. პროფკავშირებში უდრის 52.200. რაც შეეხება უმუშევრობას ქალთა შორის, უნდა ითქვას, რომ უმუშევარი ქალები უმუშევართა საერთო რიცხვის 29,1 პროცენტს შეადგენენ, უმუშევრობა ქალთა შორის მცირდება უკანასკნელ ხანებში. ეს შემცირება გამოიხატა 0,2 პროცენტში.

იზრდება ქალების მონაწილეობა პროფესიონალურ მუშაობაში. ასე, მაგალითად, 27 წლის პირველ ივლისისათვის ბაქოს მუშათა კლუბებში ქალები შეადგენდენ წევრების საერთო რიცხვის 23,3 პროცენტს. წრეებში ჩაბმული იყო 22,2 პროცენტი. საქართველოში მუშათა კლუბებში ქალების რიცხვი უდრიდა 24,9 პროცენტს. წრეებში ჩაბმული იყო 22,6 პროცენტი. მრავლად არიან ჩაბმული ქალები აგრეთვე ფიზკულტურის წრეებში. ფიზკულტურის დღესასწაულის ჩატარებამ შარშან დაამტკიცა, რომ ფიზკულტურის წევრთა საერთო რიცხვიდან ქალები შეადგენდენ 23,3 პროცენტს. ამრიგად, ქალთა აქტივი ამიერკავკასიაში თანდათან იზრდება.

თუ პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი ჰქონდა დეფექტებს, ეს დეფექტები ახასიათებდა არა მარტო ამიერკავკასიის პროფსაბჭოს მუშაობას, არამედ ყველა პროფორგანიზაციების მუშაობასაც. აქ ორატორები კითხულობდენ—სრულდება თუ არა მაღლა მდგომ ორგანიზაციების დირექტივები. მე ჩემს მოხსენებაში ხაზი გაუსვი, რომ დირექტივების დიდი ნაწილი სრულდება. აი ყველა ის, რისი თქმაც მე მინდოდა. (ტაში).

ამხ. იაკუბოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ ამხ. რაგიმოვის წინადადებით ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოს მუშაობა მოიწონა და მისი პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად. დაწვრილებითი რეზოლუციის გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა ცალკე კომისია.

მისალმებანი

თბილისის საბჭოსაგან

რეზოლუციის მიღების შემდეგ ყრილობას მიესალმა თბილისის საბჭოს წარმომადგენელი ამხ. კუდრიავცევი.

— ამხანაგებო, იმ მუშაობასთან ერთად, რომელსაც აწარმოებენ პროფესიონალური კავშირები, მათ დაკისრებული აქვთ აგრეთვე სახელმწიფოებრივი მუშაობაც, რომელიც გამომდინარეობს სოციალისტური აღმშენებლობის ინტერესებიდან. აი ამიტომ დღევანდელ ყრილობას არ შეუძლია არ იფიქროს სახელმწიფოს ინტერესებზე და მე ვფიქრობ ამ ყრილობაზე აღნიშნული და სათანადოთ შეფასებული იქნება სოციალისტური აღმშენებლობის ყველა მომენტები.

შემდეგ თბილისის საბჭოს პლენუმის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ამატუნი.

საქართვ. ინჟენერ-ტეხნიკოსების მისალმება

საქართველოს ინჟენერებისა და ტეხნიკოსების სახელით ყრილობას მიესალმა ინჟ. კაკაბაძე.

— ჩვენ, ინჟენრები და ტეხნიკოსები,—ამბობს ინჟ. კაკაბაძე,—არ შეგვიძლია დაინტერესებული არ ვიყოთ პროფესიონალური საკითხებით; ჩვენ თანდათან ვებმებით პროფესიონალურ მუშაობაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების სწორად და მიზანშეწონილად გამოყენებაზე, ამ ძალების საზოგადოებრივ მუშაობაში ფართოდ ჩაბმაზე და მათი მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის წარმატება, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობამ, კერძოთ ამიერ-კავკასიის მეურნეობამ, არა მარტო მოიშუშა ჭრილობები, რომლებიც მას მიაყენა იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა, არამედ დიდი ნაბიჯიც გადადგა წინ. ამ მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვით ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალებს, რადგან ისინი ხელმძღვანელობდენ ფაბრიკების და ქარხნების აღდგენას.

ინჟენერები ეხლაც განაგრძობენ ამ მუშაობას, იციან რა, რომ აღმშენებლობა სწარმოებს ჩვენი მშობლიური ქვეყნის, ჩვენი მშობლიური ხალხისათვის. მაგრამ ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ მიღწეული შედეგებით. ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩენილი ვართ ევროპისა და ამერიკისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება სწრაფი ტემპით მიდის. აუცილებელია გამოყენებულ იქნეს გაუმჯობესებული ტეხნიკა, რომელსაც ფართოდ იყენებენ საზღვარგარეთ. ამისათვის საჭიროა ტეხნიკური ძალების მივლინება საზღვარგარეთ, სხვადასხვა კურსების მოწყობა და სხვა.

საჭიროა სპეციალისტების უფრო მიზანშეწონილად გამოყენება, მათი უფლებების და მდგომარეობის მოგვარება, კვალიფიციური მუშა ხელის მომზადება და სხვა, რომელთა გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ჩვენმა პროფორგანიზაციებმა.

ინჟ. ამხ. ტომსკის თქმით, მაღალი კვალიფიკაციის მუშები არიან და ისინი მუშათა კლასის მთელ დანარჩენ მასასთან ერთად ჩაბმულნი უნდა იქნენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ისინი უნდა ჩაებან საზოგადოებრივ მუშაობაში, პროფესიონალურ მუშაობაში და მაშინ ნაკლები ადგილი ექნება შეცდომებს და დეფექტებს ჩვენს აღმშენებლობაში. რასაკვირველია, შეცდომები შესაძლებელია ისეთ დიდ აღმშენებლობაში, როგორიც ეხლა სწარმოებს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვითმენთ ისეთ ბოროტ შეცდომებს, რომლებსაც სჩადიოდენ შახტის მოღალატეები (ტაში).

ყოველ ოჯახში გამოერევა მახინჯი წევრი. 120.000 ინჟენერზე და ტეხნიკოსზე, რომელიც ითვლება მთელ საბჭოთა კავშირში, მოდის 12—15 მოღალატე. ეს უმნიშვნელო პროცენტია, რომელსაც არ შეუძლია ჩრდილი მოჰფინოს ინჟენრების მთელ დანარჩენ მასას, რომელიც პატიოსნად ემსახურება სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენ ვფიქრობთ, და ამას მოითხოვს მშენებლობის ინტერესები, რომ ამ ამბის შემდეგ დამოკიდებულება სპეცებისადმი მთავრობისა, პროფორგანიზაციებისა, პარტიისა და შეგნებული მუშების მხრიდან არ შეიცვლება. ეს დამოკიდებულება დარჩება ისეთივე როგორიც იყო ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადის ამხ. ლენინის მხრიდან (ტაში).

შემდეგ მეჭედავთა სახელით ყრილობას ესალმება ამხ. გ. ღლონტი და მელითონეების სახელით—ამხ. დევდარიანი.

დასასრულ ამხ. ხარაბაძე ყრილობას აცნობს მისასალმებელ დეპეშას, რომელიც მიღებულ იქნა საკავშირო პროფსაბჭოსაგან.

ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს, პროფინტერნს და ამიერ-კავკასიის ცაკს. მისასალმებელი დეპეშების ტექსტის შემუშავება დაევალა პრეზიდიუმს.

ამით დაიხურა 8 მაისის საღამოს სხდომა.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან

ქვემოდ დასახელებული პირები გამორიცხული არიან საქართველოს კომპარტიის რიგებიდან ტროცკისტულ ოპოზიციის წევრობისათვის:

ოზურგეთის ორგანიზაციიდან: საბა ათანასის ძე ქიქავა, ვლადიმერ ივანეს ძე ფარუაშვილი, ონიფანტე ფილიპეს ძე ჯოჯუა, ბაგრატ გალაკტიონის ძე ქუტალია, კონდრატე იოსების ძე გაჯიანი.

აჭარისტანის ორგანიზაციიდან: ტარასი ეპიფანეს ძე სიხარულიძე; ვასილ ანდრიას ძე მეგრელიძე; სარდიონ ლუკას ძე ბოლქვაძე; სამსონ ექვთიმეს ძე ქემელავა.

თბილისის ორგანიზაციიდან: ისიდორე სტილიანის ძე თალაკვაძე; გრიგოლ მიქელის ძე მიროტაძე; ოლღა სტეფანეს ასული ოკუჯავა; ლუკა ივანეს ძე ეკიზაშვილი; ნიკოლოზ ოქროპირის ძე ქელიძე; ალექსანდრე ესტატეს ძე თვალაძე; ნინა მოსეს ასული კალანდაძე; ივანე ალექსანდრეს ძე სირაძე; შუშანიკ ნესტორის ასული გაღდავა; ანეტა ტიტეს ასული კალაძე; ალექსანდრე ელიასის ძე დარახველიძე; ნინა გიორგის ასული დიდებაძე; დავით დიმიტრის ძე ბზიავა; როდე გრიგოლის ძე მელანკოვიჩ; აგრაფენა ეფრემის ასული ჯალაღანია; [illegible] ფილიპეს ასული გოლიძე; კაპიტონ ევტიხის ძე გოგიბერიძე; ილია ლავრენტის ძე კილაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია.

შორდებიან ოპოზიციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოიტანეს განცხადებები ოპოზიციისაგან იდეურად და ორგანიზაციულად გამიჯვნის შესახებ საქართველოს კომპარტიის აჭარისტანის ორგანიზაციის შემდეგმა წევრებმა:

ივანე წილოსანი მუშა, პარტიის წევრი 1917 წლიდან, მოსე მეგრელიძე, მოსამსახურე—პარტიის წევრი 1917 წლიდან, გრიგოლ დოლიძე, მუშა, პარტიის წევრი 1918 წლიდან, დომენტი ქუტუბიძე, მუშა, პარტიის წევრი 1918 წლიდან, ვარლამ კუნჭულია, მოსამსახურე, პარტიის წევრი 1918 წლიდან, ნოე სიხარულიძე, მუშა, პარტიის წევრი 1918 წლიდან, სარდიონ აბუსერიძე, მუშა, პარტიის წევრი 1920 წლიდან, გრიგოლ მიქაშავიძე, მუშა, პარტიის წევრი 1924 წლიდან, ივანე სამონიშვილი, მუშა, პარტიის წევრი 1925 წლიდან, ივანე სიხარულიძე, მუშა, პარტიის წევრი 1917 წლიდან, რომან ხილაკაძე, მუშა, პარტიის წევრი 1924 წლიდან, ვასილ გაბრიჩიძე, მუშა, პარტიის წევრი 1924 წლიდან, ტარასი ქურაშვილი, მუშა, პარტიის წევრი 1924 წლიდან, მირონ ლომთათიძე, მუშა, პარტიის წევრობის კანდიდატი 1926 წლიდან.

კომკავშირის საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 8 მაისი. 6 მაისს კომკავშირის მერვე საკავშირო ყრილობის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბუხარინის ვრცელი მოხსენება სოციალისტური აღმშენებლობის შედეგების და პერსპექტივებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესახებ.

7 მაისს დილის სხდომაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კომკავშირის შახტის ორგანიზაციის წარმომადგენელი. მან ყრილობას გააცნო ორგანიზაციის ნაკლულოვანებანი, რომელთაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შახტის საქმეში. ამჟამად ორგანიზაციაში ადგილი აქვს გარდატეხას, რაც, სხვათა შორის, გამოიხატება იმაში, რომ უპარტიო ახალგაზრდა მუშების კონფერენციაზე 600 ახალგაზრდა შევიდა კომკავშირში.

შახტის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ყრილობას საჩუქრად შეაწოდა ელექტრო-მაღაროს და მაღაროს მოდელი. შემდეგ საკავშირო ლენინურ კომკავშირის ცეკას სახელით მოხსენებით გამოდის ცეკას გენერალური მდივანი ამხ. ჩაპლინი.

საკ. ა.ლ.კ.კ. ცეკას მოხსენება

საკავშირო ლენინურ კომკავშირის ცეკას მტკიცე კლასობრივმა ხაზმა—აღნიშნავს ამხ. ჩაპლინი,—ხელი შეუწყო კომკავშირის, როგორც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების რეზერვის, როლის მნიშვნელოვნად გადიდებას. უკანასკნელ წლებში კომკავშირმა პარტიას მისცა 300.000-ზე მეტი წევრი. ქალაქის საბჭოებში მუშაობს 6,000 კომკავშირელი, სასოფლო საბჭოებში—69.000, პროფკავშირთა აქტივში—128.000. არმიაში და ფლოტში კომკავშირელთა რიცხვი აღწევს 130.000-ს.

ეხება რა კომკავშირის მუშაობის ახალ მეთოდებს, ჩაპლინი ამბობს:

— ეს მეთოდები სავსებით გამართლდა. საინიციატივო კადრების და ახალი ყოფა-ცხოვრების გამტარებელ ჯგუფების შექმნა, მოსახლეობის კოოპერაციაში გაერთიანების და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის გაძლიერება,—მთელი ეს ნებაყოფლობითი მოძრაობა არის განხორციელება ლენინის იდეის, რომ კომკავშირი უნდა გახდეს ინიციატორი მუშაობის ყველა დარგში.

ამხ. ჩაპლინმა აღნიშნა სამი დეფექტი კომკავშირის მუშაობაში და აქედან გამომდინარე [illegible].

პირველი—კომკავშირის ხელმძღვანელობა ვერ შეეწყობოდა მასების აქტივობას, კომიტეტებში ხშირად ადგილი აქვს კონსერვატიზმს და საქმისადმი კანცელარიულ დამოკიდებულებას. მეორე—ჩვენ ვხედავთ კავშირის [illegible] აქტივსა და კომკავშირის დანარჩენ მასას შორის არა მარტო მუშაობაში, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიაც. დაბოლოს, მესამე—[illegible] კავშირის [illegible] კომკავშირისა და დანარჩენ მშრომელ ახალგაზრდობას შორის. საჭიროა, რათა მშრომელი ახალგაზრდობა უფრო სისტემატიურად აკრიტიკებდეს კომკავშირის მუშაობას. საჭიროა მუშაობის გაძლიერება ახალგაზრდა მუშების უპარტიო აქტივთან.

შემდეგ ამხ. ჩაპლინი აღნიშნავს, რომ ყრილობამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მოზარდთა და ახალგაზრდა მუშების სწავლა-განათლების საკითხებს. მრეწველობის რაციონალიზაცია აყენებს აგრეთვე საქარხნო-საფაბრიკო სკოლების რეორგანიზაციის საკითხს, ვინაიდან ახალი მანქანების და დაზგების შემოღება ადიდებს მოთხოვნილებას მაღალ კვალიფიკაციის მუშებზე.

გადადის რა კომკავშირის მუშაობაზე სოფლად, ამხ. ჩაპლინი აღნიშნავს, რომ არსებობს [illegible] სწორ პოლიტიკურ ხაზსა და არასწორ პრაქტიკას შორის ამ საკითხში. კომკავშირელების, მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების საბჭოთა ხელისუფლებისადმი უდიდესი ერთგულების მაგალითებთან ერთად, ჩვენ ვხვდებით ფაქტებს, როცა კომკავშირის უჯრედები კულაკების [illegible] ხდებიან. ცუდია აგრეთვე ის, რომ მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები კომკავშირში ნაკლებ აქტიური არიან, საშუალო აქტივობას იჩენს საშუალო გლეხობა და ყველაზე უფრო აქტიური კი შეძლებული გლეხობაა. საჭიროა ავსწიოთ ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეების აქტივობა და გავსწმინდოთ ორგანიზაციები კულაკურ ელემენტებისაგან. ამ შემთხვევაში არ უნდა შევჩერდეთ ორგანიზაციის შემოწმების წინაშეაც. კომკავშირის უჯრედები არ უნდა იმალებოდენ კულისებში, არამედ გაბედულად უნდა გამოვიდნენ კლასობრივ ბრძოლის ასპარეზზე სოფლად, უნდა დარაზმონ მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები და ხელი შეუწყონ კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობა-აღორძინებას.

— კლასობრივი ბრძოლა,—ამბობს ამხ. ჩაპლინი—სხვადასხვა ფორმებს ღებულობს. ამჟამად კომკავშირს უმთავრესად ნიშანში უნდა ჰქონდეს ამოღებული რელიგია, შოვინიზმი და მეშჩანობა. საჭიროა პოლიტგანმანათლებელი მუშაობის გაძლიერება,—მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თეორიტიულ საკითხებს. რევოლუციონური თეორია საინტერესო უნდა გავხადოთ მასებისათვის. კრებები უნდა გამოვაცოცხლოთ დისპუტისა და სხვა მეთოდების საშუალებით. ყველაფერი ეს შესაძლოა ბოლშევიკურ თვითკრიტიკის საფუძველზე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ პარტიის ხელმძღვანელობა კომკავშირის მიმართ არ იყო დამაკმაყოფილებელი. პარტორგანიზაციები ხშირად საკმაოდ ვერ აფასებდენ კომკავშირის რევოლუციონურ ენერგიის გამოყენების შესაძლებლობას და მთელ რიგ ადგილებში ზღუდავდენ კომკავშირის ინიციატივას. თუ პარტია ბოლომდე გამოიყენებს კომკავშირის რევოლუციონურ ენერგიას, ის უფრო ადვილად შეასრულებს ყველა თავის ამოცანებს და მიაღწევს სოციალიზმის გამარჯვებას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში.

7 მაისის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება, რის შემდეგაც გაიხსნა კამათი ამხ. ბუხარინის და ჩაპლინის მოხსენებების გარშემო.

საღამოს სხდომის ბოლომდე ილაპარაკა 9 კაცმა. (ადს).

თბილისის მუშკორების საყურადღებოდ

დღეს, 9 მაისს, საღამოს ზუსტ 7 საათზე, ცენტრ. მუშათა კლუბში შესდგება თბილისის ყველა პერიოდულ და კედლის გაზეთების მუშკორთა საქალაქო კრება, დღის წესრიგში სდგას საინსტრუქციო მოხსენება მუშკორთა მონაწილეობის შესახებ კომუჯრედის ბიუროების გადარჩევაში

ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის პლენუმი

საქართველოს ცაკთან შესდგა ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის პლენუმი.

პლენუმს თავმჯდომარეობდა ამხ. ქ. ხიმერიკი, მდივნად ამხ. თენიეიშვილი.

პლენუმზე ჯანმრთელობის კომისარიატის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ექ. მარკოზოვმა.

მომხსენებლის სიტყვით, აღნიშნულმა განყოფილებამ მუშაობა დაიწყო 1921 წლის თებერვლიდან. ამ წელში მთელ საქართველოში გაიხსნა 4 კონსულტაცია ძუძუმწოვარ ბავშვებისათვის, 1922 წელში არსებობდა 6 კონსულტაცია, 1923 წ.—11, 1925 წ.—14, 1927 წ.—20. მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე გაიხსნა—11. ასე, რომ ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს 31 კონსულტაცია. მარტო თბილისსა და მის მაზრაში არსებობს 7 კონსულტაცია.

საბავშვო ბაგა ამჟამად არსებობს 10. რესპუბლიკის მაზრებში არსებობს აგრეთვე მშრომელ ქალთათვის სოციალური რჩევა-დარიგების მიმწოდებელი საბჭოები.

დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე წინეთ ადგილობრივ ბიუჯეტში იყო შეტანილი. მიმდინარე საანგარიშო წლიდან დედათა და ბავშვთა დაცვის საქმისათვის საჭირო ხარჯები ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიტანა თავის ბიუჯეტში, რომლის მიხედვით ამ საქმეზე წელს დაიხარჯება 10.304 მანეთი.

გარდა ამისა, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეზე წელს სხვადასხვა ფონდიდან დაიხარჯება 16.916 მანეთი და სხვადასხვა თანხებიდან—16.000 მანეთი. განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გახსნას: კლინიკურ ინსტიტუტთან—ბაგა, კონსულტაციები—ქუთაისში, სამტრედიაში, ცაგერში, სენაკში და რაჭის მაზრაში. გადადებულია 2.000 მანეთი სვანეთში—ბეჩოსა და მესტიაში მოძრავი ბაგის მოსაწყობად.

აგრეთვე ოზურგეთში გაიხსნება ბაგა და კონსულტაცია, თელავში—ბაგა, დუშეთის, ბორჯომისა და ბორჩალოში კონსულტაციები. ყარაიაზში მოეწყობა საზაფხულო მოძრავი ბაგა.

მომავალ წლიდან განზრახულია კონსულტაციებისა და ბაგების გახსნა ჭიათურისა, ტყიბულისა და ხევსურეთში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიღებულია ზომები არსებულ ბაგებთან საძილე სამზარეულოების მოსაწყობად და კონსულტაციების მუშაობის გასაფართოებლად.

პლენუმმა ჯანმრთელობის კომისარიატთან არსებულ დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

პლენუმმა დაადგინა გადასცეს განყოფილებას 2.000 მანეთი ერთ-ერთ მაზრაში საზაფხულო მოძრავ ბაგის მოსაწყობად.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა სარეწაო კოოპერაციის მუშაობა ქალთა შორის; პლენუმმა სარეწაო კოოპერაციაში მშრომელ ქალთა ჩასაბმელად და შესაფერი ღონისძიებების გამოსამუშავებლად დაარსა სპეციალური კომისია.

დასასრულ, პლენუმმა დაადგინა გააუქმოს ქალთა არტელი „შეგნება“, რომელმაც ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები და ამ არტელის სახელოსნოები გადასცეს სარეწაო კოოპერაციას.

არტელის ბუფეტები კი გადაეცა ქალთა კომისიას.

ჩაის მეურნეობის პერსპექტივები

ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება.—სპეციალისტების მივლინება იაპონიაში— მოსავლის აკრეფა დაიწყო

საბჭოთა კავშირში ჩაის მეურნეობის კუთხეთ ითვლება დასავლეთი საქართველო. აქ გაშენებულია დიდძალი ჩაის პლანტაციები: ოზურგეთის მაზრაში, აჭარისტანში და აფხაზეთში. საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს შემუშავებული აქვს ახალი ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა. სულ წელს ახალი ჩაის პლანტაციები გაშენებული უნდა იქნეს 1500 დესეტინის სივრცეზე.

ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებისა და საერთოდ ჩაის მეურნეობის პერსპექტივების შესახებ ჩვენმა თანამშრომელმა საზ-ბა „საქართველოს ჩაის“ გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ა. ქავთარაძისაგან მიიღო შემდეგი ცნობები:

— 1-ლი მაისისათვის ახალი პლანტაციები გაშენებულია 1.650 დესეტინის სივრცეზე. ამგვარად გეგმით განზრახული ნორმა უკვე გადაჭარბებულია და გამგეობის გადაწყვეტილებით ახალი პლანტაციების სივრცე იქნება 2.000 დესეტინამდე. ახალი პლანტაციებიდან ნახევარზე მეტი გაშენებული იქნება ოზურგეთის მაზრაში.

ახალი პლანტაციების გაშენება თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო ჩინეთიდან და ინდოეთიდან შემოტანილი თესლით. ამ მიზნით საზოგადოება აწარმოებდა თესლეულობის დამზადებას ჩინეთში, მაგრამ ჩინეთში თესლის დამზადებას ხელი შეუშალა სამოქალაქო ომმა და მოგვეპოვება მხოლოდ ინდოეთიდან შემოტანილი 650 ფუთი თესლი, რომელიც ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს გამოვიყენოთ საცდელ მინდვრებზე.

ძალიან მწვავედ სდგას ჩაის დამმუშავებელ სპეციალისტების საკითხი. 20 მაისს იაპონიაში იგზავნება სამი აგრონომი, რომლებმაც იქ დაწვრილებით უნდა შეისწავლონ ჩაის მეურნეობა და გაეცნონ ჩაის დამუშავების მეთოდებს. გარდა ამისა მოსკოვიდან მოწვეული ჩაის საქმის ცნობილი სპეციალისტი პროფ. ეგეზი, რომელიც აქ დარჩება 1 თვე და შეიმუშავებს ფოთლოვანი ჩაის დამუშავების მეთოდს. ზაფხულის პერიოდში ჩაის პლანტაციებზე და ჩაის წარმოებებში სამუშაოდ (სტაჟიორებათ) მოწვეულ იქნება საშ. უნივერსიტეტის უკანასკნ. კურსების სტუდენტები, რომლებიც შემდეგ გადარიცხული იქნებიან საშტატო თანამდებობებზე.

ჩაის მეურნეობის რაიონებში წელს საბინაო საფაბრიკო აღმშენებლობისათვის და აგრო-კულტურული მუშაობის ჩასატარებლათ გადადებულია 1.150.000 მანეთი.

2 მაისიდან პლანტაციებზე უკვე დაიწყო ჩაის აკრეფა, მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, ჩაის მოსავალი შარშანდელს ზევრად გადააჭარბებს და ჩაიც უკეთესი ხარისხის გამოდის. სულ წელს შეგროვილი იქნება 256.490 კილო ჩაი, ნაცვლად შარშანდელი —222.000 კილოგრამისა.

პროლეტარულ სტუდენტთა დახმარების კვირეული

მაისის 13-დან 20-მდე მთელ რესპუბლიკაში ჩატარდება პროლეტარულ სტუდენტთა დახმარების კვირეული.

კვირეულის სახელმძღვანელოდ შემდგარია ცენტრალური კომისია შემდეგი ამხანაგებისაგან: ფ. მახარაძე; გ. ყურულაშვილი; ს. ჯუღელი; მ. ორახელაშვილი; მ. ტოროშელიძე; ს. მამულია; ბ. მაჩაიძე; ვ. ბოლქვაძე; ლ. სუხიშვილი; დ. კანდელაკი; გ. ქავთარაძე; ერ. ახრიბეკოვი; აბდულაევი; ჩანკვეტაძე; ს. გეგენავა; ლ. ხაღუტაძე; სამოხვალოვი.

ოპერის თეატრში 14 მაისს გამართული იქნება კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით; კონცერტის შემოსავალი მთლიანად გადაეცემა პროლეტსტუდს.

3 დღით მთელ საქართველოში ყველა გასართობებზე და აზარტულ სათამაშოებზე (კინო, ცირკი, ლოტო და ყველა აზარტული სათამაშოები). ბილეთების ფასს დაემატება 10 პროცენტი.

სტუდენტების ძალებით ადგილებზე გამართება წარმოდგენები და კონცერტები.

ყველა ქალაქებში ჩატარებული იქნება ყულაბებით ფულის შეგროვება.

კვირეული ჩატარდება ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

მზადება წითელ ჯარში მორიგ გაწვევისათვის

საქართველოს სამხედრო სამაზრო კომისარიატები შეუდგნენ მზადებას 1906 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის წითელი ჯარის რიგებში.

ამჟამად მიმდინარეობს გასაწვევ ახალგაზრდების ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამორკვევა მათთვის შეღავათების მინიჭების მიზნით და მოსწავლეთათვის ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელება სასწავლებლის დამთავრებამდე.

იმ ახალგაზრდებმა, რომლებსაც აქვთ უფლება ისარგებლონ შეღავათით ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით, უნდა წარუდგინონ სათანადო სამილიციო რაიონების სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდის გამგეებს განცხადება და საჭირო მოწმობები მიმდინარე წლის 15 ივნისამდე, რის შემდეგაც გაწვევის კომისიების მიერ განცხადებები არ იქნება განხილული.

სასწავლებლების ადმინისტრაცია ვალდებულია 1 მაისამდე წარუდგინოს სამხედრო კომისარიატებს იმ მოწაფეთა სია, რომლებსაც ეხებათ ჯარში გაწვევა და აქვთ უფლება გაუგრძელდეს ჯარში გაწვევის ვადა.

სოფლად არსებულ 1-ლი საფეხურის, შვიდწლედების და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებმა, რომლებიც დაბადებულნი არიან 1906 წელში და ეხებათ სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდა, უნდა შეიტანონ განცხადება ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელების შესახებ 1-დან 15 აგვისტომდე სათანადო სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდების გამგეების სახელზე.

კაპიტალური მშენებლობა

სამთო მრეწველობაში

სამთო მრეწველობის ტრესტი შეუდგა კაპიტალურ აღმშენებლობას მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში. მარტო ტყიბულის რაიონში მიმდინარე სააღმშენებლო სეზონის დასასრულამდე დახარჯული იქნება 600.000 მანეთი, აქედან 240 000 მანეთი გადადებულია მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის. სულ აგებული იქნება 6 თითო სართულიანი შენობა—48 ბინით.

ახლად დაწყებული ორი დიდი კაპიტალური გვირაბების გასაყვან სამუშაოთა დასამთავრებლად გადადებულია 130.000 მანეთი. 1-ლი მაისისათვის დიდი გვირაბი გათხრილი იყო 495 მეტრზე და პატარა გვირაბი 226 მეტრზე. გვირაბების გაყვანა შესაძლებლად გახდის ქვანახშირის ამოღების გადიდებას რამოდენიმეჯერ.

ბრიკეტების წარმოების გასაუმჯობესებლად გადადებულია 5.000 მანეთი. დღემდე ბრიკეტების სახელოსნო ყოველთვიურად ამუშავებდა 6.000 ფუთ ნახშირის მტვერს. სახელოსნოს გაფართოებისა და ახალი მოწყობილობების დადგმის შემდეგ სახელოსნო დაამუშავებს 22.000 ფუთ ნახშირის მტვრის ბრიკეტს და მუშაობა იწარმოებს ორ ცვლად. მაღაროების ელექტრო-სადგურის გასაფართოებლად გადადებულია 60.000 მანეთი. ამჟამად სადგურის ძალოვნება უდრის 110 ცხენის ძალს, გაფართოების შემდეგ კი სადგურის ძალოვნება აყვანილი იქნება 220 ცხ. ძალამდე.

მაღაროების მახლობლად შენობების შესაკეთებლად დახარჯული იქნება 15.000 მან. ნახშირის საწყობის მოსაწყობად—10,000 მ., 40.000 მანეთი გადადებულია მაღაროებთან [illegible] მოსაწყობად და მოტეხილი ნახშირის მექანიკური საშუალებით ამოსაღებად მაღაროებიდან.

ბარიტის სამრეწველო რაიონში აღმშენებლობისათვის გადადებულია სულ 70.000 მანეთი. აქედან მუშათა ბინების ასაგებად—12000 მან. სატრანსპორტო სამუშაოებისათვის—23500 მანეთი, საწარმოო შენობების ასაგებად—14200 მან. ახალი კაპიტალური გვირაბების გასაყვანად—7.500 მან., ბარიტის მადანის საწყობის ასაგებად და მადანის ხარისხის გამაუმჯობესებელი მოწყობილობების დასადგმად—8 000 მანეთი.

ინფუზორიტის საბუდოებთან ბაქანებისა და საწყობების ასაგებად გადადებულია 6500 მანეთი. სულ საინფუზორიტო მიწის მრეწველობისათვის გადადებულია 64.000 მანეთი.

ლითოგრაფიული ქვების წარმოებაზე წელს დახარჯული იქნება 7.000 მანეთი.

მთელი ჩამოთვლილი თანხა (600.000მან.) დახარჯული უნდა იქნეს მიმდინარე წლის ოქტომბრამდე და უნდა მოესწროს ყველა დასახული სამუშაოთა შესრულება.

გასული წლის განმავლობაში სამთო მრეწველობაში კაპიტალურ აღმშენებლობაზე დახარჯულია 455.000 მანეთი.

ბრძოლა მალარიასთან

ბათომში თავი იჩინა გაზაფხულისათვის ჩვეულებრივმა მალარიის გაძლიერებამ, რომელიც, როგორც გამორკვეულია, უმთავრესად ზამთრის ავადმყოფობა და რეციდივების ხარჯზე ხდება. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ტროპიკული სადგური ამჟამად პროფილაქტიურ ბრძოლას აწარმოებს ბათომის მიდამოებში; ამ მიზნით იგი ჭაობიან ადგილებს ამაზუთიანებს და დაწვრილებით იკვლევს ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას. იხსნება აგრეთვე ორი ახალი სამალარიო პუნქტი. ცენტრალური ტროპიკული სადგურის ცნობებით, ბათომის რაიონში მალარიამ წინა წლებთან შედარებით 40 პროცენტით იკლო წინანდელი და ახალი ზომების წყალობით. (ადს).

თბილისის საბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. ვარლამ მესხის მოხსენება თბილისის მაზრის ადგილობრივ ბიუჯეტების შესახებ.

მომხსენებელმა პლენუმს აცნობა ის ცვლილებები, რაც საბიუჯეტო კომისიამ შეიტანა ქ. თბილისის, თბ. მაზრის და მაზრის თემების 1927—28 წლის ბიუჯეტებში.

ახალი ცვლილებით, ყველა ბიუჯეტების საერთო საშემოსავლო ნაწილი უდრის **24.457.262** მანეთს, საგასავლო—**26774866** მანეთს. დეფიციტი დაიფარება სესხით და დოტაციით საკავშირო მთავრობიდან.

ქალაქის ბიუჯეტი

ადგილობრივი ბიუჯეტები შედგენილია შემდეგნაირად:

ქ. თბილისის შემოსავალი წელს განსაზღვრულია 22.076.241 მანეთით, ხარჯები—23.115.500 მან.

ქალაქის ბიუჯეტის მიხედვით, წელს თბილისის საბჭო საგადასახადო შემოსავლის სახით მიიღებს: 5.034.720 მანეთს, არასაგადასახადო შემოსავლიდან—14.717.340 მან., დანარჩენი შემოსავლით—2.324.181 მ.

ქალაქის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალურ-კულტურულ ხარჯებს, რაც უდრის 5.312.877 მანეთს. აქედან სახალხო განათლების საქმეზე დაიხარჯება 2.829.455 მან., ჯანმრთელობაზე 2.113.427 მან., სოციალურ უზრუნველყოფაზე და შრომის დაცვაზე 370.000 მან.

ბიუჯეტის უმთავრესი ადგილი დათმობილი აქვს სამეურნეო-საწარმოო ხარჯებს, რაც განსაზღვრულია 15.066.223 მანეთის რაოდენობით. სამეურნეო-საწარმოო ნაწილში შედის ადგილობრივი მრეწველობა, კომუნალური მეურნეობა, კომუნალური წარმოებები, მიმოსვლის გზები, გადარიცხვა სპეციალურ თანხებში და სახსრებში.

მაზრის ბიუჯეტი

მაზრის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი უდრის 1.872.380 მანეთს, საგასავლო—2777545 მან.

თემების ბიუჯეტი

დამტკიცებულია შემდეგნაირად: შემოსავალი 508.441 მან. გასავალი 881.820 მანეთი.

გასულ 1926—27 წელთან შედარებით ყველა ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი (საკუთარი შემოსავალი) გაიზარდა 8 პროცენტით. გასავალი 1 პროცენტით.

პლენუმმა დაამტკიცა ბიუჯეტში შეტანილი ყველა ცვლილებები.

წყალდიდობის შემდეგ

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ცნობით, წყალდიდობის დროს დაზიანებული ადგილები გზატკეცილებზე ყველგან აღდგენილია.

ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმნის და ბორჯომ-ახალქალაქის გზებზე ნორმალური მოძრაობა აღდგენილია. ასეთივე მდგომარეობაა აჭარისტანის გზატკეცილებზე.

საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე მოძრაობა სწარმოებს გუდაურამდე.

ქუთაის-ბაღდადის გზაზეც მოძრაობა ნორმალურად სწარმოებს. რათა მომავალში აცილებულ იქნეს გზის წალეკვა, ამჟამად სწარმოებს რიონის ნაპირების გამაგრება.

ცუდი მდგომარეობაა მხოლოდ ბორჯომ-ბაკურიანის გზატკეცილზე. ეს გზატკეცილი ბორჯომ-წაღვერს შუა წყალმა ისე დააზიანა, რომ შეუძლებელია მიმოსვლა. გზა საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას.

მეტეხის ხიდთან დაზიანებული ადგილი ჯერ აღდგენილი არ არის. მუშაობა სწარმოებს.

ახალგაზრდა ხევსურების ექსკურსია

გუშინ თბილისში ჩამოვიდა 20 ახალგაზრდა ხევსური, რამოდენიმე დღის განმავლობაში საკლუბო სცენების საშუალებით ხევსურები გააცნობენ თბილისელებს თავის ჩვეულებებს და ადათებს: ქიდაობას, ფარიკაობას და ხევსურულ ქორწილს. ამასთან ერთად მომღერლები შეასრულებენ ძველებურ ლეგენდებს.

ხევსურების ექსკურსია მოაწყო თიანეთის კომკავშირმა. ხევსურები მიზნად ისახავენ ფაბრიკებისა და ქარხნების დათვალიერებას და თბილისის მუზეუმების გაცნობას.

სურათზე გადაღებულია ხევსურების ჯგუფი გლეხის სახლის ეზოში.

კომპოზიტორ ა. სპენდიაროვის გარდაცვალების გამო

დიდი მუსიკოსის ხსოვნას

ა. ა. სპენდიაროვი

გარდაცვლილი კომპოზიტორი ა. ა. სპენდიაროვი. ფართო მასა იცნობდა და აფასებდა მას როგორც შესანიშნავ ნიჭის და ცოდნის პატრონს. სპენდიაროვმა თავისი მუსიკალური მოღვაწეობით დაიმსახურა საპატიო ადგილი გამოჩენილ ხელოვანთა შორის. მუსიკალური სწავლა-განათლება ა. ა. სპენდიაროვის მიმდინარეობდა რუსეთის გამოჩენილ მუსიკოსის რიმსკი-კორსაკოვის ხელმძღვანელობით, რიმსკი-კორსაკოვი ფრიად მაღლად აფასებდა ა. ა. სპენდიაროვის მხატვრულ შემოქმედების ნიჭს და მჭიდრო კავშირმა სპენდიაროვისა რუსეთის ინსტრუმენტალურ მუსიკის ბუმბერაზთან წარმოშვა ის თავისუფლება და წარმტაც სილამაზით სავსე თავისებურობა ორკესტრის სხვადასხვა ინსტრუმენტალურ ელფერთა შეზავებაში, რომელიც ასე ახასიათებს სპენდიაროვს, როგორც ჩვენი დროის შესანიშნავ სიმფონისტს. სპენდიაროვის მხატვრულ შემოქმედებას უპირველესად ყოვლისა ახასიათებს სოციალური აზროვნება, ის ყოველ მუსიკალურ მოვლენისათვის ეძებდა ლოღიკურ დასაბუთებას და თუ მელოდიური მოხაზულობა არ იყო სპენდიაროვის აზრით დამახასიათებელი, ან ეს დახასიათება წინააღმდეგობაში იყო რითმის თავისებურობასთან, სპენდიაროვი ამგვარ მოხაზულობას არ იხმარდა, მიუხედავად მისი სილამაზისა. მეგობრულმა კავშირმა განსვენებულთან მოგვცა ჩვენ საშუალება მისი კაპიტალურ თხზულების, ოპერა „ალმასტ“-ს შინაარსთან გაცნობისა. ბევრი იცნობს ამ მშვენიერ ოპერიდან მხოლოდ ორ ნაწყვეტს („სიუიტებს“) რომელნიც ავტორის ხელმძღვანელობით შეასრულა თბილისში სიმფონიურ ორკესტრმა. მიუხედავად თავისი სიმდიდრისა როგორც სილამაზის, ისე შესანიშნავ ტეხნიკის მხრივ, ეს სიუიტები მაინც ვერ ჩაითვლება ოპერა „ალმასტ“-ის საუკეთესო ადგილებათ, ისინი ამოარჩია სპენდიაროვმა საკონცერტოდ როგორც უფრო ადვილად შესასრულებელნი და ინსტრუმენტალურ ეფექტუალობის მაჩვენებელნი.

საერთოდ, სიმფონიურ სფეროში, სპენდიაროვი იყო ფრიად მძლავრი და ყოველი მისი თხზულება, დამუშავებული ფორტეპიანოსთვისაც კი უსათუოდ სიმფონიურ ნიშნების მატარებელია. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სპენდიაროვი ამ სიმფონიურ ნიშნებს ეძებდა და ამჟღავნებდა მუსიკის იმ ჯერ ჯერობით გამოუკვლეველ და დაუმუშავებელ სფეროში, რომელსაც ორიენტალიზმი ეწოდება, და რომელიც შეიცავს საერთოდ აღმოსავლეთის მუსიკის ჰარმონიულ კანონმდებლობას. სპენდიაროვის მუსიკალურ აზროვნებაში აღსანიშნავია ის ფრიად იშვიათი მიმართულება, რომ იმ დროს, როდესაც სხვა ორიენტალისტები ეძებდენ ზემოხსენებულ კანონებს აღმოსავლეთის მუსიკის მოხაზულობათა ხვეულების დეტალებში, სპენდიაროვი სცდილობდა სავსებით გამოერკვია ჩანგის ფარული ჰარმონიული წყობა, და ამ წყობათა ერთმანეთში თავისებური გაცვლა-გამოცვლა. სწორედ ეს არის მიზეზი მისი შესანიშნავი „ყირიმის ეტიუდების“ მძლავრი სტილიური სიმტკიცისა, ამით აიხსნება, რომ სომხეთის მუსიკიდან დიდხანს დაშორებული სპენდიაროვი უფრო ახლოს სდგას სომხეთის მუსიკის სტილიურ გამოთქმასთან, ვიდრე სხვა სომეხი კომპოზიტორები. ამას მოწმობს სპენდიაროვის შესანიშნავი „ენზელი“ და „გეჯასხ“. აღმოსავლეთი, საერთოდ, იტაცებდა სპენდიაროვის მხატვრულ ფანტაზიას, აღმოსავლეთის ბუნებრივი ჰარმონია იზიდავდა მის ყურადღებას: არაბეთის, სპარსეთის, თურქეთის, სომხეთის და სხვ. ძველ სიმღერებს იგი ეწაფებოდა როგორც მაძღებელი.

ა. ა. სპენდიაროვის სახით არა მარტო საბჭოთა სომხეთმა, არამედ მთელმა საბჭოთა კავშირმა და სხვა ქვეყნების ორიენტალისტ მუსიკოსებმა დაკარგეს დაუღალავი, ნიჭით და აზროვნებით სავსე დიდი ხელოვანი და მუშაკი.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

კომპოზიტორი ა. ა. სპენდიაროვი

(ბიოგრაფიული ცნობები)

კომპოზიტორი ალექსანდრე აფანასის ძე სპენდიაროვი დაიბადა ყირიმში, სოფ. კახოვკაში 1871 წლის 20 ოქტომბერს. ბავშვობიდანვე მას ემჩნეოდა დიდი მუსიკალური ნიჭი. პატარაობიდანვე თვითონ შეისწავლა დაკვრა ჯერ როიალზე და შემდეგ სკრიპკაზე.

სწავლობდა სიმფეროპოლის გიმნაზიაში, აქვე შეითვისა მან მუსიკის საფუძვლები და დრო გამოშვებით სთხზავდა მარშებს, რომანსებს და სხვ. გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამავე დროს მეცადინეობდა მუსიკოს კლენოვსკის ხელმძღვანელობით.

1896 წელს ა. სპენდიაროვმა დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და გაემგზავრა მაშინდელ პეტერბურგში, სადაც დაიწყო მეცადინეობა კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვთან. 1900 წელს მან დაამთავრა უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი და 1901 წლის 5 ივნისს პავლოვსკში შესდგა მისი პირველი საჯარო გამოსვლა. დირიჟორ გალკინის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნა ა. სპენდიაროვის „საკონცერტო უვერტიურა“, რომელსაც პრესა და საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

ა. სპენდიაროვს მუსიკალური თხზულებებისათვის მიღებული აქვს კომპოზიტორ გლინკას სახელობის სამი პრემია.

ა. სპენდიაროვს იცნობს როგორც საბჭოთა კავშირი, ისე დასავლეთ ევროპა. დრო გამოშვებით იგი მოგზაურობდა საბჭოთა კავშირსა და ევროპაში, სადაც მართავდა კონცერტებს.

1924 წელს საბჭოთა სომხეთის განათლების სახალხო კომისარიატმა ა. სპენდიაროვი მიიწვია სომხეთის კონსერვატორიის [illegible]. ამ წლიდან იგი განუწყვეტლივ მუშაობს ერევანში. და თავისი წვლილი შეჰქონდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში. მისი თაოსნობით შექმნილ იქნა ერევნის სიმფონიური ორკესტრი, იგი ირიცხებოდა სამეცნიერო ინსტიტუტის მუსიკალური განყოფილების და სომხეთის მუსიკალური გამომცემლობის გამგეობის წევრად.

1926 წლის 3 ოქტომბერს სომხეთის მთავრობამ ა. სპენდიაროვს დიდის ზეიმით გადაუხადა მისი მუსიკალური მოღვაწეობის 25 წლის იუბილე და დააჯილდოვა რესპუბლიკის სახალხო მსახიობის სახელით.

ა. სპენდიაროვის უკანასკნელი კონცერტი შესდგა ერევანში მიმდინარე წლის აპრილის ბოლო რიცხვებში. გარდაიცვალა ა. სპენდიაროვი 7 მაისს, ფილტვების ანთებით.

სამძიმრის დეპეშა

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმმა კომპოზიტორ სპენდიაროვის გარდაცვალების გამო ერევნის კულტურის სახლის სახელზე გაგზავნა შემდეგი სამძიმრის დეპეშა:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საუკეთესო კომპოზიტორის სპენდიაროვის გარდაცვალების გამო. ეს დანაკლისი საგრძნობია არა მარტო სომხეთისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც ასე საჭიროებს ნიჭიერ სიმფონისტ-მუსიკოსებს“.

დამკრძალავ კომისიაში

ერევანი, 8 მაისი. სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დაარსდა სომხეთის სახკომსაბჭოსთან სპენდიაროვის გარდაცვალების გამო, გამოსთქვა სურვილი, რომ კომპოზიტორის ნეშტი დაკრძალულ იქნას ერევანში—ახალ მოედანზე სახალხო სახლსა და მომავალ კონსერვატორიას შორის. კომპოზიტორის ნეშტი შემურვილია. სახიდან გადაიღეს ნიღაბი. კომპოზიტორის ქაღალდები და მიწერ-მოწერა 7 მაისს ღამით განსვენებულის ვაჟის, პროფ. განათლების მთავარ სამმართველოს გამგის ამხ. ხოჯამირიანის და სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორ ტერ-გევონდიანის თანადასწრებით დაიბეჭდა და გადატანილ იქნა შესანახად განათლების სახალხო კომისარიატში დაბეჭდილ შრომებს შორის არის განსვენებულ კომპოზიტორის ოპერა „ალმასტ“-ი. კომისიის წინადადებით ქალ. ერევნის ერთერთ ცენტრალურ ქუჩას დაერქვა სპენდიაროვის სახელი. კომისიამ აგრეთვე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ერევანში სპენდიაროვის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის გახსნის შესახებ. სახელმწიფო კონსერვატორიაში გამოცხადებულია გლოვა. 7 მაისს სპენდიაროვის გარდაცვალების გამო წარმოდგენები და კონცერტები აღარ შესდგა. დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად მობილიზაციაქმნილია ქალაქის ყველა მუსიკალური ძალები. სახელმწიფო კონსერვატორიის სიმფონიური ორკესტრის გარდა სამგლოვიარო მსვლელობაში მონაწილეობას მიიღებენ შეერთებული სამხედრო ორკესტრი, ორიენტალისტების შეერთებული ორკესტრი და სახელმწიფო კონსერვატორიის გუნდი, 1-ლი სამგლოვიარო საღამო შესდგება 8 მაისს სახელმწიფო კონსერვატორიაში, მეორე 10 მაისს კულტურის სახლის დიდ დარბაზში, მეორე საღამოზე სიტყვას განსვენებულ კომპოზიტორის შესახებ წარმოსთქვამს ყორღანოვი.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდან განათლების სახალხო კომისარიატის და სახელმწიფო კონსერვატორიის სახელზე მოდის სამძიმრის დეპეშები (ადს).

ახალი ნიხრი

ამანათებისა და ფულის გადაგზავნაზე

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში საშუალებებით გადასაგზავნ ამანათებზე, ფასიან წერილებზე და ფულის გადაგზავნაზე შემოღებულია ახალი ნიხრი:

ამ ნიხრის მიხედვით ფასიან წერილების და ამანათების გადასაგზავნათ მიუხედავათ მანძილისა, დაწესებულია გადასახადი შემდეგი რაოდენობით: 25 მანეთამდე—20 კ.; 25 მანეთიდან 50 მანეთამდე—50 კაპ.; 50 მანეთიდან 100 მანეთამდე—60 კაპ.; ყოველ 100 მანეთს ზევით თვითეულ 100 მანეთზე ან მის ნაწილზე—50 კ.

ფულის გადასაგზავნათ დაწესებულია: 15 მანეთამდე—15 კ.; 15—25 მანეთამდე—20 კ.; 25—50 მანეთამდე—25 კ.; 50—100 მანეთამდე—50 კ.; 100 მანეთიდან 1000 მანეთამდე გადამგზავნ ყოველ 100 მანეთზე ან მის ნაწილზე იხდის 30 კ.; 1000 მანეთიდან 5.000 მანეთამდე ყოველ 100 მანეთზე, ან მის ნაწილზე—20 კ., 5.000 მანეთის ზევით გადამგზავნი ყოველ 100 მანეთზე, ან მის ნაწილზე—10 კ., მაგრამ არა უმეტეს 10 მანეთისა.

ახალი ნიხრი შემოღებულია 1 მაისიდან.

ქრონიკა

ლ. ქართველიშვილის დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილი.

კავკასიის საუღელტეხილო რკინის გზა

თბილისში ჩამოვიდა ინჟ. ფელდი, რომელიც მივლინებულია საკავშირო საგეგმო კომისიასთან ვესლან-მამისონ-ახალსენაკის რკინის გზის გაყვანის საკითხის გარშემო მოწვეულ თათბირზე მონაწილეობის მისაღებათ.

რკინის გზის მიმართულების ამოსარჩევათ საკავშირო საგეგმო კომისიამ დაავალა ჩრდილო-კავკასიის და ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიებს განიხილონ ყველა წარმოდგენილი პროექტები და დაათვალიერონ ადგილები, რომელზედაც უნდა გაიაროს რკ. გზის ლიანდაგმა. ჩრდილო-კავკასიის საგეგმო კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა და ყველა ვარიანტებიდან უფრო მისაღებად აღიარა ინჟ. ფელდის პროექტის მიხედვით დამუშავებული ვარიანტი, რომლის თანახმადაც რკ. გზა ვესლანიდან გაივლის მამისონის უღელტეხილზე, შემდეგ რაჭის მაზრაში მდ. რიონის მარჯვენა ნაპირით და შეუერთდება ამიერ-კავკ. რკ. გზების მთავარ მაგისტრალს სად. სენაკთან.

ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია წარმოდგენილი მასალების დამუშავება.

საჰაერო ფოსტა

2 მაისიდან დაიწყო ფოსტის გადაზიდვა ჰაეროპლანებით შემდეგი მიმართულებით: მოსკოვი-ხარკოვი-როსტოვი-არმავირი - პიატიგორსკი - კავკავი - მახაჩკალა - ბაქო.

პროვინციაში მომუშავე ფერშლების საყურადღებოდ

15 მაისს დაიწყება მოწყალების დებისა და ფერშლების გამოცდები, მათი კვალიფიციის გამორკვევის მიზნით. პროვინციაში მომუშავე ფერშლები და მოწყალების დები, რომელთაც სურთ გამოცდების ჩაბარება, უნდა გამოცხადდენ ჯანმრთელობის კომისარიატში 15 მაისისათვის.

თვალის ექიმთა ყრილობა

7 ივნისისათვის ლენინგრადში მოწვეულია თვალის ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე დელეგატები მიწვეული არიან საქართველოდანაც.

ყრილობას დაესწრებიან აგრეთვე უცხოელი პროფესორები და მეცნიერები.

ქუთაისის მაუდის ფაბრიკა

ს.მ.უ. საბჭოში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა ამჟამად ყოველ თვეში ამზადებს 15.000 მეტრ შალის ქსოვილებს. ფაბრიკაში სულ მუშაობს 220 კაცი. ზოგიერთ ცეხებში შემოღებულია 3 წყებად მუშაობა, ხოლო მთელი ფაბრიკა მუშაობს ორ ცვლად.

ფაბრიკის პროდუქცია უმთავრესად გაიქცევა ადგილობრივ ბაზარზე, სადაც მისი გასაღება წარმატებით სწარმოებს.

ახალი სექცია

თბ. აღმასრულებელ კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ცნობით, თბილისის საბჭოსთან არსდება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია.

ახალი სექცია უმთავრესად აწარმოებს საგამომძიებლო მუშაობას და უშუალო მონაწილეობას მიიღებს იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომელთაც ისახავს მიზნად მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი და მისი ორგანოები. სექციას უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი.

შრომის კანონების დარღვევისათვის

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ შრომის კანონების დარღვევისათვის დააჯარიმა საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის ბორჯომის რაიონის გამგე კრავცოვი, მისი თანაშემწე ზუბლაძე და ბაკურიანის სატყეო რაიონის გამგე ბეშია. აღნიშნული პირები დაჯარიმებული არიან თითო 25 მან. გარდა ამისა მათ მიეცათ უკანასკნელი გაფრთხილება, რომ თუ მომავალში კიდევ დაარღვევს შრომის კანონს, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

აღმშენებლობა სვანეთში

წელს სვანეთში სოფ. ბეჩოს რკინის მჟავე წყაროებთან დაიწყება ახალი სანატორიუმის აგება. სანატორიუმს აგებს რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი.

გარდა ამისა სვანეთის აღმასკომი შეუდგება ახალი ფურნის აგებას სოფ. მესტიაში (სვანეთის ცენტრია). ეს ფურნე პირველია მთელ სვანეთში.

სამაზრო აგრონომის კეჩხუაშვილის დაღუპვა

7 მაისს, გორის მაზრაში, ტყვიავის რაიონში მდ. ლიახვზე გადასვლის დროს დაიღუპა გორის სამაზრო აგრონომი ნ. კეჩხუაშვილი, რომელიც გორში ბრუნდებოდა ბაღებში მავნებლებთან ბრძოლის ჩატარების შემდეგ. კეჩხუაშვილთან ერთად იყო 5 რაიონული აგრონომი, რომლებიც გადარჩენილი იქნენ.

რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) დაკრძალვა

გუშინ დიდუბის პანთეონში დაკრძალეს რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) ნეშტი. განსვენებულის გამოსვენებას ბინიდან დაესწრო საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

პროფკავშირებში

◆ **შეღავათიანი ბილეთები.** პროფსაბჭომ კავშირებს შორის განაწილა რკინის გზის შეღავათიანი 4,500 ბილეთი.

◆ **კონფერენცია.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილება 15 მაისს იწვევს საექსკურსიო-ტურისტულ კომისიების კონფერენციას.

სხვადასხვა

◆ **მიკრო-ბიოლოგიური საზოგადოება.** დღეს სოციგიენის ინსტიტუტში შესდგება ქართული მიკრო-ბიოლოგიური საზოგადოების დამფუძნებელი კრება.

◆ **ხმა-მაღლა მოლაპარაკე აპარატები.** მოსკოვიდან მიღებულია 16 ხმა-მაღლა მოლაპარაკე აპარატი, რომლებიც დადგმული იქნება მუშათა კლუბებში და ქალაქის მთავარ ქუჩებში.

პროფ. ი. თიკანაძის ლექცია

შაბათს, 12 მაისს, საღ. 8 საათზე სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტში შესდგება პროფესორ ი. თიკანაძის ლექცია, რომელზედაც მოწვეული არიან დიასახლისი ქალები და მუშების ცოლები. ლექციის თემაა „ქალის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ორსულობისა და მშობიარობის დროს“.

უმუშევართა კრება

მეჭედავთა კავშირის გამგეობა პარასკევს, 11 მაისს, მუშათა ახალ კლუბის საზაფხულო შენობაში იწვევს კავშირის უმუშევარ წევრთა და მათი ოჯახის წევრთა საერთო კრებას.

კრებაზე გაკეთებული იქნება მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. შემდეგ ნაჩვენები იქნება კინო-სურათი.

„სოფლის კომუნისტი“

დაიბეჭდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“ № 4. **შინაარსი:** ს. მამულია—პურის დამზადების შეფერხების მიზეზები და პარტიის მორიგი ამოცანები. ანდრო ლოლიძე—სოფლად მუშაობის ნაკლი და თვითკრიტიკის საკითხები. აბელ ენუქიძე—საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის სოფლად. დ. აფციაური—საბჭოების საანგარიშო კამპანიის და სექციათა კონკურსის წინასწარი შედეგები. თენგიზ ჟღენტი—კომუჯრედების ბიუროების ხელახალი გადარჩევა. დ. გვაზავა—ბეჭდვითი სიტყვის დღე და ჩვენი პრესის ნაკლულოვანებანი. კ. მელიქიძე—ყოფა-ცხოვრების საკითხები.

ადგილობრივი ცხოვრება

ს. ლომიძე—უჯრედის ბიუროს მუშაობა და მდივნის ფუნქცია. მ. ბარამია—უჯრედის კრებაზე მორიგეობითი თავმჯდომარეობის შესახებ. მ. ბრეგვაძე—პარტიული მუშაობა შორაპნის მაზრაში. გ. ძაბილაშვილი—საბჭოთა აღმშენებლობა საგარეჯოს რაიონში.

ბიბლიოგრაფია.

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერთ და გაიყიდება ყველგან.

ხელოვნების ქრონიკა

მოსკოვის მცირე თეატრის გასტროლები

ქართული თეატრის გასტროლების დამთავრების შემდეგ სახელმწიფო ოპერაში დაიწყება მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის გასტროლები. პირველი საგასტროლო წარმოდგენა გაიმართება 19 მაისს. წარმოდგენილი იქნება ა. ოსტროვსკის კომედია „ერთი სისულელე ბრძენსაც მოუვა“. 20 მაისს წავა გოგოლის კომედია „რევიზორი“, ხოლო 21 მაისს წარმოდგენილი იქნება გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

მცირე თეატრის გასტროლები თბილისში გასტანს 4 ივნისამდე. ამ ხნის განმავლობაში დადგმული იქნება სულ 17 წარმოდგენა.

◆ **კინო-რადიო კურსები.** „გოსვოენკინო“ თბილისში ხსნის კინო-რადიო კურსებს წითელარმიელთათვის.

◆ **ქართული დრამის კოლექტივი** უკვე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში წარმოდგენების გასამართავად.

◆ **მცირე თეატრის გასტროლები.** 19 მაისიდან ოპერის თეატრში დაიწყება მოსკოვის მცირე თეატრის გასტროლები.

◆ **„ბოშური სისხლი“.** ამ თვის ბოლო რიცხვებში თბ. კინოებში ნაჩვენები იქნება სახკინმრეწვის ახალი სურათი „ბოშური სისხლი“.

◆ **„იდიოტი“.** რუსთაველის თეატრში [illegible] საგასტროლოდ დღეს წარმოდგენილი იქნება „იდიოტი“.

◆ **ოპერის მსახიობთა კოლექტივი** ამჟამად წარმოდგენებს მართავს ქუთაისში.

◆ **„ქარიშხალი“.** ოპერის თეატრში კამერულ თეატრის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება: „ქარიშხალი“.

◆ **„პოეზიის დღე“** გაიმართება 13 მაისს, ამ დღისათვის გამოვა სპეციალური გაზეთი „პოეზიის დღე“.

დავით კაკაბაძის სურათების გამოფენა

(ქართველ მხატვართა საზოგადოების დარბაზი „ორიანტის“ შენობაში)

საქართველოდან პარიზში გამგზავრებამდე მხ. დ. კაკაბაძე ცნობილი იყო როგორც ნატიური მხატვარი რეალიზმის ჩვეულებრივი გაგებით. თუმცა მაშინაც ახასიათებდნენ მას მემარცხენეობისაკენ გადახრაში. („დაკრძალვა იმერეთში“, „ავტოპორტრეტი“). ამ ერთი წლის წინად კი ის პარიზიდან დაბრუნდა როგორც მემარცხენე სკოლის დასრულებული მხატვარი. თავისი მხატვრული შეგნებით ის მისულა ესთეტიზმის და ფორმალური ძიებათა უკიდურესობამდე მხატვრულ „კეთების“ გამოჩენაში.

გამოფენილი სურათები მნახველთა გაკვირვებას იწვევენ. გასაგებიც არის, რადგან ასეთი გამოფენა, ჩვეულებრივი ევროპიული გაგებით, თბილისში პირველად ეწყობა და კედლებზე არ ჩანს გართობის, ნუგეშის და მორალის გადმომცემი სურათები. ამ წერილში შეუძლებელია გამოფენის მთლიანი შეფასება. ერთი კი ცხადია, რომ ჩვენ ვიმყოფებით კომუნისტურ სახელმწიფოს პირობებში და ყოველი მოვლენა ორგანიზაციული გზით უნდა უკავშირდებოდეს რევოლუციონურ სინამდვილეს. ქართულ ხელოვნებაში ეს ორგანიზაციული გზა მეტად ბუნდოვანად არის გარკვეული, განსაკუთრებით მემარცხენეობაში.

მემარცხენეობათ ჩვენში უმთავრესად ცნობილია ყოველგვარი ჯამბაზობა, სიმახინჯე. კაკაბაძე ნამდვილი მემარცხენეა და შეიძლება ამ მიზეზით იწვევს გაუგებრობას მისი ოსტატობა.

საქმე იმაშია, რომ ძველი ეპოქის (ბურჟუაზიულის) ხელოვნების აქსიომათ ითვლებოდა ჯერ ნატურალისტური და შემდეგ პირობითი მომენტი შემოქმედებაში. პრაქტიკაში ეს ნიშნავდა ხელოვნების სუბიექტურ კულტურის დონეზე და მის ინტელექტზე დაყრდნობას. ახალ ეპოქაში კი (სოციალისტური) ყოველგვარი პირობითი და სუბიექტიური უარყოფილია და ხელოვნებაც კოლექტიური შეგნებით უნდა იქცეს. ეს არის აუცილებლობა და ვინც ამას ეწინააღმდეგება ის თავის ბუნებით არ არის თანამედროვე. ასეთი ადამიანის მოთხოვნა, რომ სურათი ისევ მოექცეს ზეგანში (პლოსკოსტ), თეატრი რამპის იქით, ლექსი მეტრში და მოთხრობა ფაბულაში— უტოპიური და რეაქციონური იქნება.

დ. კაკაბაძე, როგორც ჩანს, შეგნებულად და დაჯერებით უარყოფს ასეთ მოთხოვნას მხატვრობაში. მისი სურათები უფრო სხვადასხვა ნივთების მოდელებს და ფერებით ვარჯიშობის ესკიზებს გვაგონებს.

არავითარი სიუჟეტი, არავითარი ემოციონალობა და თემატიური მიდგომა. ყოველი სურათი უახლოვდება შეგრძნობიერებიდან განთავისუფლებულ ყოველდღიურობას. გაშიშვლებულია მატერია და იდეა გადატანილია ნივთობრივ შეგნებაში. ხელოვნების „ღვთაებრიობიდან“ და პირობითი მგრძნობელობიდან მხატვარში არ დარჩენილა არც ერთი ნაწილი.

(პირველი პერიოდის ნამუშევრები სანამ ევროპაში წავიდოდა).

სურათების უმრავლესობა ორი ხასიათისაა: პირველი უფრო რელიეფის და ნივთობრივ მასალის დამუშავებას წარმოადგენს, მეორე— ფერების მუსიკალობის პრობლემის გამორკვევას.

მასალად გამოყენებულია: ფიცარი, ქაღალდი, თუნუქი და სხ. გარეგნულად პირველი ხასიათის სურათებს ასეთი სახე აქვს: შეღებილი ფიცარი, ფიცრის ზოგიერთ ადგილზე მოთავსებულია ფერადი მინა, მავთული ან სხვა ნივთი, თუნდაც სარკე. მეორე ხასიათის სურათი კი წარმოადგენს აფერადებულ ზედაპირს როგორც ლამაზი „გალსტუკი“ ან კარგი სახის ჩითი რომელიმე ვიტრინში.

ამ სურათების გასაგებათ (თუნდაც რამოდენიმედ) საჭიროა ახალი მხატვრობის განვითარების და თანამედროვე მხატვრობის მიზნების ცოდნა. უამისოდ მნახველი კაკაბაძის შემოქმედებაში ვერ აღმოაჩენს დიდი გემოვნების მხატვარს. ნამდვილად კი ჩვენ ისეთ მხატვართან გვაქვს საქმე, რომელსაც ზედმიწევნით შეუთვისებია, გადაუმუშავებია და ზოგი რამ საკუთარიც შეუტანია ევროპის და რუსეთის მემარცხენე მხატვრობაში. მართალია ევროპის მემარცხენე მხატვრობა, არსებულ სოციალურ წყობილების გამო, ინერტობს ესთეტიზმის და ფორმალიზმის ჩარჩოებში და ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ საბჭოთა ქვეყანაში მემარცხენეობამ უკვე აღმოაჩინა ახალი სტილი. ეს სტილი არის ახალი ეპოქის მიზნები, რომელიც გულისხმობს ტექნიკის და მეცნიერების ბატონობას ყოველ ღვთაებრივზე და შეუცნობელზე. ამ მხრივ დ. კაკაბაძის შემოქმედება უფრო ახლოა პროლეტარულ ეპოქასთან, ვიდრე კაპიტალისტურთან (თავის მსოფლმხედველობით). მისი შემოქმედება უფრო წარმოებაა, ვიდრე მხატვრობა ჩვეულებრივი გაგებით.

საერთოდ თუმცა ნივთობრივი მასალის გამოყენება მხატვრობაში მიუღებლად ითვლება, მაგრამ მემარცხენეს გაგებით მხოლოდ ამ გზით შეიძლება ხაზების ბუნების გაგება, ფერების საგნობრივი ვარიაცია და მასალის შეგრძნობა ახალი ნივთის შესაქმნელად.

დ. კაკაბაძე ამითაც არ კმაყოფილდება და ზეგანის ამოძრავებისაკენ მიდის (მემარცხენე მხატვრობის მთავარი დებულება).

ცნობილია, რომ კუბიზმიც ზეგანის მოძრაობიდან შეიქმნა, მაგრამ კაკაბაძე არც იქ ჩერდება. ვერც სურათის უმოძრაო კონსტრუქციას ითმენს და სურათს „ძრავს“. სურათის ამოძრავებით მაყურებელი შემოქმედებაში გადაჰყავს. ეს მძიმე პრობლემა მემარცხენეობას არაჩვეულებრივი ოსტატობით არის გადაჭრილი.

ამ მოდელად გამოსადეგ სურათებში მოცემულია მასალის მტკიცე და ორგანიზაციული სინთეზი (ქვე-კუბიზმის პრინციპით). უარყოფილია პირობითი და სიმბოლიური მგრძნობელობა. სტატიური ზეგანი გეომეტრიზაციულ განზომილებით არის ამოძრავებული, უმთავრესად, შუშის საშუალებით. (ნეო-ფუტურიზმის პრინციპი).

ყოველ მნახველისათვის ერთი და იგივე სურათი სულ სხვადასხვა შინაარსისაა და ეს შინაარსი სრულიადაც არ არის სუბიექტიური, მხატვრის გრძნობებზე დამყარებული. სურათი თავის მოძრაობაში გადმოგვცემს გარემოს უცვლელად, ობიექტიურად, და ეს ხდება ნივთობრივ მასალის (უმთავრესად სარკის) საშუალებით. სურათის ყოველი მონაწილე ნივთი ისეთი გარმონიული კონსტრუქციით არის შეკრული, რომ იქმნება ერთი მთლიანი ნივთის შთაბეჭდილება. (ორფეიზმის პრინციპი).

რომ ნივთად ქცეულმა სურათმა არ დაკარგოს თავისი საკუთარი არსებობის უფლება, ამიტომ მხატვარს მთელი დარბაზი, სხივისნობის კანონების ზედმიწევნით ცოდნით გაუმართავს, არ არის გამოჩენილი არც ერთი დეტალი სხივისნობისა.

მაყურებელი გრძნობს, რომ მხატვარს მიზნად ჰქონია, გარდა წმინდა მხატვრული ამოცანებისა, მხატვრობის დამუშავება ცხოვრებისათვის (ნივთობრივი გაგება).

მეორე ხასიათის სურათები უმთავრესად ორფეისტული სკოლის მიხედვით არის დამუშავებული. მთავარი აზრი ამ სურათებისა იმაში მდგომარეობს, რომ ფერებიდან მომდინარე სინათლის ტალღებმა ისე იმოქმედონ მაყურებლის მხედველობაზე როგორც მოქმედობს მუსიკა სმენელზე. ამ მხრივ დ. კაკაბაძე ამ მიმართულების შემქმნელ მხატ. კანდინსკის უნიჭიერეს მოწაფედ მოჩანს.

დამახასიათებელია მემარცხენესთვის, რომ არც ერთ სურათში შეუმჩნევლად არ არის მოცემული სპექტრის ფერები. მექანიკურ განზომილებასთან ერთად ყოველ ნამუშევარს ეტყობა ფაქიზი მხატვარის ხელი. და ეს მხატვრული ალლი პირდაპირი გზით მიდის წარმოებისაკენ იმავე გზით, რომლითაც წავიდნენ ოქტომბრის შემდეგ უდიდესი მხატვრები: როდჩენკო, ტატლინი, პოპოვის ქალი, ლებედევი, გრისი და სხვანი.

მემარცხენე მხატვრობის მიერ დაწესებული კონტროლი ხაზზე, ფერზე და ფორმაზე მოითხოვს ინჟინერიულ დამუშავებას. ამრიგად მხატვარი უნდა გახდეს სოციალურად გამართლებული წევრი ჯანსაღი კოლექტივისა. დ. კაკაბაძის ოსტატობას მომავალში მხოლოდ ახალი მიმართულებით გაეხსნება გზა ჩვენს სინამდვილეში, თუ ეს ვერ შესძლო, მხატვარი ესთეტიზმში გადაჰყვება.

დიდი ხანია რაც რუსეთის მხატვრობა (მემარცხენე) თავდადებით იბრძვის ამ ფრონტზე. კაკაბაძის სურათების ტენდენციაც აქეთ მიიმართება. მისი შემოქმედება უფრო პროექციით ხასიათდება, ვიდრე კონსტრუქტივიზმით. ამით კაკაბაძე ამართლებს რუსეთის პროექციონისტების მტკიცებას, რომ „ხელოვნება არის მეცნიერება მასალების ორგანიზაციის ობიექტიური სისტემის შესახებ“ ეს გზა ახალია და ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ მიმართულებით. მემარცხენე მხატვარი ფოტოს და კინოს არსებობის გამო ცხადია ძველ გზას ვერ დაუბრუნდება. ფოტოს და კინო აპარატის ახალი ტექნიკური დამუშავებით და ნივთების ფერის მუდმივი ფიქსაციით უნდა მომზადდეს პროლეტარიატის მსოფლმხედველობის საფუძველზე ახალი ეპოქის კლასიციზმი. ყოველი მემარცხენეს მუშაობა მხოლოდ ამ კლასიციზმისაკენ მიემართება.

ჩვენი მხატვრობის განვითარებისათვის კაკაბაძის მუშაობას მაშინ ექნება რეალური მნიშვნელობა, თუ ის გაარღვევს ევროპაში აღზრდილ ვიწრო ესთეტიურ მსოფლმხედველობას და თავის მხატვრულ კულტურას დაუკავშირებს ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ სინამდვილეს და მუშათა ფსიქოლოგიურ შეგნებას. *)

ბენო გორდეზიანი.

---

*) გამოფენისათვის მხატვარის მიერ გამოცემულია კატალოგი—დეკლარაცია, რომლის მეტად საინტერესო დებულებების განხილვა ამ მცირე წერილში ტექნიკურად მოუხერხებელია.

ბ. გ.

სამასი ვაგონი ფართალი

ამიერკავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, მიმდინარე წლის მე-3 კვარტალის ანგარიშში ამიერ-კავკასია მიიღებს 300 ვაგონ ფართალს.

აქედან კოოპერატიული ორგანიზაციები მიიღებენ 240 ვაგონს და სხვა სახის სავაჭროები 60 ვაგონს.

კოოპერაციის ხაზით ეს 240 ვაგონი განაწილდება შემდეგ კოოპერატივებს: სატრანსპორტო კოოპერაციას—15 ვაგონი, მუშათა კოოპერაციას (თბილისის, ბაქოს და ერევნის)—75 ვაგონი, საერთო სამოქალაქო კოოპერაციას („ზაკთიუზის“ ხაზით)—150 ვაგონი.

ამ 150 ვაგონიდან მებამბეობის რაიონებისათვის გამოყოფილია 15 ვაგონი, რომლიდანაც აზერბეიჯანის მებამბეობის რაიონებში განაწილებული იქნება 10 ვაგონი, სომხეთის—2, ნახიჩევანის—2 და საქართველოს მებამბეობის რაიონებს შორის—1 ვაგონი.

დანარჩენ 135 ვაგონიდან 9,5 ვაგონი მიეცემა ა.-კ. სამხედრო კოოპერატივს „მეომარს“, აზერტიფაკს—41,75 ვაგონი, ჰაიკოოპს—20,25 ვაგონი, ნახტიფაკს—4.75 ვაგონი, აფხაზკავშირს—6 ვაგონი, ცეკავშირს—52,75 ვაგონი.

ცეკავშირი 52,75 ვაგონს გარდა კიდევ მიიღებს „ტექსტილტორგი“-დან 8 ვაგონ ბამბეულს.

ამასთან ერთად ცეკავშირი მე-3 კვარტალში მიიღებს ბაქოს ნარმას 4 ვაგონის რაოდენობით.

ბამბეულის ქსოვილის მომარაგებასთან ერთად ცეკავშირი აწარმოებს ტილოს ქსოვილების დაკვეთას. ჯერ-ჯერობით ცეკავშირმა შესძლო მხოლოდ მე-3 კვარტალისათვის 2 ვაგონ ტილოს ქსოვილების შეძენა.

ამრიგათ, ცეკავშირი მიმდინარე წლის მე-3 კვარტალის ანგარიშში სულ მიიღებს და თავის ძირითად კოოპერატივებს შორის განაწილებს დაახლოებით 66 ვაგონ ფართლეულს.

ცეკავშირმა გეგმის გარეშე კიდევ შეიძინა „მოსკოპრომსოიუზისაგან“ 6 ვაგონი თეთრეული, რომელიც მიღებულ იქნება აგვისტომდე.

წელს ცეკავშირი გეგმის ფარგლებში სავსებით უზრუნველყოფს ძირითად კოოპერატივებს, და ადგილი აღარ ექნება იმ კრიზისს ფართლის ბაზარზე, რომელსაც ადგილი ჰქონ და მე-2 კვარტალში.

სასამართლო

კომბინატორები საფართლო მაღაზიაში

„ტექსტილტორგ“-ის 1 საფართლო მაღაზიაში 1926 წელს საარაკო ამბები ხდებოდა.

რუბენ პოპოვმა, ამ მაღაზიის ყოფილმა მოლარემ, სწორედ ამ ხანებში მოიპოვა პოპულარობა კერძო ვაჭრებში და სპეკულიანტებში.

პოპოვს უშუალო კავშირი ჰქონდა კერძო ბაზართან. ამ კავშირის განმტკიცებელი იყო მისი კარგი მეგობარი—სპეკულიანტი ვინმე „რიჟა“.

მოლარეს ძალიან „ებრალებოდა“ კერძო ვაჭრები, რომელთაც ფართლეულობაზე უარს ეუბნებოდნენ მაღაზიაში და ხელცარიელს უშვებდნენ. ეს თანაგრძნობა ვაჭრებისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა რუბენში მას შემდეგ, რაც სალაროდან ფულების „გადაყოლება“ დაიწყო მან.

პოპოვი შეუთანხმდა ნოქრებს ვახტანგ წამალაშვილს, არტაშ ზარინიანს, ი. ეგანოვს და კარახანოვს, რომელთაც გააცნო „რიჟა“, როგორც მეტად საიმედო და დახელოვნებული პირი ფართლეულის გასაღებაში.

დღე ისე არ გავიდოდა, რომ „რიჟა“ დატვირთული არ წასულიყო ფართლეულით.

ნოქრები გამოსწერდნენ ჩეკს, მოლარე რუბენ პოპოვი დაჰკრავდა ბეჭედს წარწერით: „გადახდილია“.

რიჟა გაექანებოდა ბაზრისაკენ, გაყიდდა ორმაგ ფასებში ფართლეულს და მიღებულ ფულს ძმურად ინაწილებდნენ ყველანი.

იყო ქეიფი დაუსრულებელი. ფული უხვად ჰქონდათ კომბინატორებს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მიკიტნებთან ანგარიშის გასწორებაში.

დაიბადა ეჭვი, რომ ნოქრები ვერ სდგანან თავის სიმაღლეზე და ისინი გადაჰყავთ კონტროლიორებათ. პოპოვი რჩება გულდაწყვეტილი ამხანაგების დაშორებით. სალაროს ფული აკლია. მოსალოდნელია რევიზია... რა ქნას დაობლებულმა მოლარემ?!.

— ნუ გეშინია! არ დაეცე სულით!—ამხნევებს „რიჟა“..: ფულს გავაჩენ ეხლავე.

და მართლაც არაერთხელ გამოუყვანია „რიჟას“ მოლარე კრიტიკულ მდგომარეობიდან. არ დაკლებია ნამაგარი.

ფართოდ ცხოვრებამ გაამსუნაგა მოლარეც და მისი ნოქრებიც. როცა ფართლეულის „გასაღება“ ძნელი გახდა, მათ მოიგონეს ახალი ხერხი.

უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ მარკები იყიდებოდა მაღაზიაში. ნოქრები ხელში იგდებდნენ გაყიდულ ძველ მარკებს და აბარებდნენ მოლარეს, რომელიც ხელმეორედ ჰყიდდა მარკებს. შემოსული ფული, პირობის თანახმად, საზიარო იყო.

ასე ხდებოდა მანამდე, სანამ მახეში არ გაებნენ. გაება „რიჟაც“, რომელიც აღმოჩნდა სპეკულიანტი აბელიანცი.

კომბინატორები გუშინ გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ.

მოლარეს და ნოქრებს მიესაჯათ თითო წლით თავისუფლების აღკვეთა, სპეკულიანტ აბელიანცს—6 თვით.

—:—

დიდი თანხებით „დატვირთული“

ალექსანდრე ლუკასის ძე ჟორდანია 1923 წლიდან 27-დე დასავლეთ საქართველოს სანოტარო განყოფილების გამგე იყო.

1927 წლის ნოემბერში სასამართლოს და ნოტარიატის რეორგანიზაციის შემდეგ ჟორდანია გადაყვანილ იქნა ქუთაისის 1 უბნის სანოტარო კანტორის გამგეთ.

ყოვლად უმწიკვლო პიროვნებათ ითვლებოდა ჟორდანია ხალხის თვალში და ეხლაც თავის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იქნებოდა, რომ რევიზორებს არ დაეწყოთ ძველი დავთრების ქექვა, არ გადაესინჯათ თავიდან-ბოლომდე ჟორდანიას ნამოღვაწევი.

პირველმა რევიზიამ აღმოაჩინა დანაკლისი 2.000 მანეთამდე. მეორეჯერ, რევიზიის მოხდენის დროს ამ თანხას ცოტა კიდევ მოემატა და გახდა 2.155 მანეთი.

— სად არის ეს თანხა?—ეკითხებიან ჟორდანიას.

— მეც მიკვირს! რა მოგახსენოთ... ერთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. დიდად დატვირთული ვიყავი მუშაობით. კარგა მოზრდილ თანხებთან მქონდა საქმე. იქნება სადმე ანგარიშებში შეცდომა, ან იქნებ ვინმეს გადავაყოლე,—თავს იმართლებდა ალექსანდრე ჟორდანია.

ჟორდანიას „არგუმენტი“ არ გამოადგათ საგამომძიებლო ორგანოებს, „დიდად დატვირთული“ ჟორდანია განტვირთეს ყოველგვარ თანამდებობიდან და მოათავსეს იქ, სადაც გამფლანგველები „ისვენებენ“.

საქმე გაარჩია ქუთაისის მაზრის სასამართლომ.

ალექსანდრე ჟორდანიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და უფლებების აყრა 3 წლის ვადით.

—:—

ბნელ ოთახში

ამბავი მოხდა სოფელ სირაჭონში (კორცხელის თემი, ზუგდიდის მაზრა).

ბათო ჯალაღონია ვერ იყო კმაყოფილი თავისი ცოლის საქციელით. სწამებდა მას ღალატს. ეჭვი ჰქონდა მეზობელზე—ბაჟა ჯალაღონიაზე. ჩხუბიც მოუვიდა უკანასკნელთან ამ ნიადაგზე, მაგრამ მალე შეარიგეს და საქმე მშვიდობიანად გათავდა.

ორ ნოემბერს ერთად ქეიფობდნენ ერთ ოჯახში ბათო და ბაჟა ჯალაღონიები. შეზარხოშდნენ კარგად. გამოეთხოვნენ ერთმანეთს და თავ-თავის სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

ღამეა. ბაჟას სახლში არ უნდა დარჩენა. ბათოსას უნდა წავიდეს. იქ არის მიჯაჭვული მისი სული და გული.

ბაჟამ გაიხურა კარი და გავიდა გარეთ. სახლში დაიბარა: „მალე მოვალ, ბათოსას მივდივარო“.

ბათოს უკვე სძინავს, მის ცოლს კი ჯერ არ ეძინება. ოთახში ბნელა.

ბაჟამ ფეხაკრეფით გაალო კარი. მან იცოდა როგორ იღებოდა კარი. უბრალო ხის კეტების გადაწევა იყო საჭირო. ეს ბათოს ცოლისაგან ისწავლა.

ფეხის ხმა გაიგონა ქალმა. იცოდა, რომ ბაჟა იქნებოდა. შეშინდა ქალი. უნდა გაიგოს სძინავს, თუ არა ქმარს. ჰკრა ფრთხილად მუჯლუგუნი. დარწმუნდა, რომ არ სძინავს მაგრამ, ქალმა დაიწყო ლაპარაკი ბაჟას გასაგონათ. უნდა აცნობოს, რომ გაქცევა სჯობს... ქმარმა გაიღვიძა.

ბათომ გაიგონა ფეხის ხმა. წამოვარდა ზეზე. წამოავლო ხელი ნაჯახს. მოუქნია ბნელაში და რამოდენიმეჯერ დაარტყა ბაჟას.

სასიკვდილოდ დაჭრილი ბაჟა დაეცა ტახტზე. ბათომ არ იცის ვინ არის, ვინ შეიჭრა მის ოთახში.

უძახის თავის ძმას, რომელიც მეზობლად სცხოვრობს.

— მიშველე, სანთელი მოიტანე, ვიღაცა თავს დამესხა და მგონი შემომაკვდა კიდეც!

მოვიდნენ მეზობლები და ბაჟა ჯალაღონია ნახეს მოკლული.

ბათო ჯალაღონია გაასამართლა ზუგდიდის მაზრის სასამართლომ და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა.

ბერ.

შემთხვევები

ლომის მოწამვლა

გუშინწინ, ღამით, სამხეცეში (პლეხანოვის პროსპექტი), მოკვდა აფრიკის ლომი „დუნკან“-ი.

გუშინ, დილით ექიმმა-ექსპერტებმა მოახდინეს „დუნკან“-ის გვამის განკვეთა. აღმოჩნდა, რომ ლომი მოწამლულია.

როგორც ირკვევა, ლომის მოწამვლა შემდეგ პირობებში მომხდარა:

ამ რამოდენიმე ხნის წინედ „დუნკან“-ი ავად გახდა. ვეტერინარმა—ექიმმა მას გამოუწერა წამალი. წითელი ჯვრის აფთიაქის (ჟორესის ქ.), თანამშრომლებმა შეცდომით წამლის მაგიერ დაამზადეს შხამიანი ნივთიერება, რამაც გამოიწვია ლომის სიკვდილი.

გუშინ მთელი საგამომძიებლო მასალა გადაეგზავნა პროკურორ კ. ბეხელიას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

ლომი შეფასებულია 8.000 მანეთად.

ავტომობილის ქვეშ

გუშინწინ ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი მიხეილ აბრამოვი შაუმიანის ქუჩაზე № 40 სახლის პირდაპირ) დაეჯახა 13 წლის ტაკიაშვილს (მცხ. შაუმიანის ქ. № 36), რომელიც მოჰყვა ავტომობილის ქვეშ და მძიმედ დაშავდა. ბავშს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

მოკვლის განზრახვა

კვირას, 6 მაისს, ღამით მოქ. ნიკო ჯვებენავა მოკვლის მიზნით თავს დაესხა მასწავლებელს გიორგი ხუროძეს (მცხ. კლარა ცეტკინის ქ. № 204). თავდამსხმელმა რევოლვერის ლულით შეამტვრია ხუროძის ბინის კარები და ის იყო სისრულეში უნდა მოეყვანა თავისი განზრახვა, რომ უცებ რევოლვერი გაუვარდა ხელიდან და ჩავარდა ხუროძის ოთახში. ჯვებენავა იძულებული გახდა მიმალულიყო.

ცოტა ხნის შემდეგ ხუროძეს თავს დაესხნენ ჯვებენავას მეგობრები—ძიძიშვილები, რომლებმაც წაიღეს რევოლვერი და მიიმალნენ.

თავის მოწამვლა

გუშინ, დილით, ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა სონია სიმონის ასულმა სიზოვაშვილმა (მალაკანთა ქ. № 11). სიზოვაშვილი ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

დაჭრა

გუშინ, დილით, ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით მძიმედ დაჭრა მოქ. შაქრო ვახოს ძე ჩხირაძე (მცხ. გოგებაშვილის შესახვევი № 12)

ქურდობა

გუშინ, დღისით, გაქურდეს თამარ ვარდოსანიძის ბინა (გრიბოედოვის ქ. № 26), წაიღეს 340 მანეთის ნივთები;—გაქურდეს გარაჟი (პლეხანოვის პროსპექტი № 61), წაიღეს სხვადასხვა ხელსაწყოები, ამ საქმეზე დააპატიმრეს პავლე იოსების ძე ქუთათელოვი;—გაქურდეს სერგო ანისიმოვის ბინა (კალინინის ქ. № 17), წაიღეს 100 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ქტლიკ მელქონოვის ბინა (კამოს ქ. № 68), წაიღეს 500 მანეთის საოჯახო ნივთები.

რკინისგზებზე

ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირება

ბრძოლა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებისათვის ამიერ-კავკ. რკინისგზებზე მტკიცედ სწარმოებს. აკრძალულია არსებულ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით განაწილებულ კრედიტების ხელმეორედ განაწილება. სასტიკ თვალყურს ადევნებენ, რათა ადმინისტრატიულ, საინჟინრო და საკონტორო პერსონალის შტატები არ გადიდდეს. შვებულებაში მომავალი თანამშრომლები არ შეიცვლებიან უმუშევრებით. შვებულებაში წასულებს შეცვლიან განყოფილების დანარჩენი მოსამსახურენი დამატებით გასამრჯელოს გარეშე.

გზის გამგეობის განსაკუთრებულ ნებართვის გარეშე აკრძალულია ახალ თანამდებობათა შემოღება და ჯამაგირების გადიდება.

ამასთან ერთად დაწესებულია სასტიკი კონტროლი მივლინებებზე. ზედმეტი მივლინებები დაშვებული არ იქნება. ამ მიზნით შემუშავებულია სპეციალური წესი იმის შესახებ, თუ როგორ და რა შემთხვევებში უნდა გაიგზავნოს თანამშრომელი მივლინებაში.

აკრძალულია სადგურებში და საკუჭნაოებში მასალების ისეთი მარაგის შენახვა, რომელიც აღემატება თვიურ მოთხოვნილებას.

განათლების საქმისათვის

ამიერ-კავკ. რკ. გზების განათლების საბჭოს მიერ წარდგენილ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით, სატრანსპორტო განათლების ცენტრალურმა სამმართველომ მიმდინარე წლისათვის დამატებით გადასდო 216.000 მანეთი.

ამ თანხიდან 74.000 მანეთი დაიხარჯება სასკოლო აღმშენებლობაზე.

ახალი ჩიხი

„რიონჰესი“-სათვის სამსახურის უკეთ გაწევის მიზნით, ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ ქუთაის-გელათის შუა მოაწყო და გახსნა რკინის გზის ახალი ჩიხი

13.352 მანეთის ზარალი

შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა ათი საქმე გზებზე მომხდარ შემთხვევების შესახებ. როგორც გამოირკვა ყველა ამ შემთხვევებს გზისათვის მიუყენებია 13.352 მანეთის ზარალი.

დამნაშავე რკინისგზელები დასჯილი არიან ადმინისტრატიული წესით.

დოღი

საქ. ცხენთსაშენის სამმართველო კვირას, 13 მაისს, იპოდრომზე მართავს დიდ დოღს, რომელზედაც გათამაშებული იქნება საქ. სახალხო კომისართა საბჭოს დიდი ჯილდო,—500 მანეთი. გასარბენ დისტანციად დანიშნულია 3 კილომეტრი.

შემდეგ კვირას, 20 მაისს დანიშნულია ამიერკავკასიის დერბი, ჯილდო—1000 მანეთი. დერბში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ცხენები.

ამავე დღეს გაიმართება ცხენთსაშენის ახალგაზრდა ცხენების პარადი.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 9 მაისი

დღეს, 9 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორიგი ამბავი—განმარტება ქართულ ენაზე.

ახალგაზრდობა და რელიგია—მოხსენება ქართულ ენაზე.

ბუზები და სხვა მწერები, როგორც სნეულებათა გამავრცელებელნი და მათთან ბრძოლა—ჯანსახკომის საუბარი ქართულ ენაზე.

საუბარი რადიო ტექნიკაზე—ქართულ ენაზე.

პასუხი რადიო-მსმენელთა წერილებზე.

ა.-კ. სამრეწველო და სასურსათო საქონლის ბაზრის მდგომარეობა—მოხსენება რუსულ და ქართულ ენებზე.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი და ტრანსლიაცია.

ამ.-კავ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 9 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გაგზავნის შემდეგი პროფესიის უმუშევრებს.

კვალიფიციურ მუშათა პირველი სექციიდან: სიმონ ოგანეზოვი; ელიოზ შავგულაშვილი, კუკულაძე; ჯანჯღავა; კობახიძე; ზიბილაური; საიანოვა; ლომინაძე; მდივნიშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: სიმონ ცირეკიძე; ვლადიმერ კიკნაძე; დავით შარვაშიძე; ანდრო დარახველიძე; მიხეილ სიხარულიძე; ნინო ბაღიშვილი; ტიგრან ვართანოვი; ალექსანდრე კეკელიძე; ალექსანდრე მარშოვი; არტემ ჯალიანი; გრიგოლ ბაგრამოვი; მელიქ ახვერდოვი; მიკირტიჩ ზაქინოვი; დიმიტრი სანიკიძე; ნერსეს ბანოიანი და არამ მარკოსიანი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ივანე ესაკია, რუსტემ ჩიჩოვანი; ოგინეზ ბეგიჯანოვი; ალექსი თარიელი; ანდრო იაკობიანი; სპირიდონ ხოშტარია; ნიკოლოზ იფიჩოვი; მამედ-იუსუფ-ჯანგიროვი.

რკ. გზელთა მეშვიდე სექციიდან: ალიბეგაშვილი, თათარაშვილი; მიხეილ ლობჟანიძე, ვასო არამიშვილი და ალექსეევი.

მედსექციიდან: სირანუშ მეგრაბიანი ავეტის სარქისოვი; ეფროსინე ლუკა. ამასთანავე სექციას მიღებული აქვს მოთხოვნილება საექიმო პერსონალზე აზერბაიჯანიდან, ზუგდიდიდან, ახალქალაქის, შორაპნის მაზრებიდან და სურამიდან.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 28

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. ავტომობილების მოძრაობის თაობაზე არსებული პარიზის საერთაშორისო კონვენციის თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ უცხო მოქალაქეთა ავტომობილებისა და მოტოციკლეტების თვითმოძრავი ეკიპაჟების ადგილობრივი გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განთავისუფლებულ იქნეს ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ადგილობრივი ფინანსების დებულების ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. კან. კრებ. 1926 წ. №8, მუხ. 697) 57 მუხლისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის თებერვლის 27-ის თარიღისა და 24 №-ის დადგენილების (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კან. კრებ. 1927 წ. № 2, მუხ. 31) მე-3 მუხლის მიხედვით თვითმოძრავ ეკიპაჟებზე დაწესებული ადგილობრივი გადასახადისაგან იმ უცხო მოქალაქეთა ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომელნიც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან და უცხოეთის საავტომობილო საზოგადოების წევრები არიან,—თანახმად ავტომობილების მოძრაობის შესახებ არსებული პარიზის საერთაშორისო კონვენციისა (ს.ს.რ.კ. კან. კრებ. 1926 წ. № 23, მუხ. 152—153),—არა უმეტეს 12 თვის განმავლობაში დღიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოსვლისა, უკეთუ, ამასთანავე, ს.ს.რ.კ. მოქალაქეთ მიცემული აქვთ სათანადო შეღავათი იმ სახელმწიფოს კანონებით, რომლის მოქალაქეებადაც აღნიშნული უცხოელები ითვლებიან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ.—**ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**შ. მათიკაშვილი.**

1928 წლ. მაისის 4.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს, 10 მაისს, საღამოს 7 საათზე ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის შენობაში (ოთახი № 91) შესდგება სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელთა მეცადინეობა.

დასწრება აუცილებელია.

—:—

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში სასწავლად გაგზავნის საკითხთან დაკავშირებით, შეიარონ საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში:

დვალიძე; ასლამაზოვი; მგელაძე; კერესელიძე; სადგურიშვილი; როსტიკა; სარაული; ზამბახიძე; მამაცაშვილი; კანდელაკი; შეიკინი; ლისენკო; ახაბლიძე და ჯვებენავა.

—:—

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს 9 მაისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან: ვლადიმერ ნესტორის ძე კვირკველია; კირილე მათეს ძე გრიგალაშვილი; ვალიკო მიხეილის ძე თოლორდავა; ხარიტონ მუსესეს ოღლი ბაბაევი; ცაცა ნიკოს ძე ენუქიძე; გიორგი არშაკის ძე არუთინოვი; რუბენ ანტონის ძე პეტროსიანი; სერგო მელიტონის ძე გოგოლია; მიხეილ გიორგის ძე მეგრელიძე; ივანე კ. ხურცილავა; გრიგოლ გიორგის ძე მაჩაბელიძე; ვარლამ ალექსის ძე გოგიძე; შალვა პავლეს ძე კილურაძე; პეტრე ზენობიოსის ძე ქართველიშვილი; ბახვა თომას ძე ომაროვი; სიმონ გერასიმეს ძე გრიგოლია; ერასტი ილარიონის ძე ტორიტაძე; კონსტანტინე საბას ძე ვაშაკიძე; ექვთიმე ვასილის ძე ბაკურაძე; ივანე დანიელის ძე გუგუშვილი; ალექსანდრე ალექსის ძე კორძაძე; მიხეილ მიხეილის ძე გეტმანსკი; ნიკოლოზ მაქ. ძე სტეფანოვი; ვასილ გიორგის ძე ბურჭულაძე; ვასილ ვასილის ძე ბოგდანოვი; იაკობ გიორგის ძე დათუნოვი; ანტონ ივანეს ძე ბაბლუმოვი; ეფრემ ალექსანდრეს ძე სიამაშვილი; ალბერტ ემანუილის ძე კიბლერი; მაკარი მოსეს ძე გურინშტეინი; ერასტი ჩოლოყაშვილი; კალისტრატე ჯიქია; სერგო მიხეილის ძე პრიხოდკოვი; ფილიპე მანუჩარის ძე პანტიური; შალვა ზაქარიას ძე ჩიტაშვილი; ირაკლი კარაზბედიანი; არტემ თადეოზის ძე დოდაევი; ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ათოევი; ზაქარია რაფაელის ძე გოგიჩაშვილი; აპოლონ გრიგოლის ძე რობაძე; გაიკ აკოფის ძე გალუსტოვი; სერგო არტემის ძე ვართანოვი; პლატონ პლატონის ძე სარიევი; აკაკი ალექსის ძე ფანცულაია; კონსტანტინე ანდრიას ძე ფრიცხავა; ილ მიხეილის ძე კონიაკი; ილია თომას ძე დიმიტრიევი; ილიკო პლატონის ძე ყურესა; აკაკი ლუკას ძე ენუქიძე; ალექსანდრე იაკობის ძე ოგანეზოვი; ამაზასპ მოსეს ძე ეგიაზაროვი; გრიგოლ სოლომონის ძე კორძაიავი; ალექსანდრე პეტრეს ძე სკვორცოვი; მიხეილ გერასიმეს ძე სარქისოვი; გიორგი დავითის ძე კანდელაკი; სილიბისტრო ავეტის ძე სიხარულიძე; გრიგოლ აკოფის ძე ტერ-ოვანესიანი; ზაქარია აბრამის ძე სოლოშვილი; დიმიტრი ალექსანდრეს ძე შახნაზაროვი; ვასილ დიმიტრის ძე ბურძგლი; გიორგი იოსების ძე გულიაშვილი; კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ტოფაძე; სერგო პეტრეს ძე ფილიპოვი; გიორგი ქრისტეფორეს ძე ხუმარიანი და შაჰვარშ ნიკიტის ძე არაბაჯიანი.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ 7 მაისისათვის დანიშნული პარტიულ ორგანიზაციათა ჯგუფური კრებები რაიკომების საინფორმაციო მოხსენებებით არ შესდგა პარტიის წევრთა გამოუცხადებლობის გამო.

ამასთან დაკავშირებით, ჯგუფური კრებების მოწვევა დანიშნულია დღეს, 9 მაისს შემდეგი წესით:

1-ლი ჯგუფი. დღეს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბის შენობაში შემდეგი უჯრედების შემადგენლობით: პირველი და მეხუთე სტამბების; ლიტოგრაფიის; მილიციის; სახალხო კვების; საქართველოს ფინსახკომის; საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარიატის; თბილისის აღმასკომის; საქ. სახკომსაბჭოს; საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის, საქართველოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს; სოფლის კავშირის; მიწსახკომის; ფოსტის; სახელმწიფო ბანკის; გემოკავების კავშირის; სახელგამის; შინსახკომის; პოლიტექნიკუმის; სახ. უნივერსიტეტის; ცენტრ. პარტსკოლის; სამხატვრო აკადემიის; ქართული მუშფაკის; სახ. კონსერვატორიის; რუსთაველის თეატრის; განსახკომის; მასწავლებელთა; ტელეგრაფის; საბინაო კოოპერატიული კავშირის უჯრედები. (მოხსენება ქართულ ენაზე ამხ. ცხოვრებაშვილი).

მე-2-რე ჯგუფი. დღეს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში—შემდეგი უჯრედების შემადგენლობით: ლიტოგრაფიის; სახკომსაბჭოს; პოლიგრაფტრესტის სკოლის; „საშენი“-ს; მეხანძრეთა რაზმის; სამხედრო-სამომხმარებლო კოოპერაცია „მეომარი“-ს, საოლქო კავშირ-გამზიდველის; რუსული მუშფაკის; კამოს სახ. საქალაქო-სატაბიროო სასწავლებლის; მეორე ათასეულის; სახელმწიფო პოლიტექნიკურის ინსტიტუტის; „ხლებოპროდუქტის“, სახელმწიფო ბანკის; სახელმწიფო ოპერის; ამიერ-კავკ. ფინსახკომის; ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის; „კრასნი ვოინ“-ის; გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკის; ამიერ-კავკ. წითელარმიელთა ლაზარეთის სტამბის; „ტემზა“-ს; ამიერ-კავკ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს; ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის; „მუზპრედი“-ს; მშენებელთა; ამ.-კავკ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს; სახელმწიფო საგეგმო კომისიის; ამიერ-კავკ. სახელმწიფო დაზღვევის; ცეკავშირის; სომხეთის მუშფაკის; ПППШ; ЭСС; მებოსტნეთა; ტელეფონის ქსელის; რეზინოტრესტის; ავტორის; ქარხნების; სამაჩინო ტრესტის; პარტკაბინეტის; ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს; ფოლაქების ფაბრიკის; სახელმწიფო ელექტრო-ტრესტის და ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის უჯრედები. (მოხსენება რუსულ ენაზე—ამხ. მირზოიანი).

უჯრედებს წინადადება ეძლევათ მიიღონ სათანადო ზომები, რათა პარტიის წევრებს შეატყობინონ ჯგუფური კრებების მოწვევის შესახებ, განსაკუთრებით კი პარტიულ აქტივს.

—:—

დღეს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივის სხდომა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქ. კაკაბიძეს; ალ. ცინცაძეს; ვ. სირაძეს, პლატონ ჰელიძეს; ქ. კობახიძეს; ალ. ქუთნაძეს; ირ. ბელქანიას გამოცხადდნენ დღეს 12 საათზე ბიურო-კოლექტივში.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო, ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო შემდეგი:

ჩემმა წერილმა საქართველოს ეკონომიკის საკითხებზე („საქ. ეკონომისტი“ № 1, 1928 წ.) გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში გაუგებრობა და მითქმა-მოთქმა. ამის მაჩვენებელია სხვათა შორის მოქ. ყარიბის წერილები „ახალი გზის“ უკანასკნელ ნომერში.

გამოდის, ვითომ, მე მინდა, რომ საქართველო გადაიქცეს ნედლეულობის სფეროთ, ე. ი. კოლონიათ. ამისთანა უცნაური გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა, რომ მე სავსებით, გამოუკლებლად და შეუსწორებლად ვიზიარებ თანამედროვე ეკონომიურ პოლიტიკას მთელი კავშირის ინდუსტრიალიზაციის შესახებ ისე, როგორც ეს გატარებულია [illegible] თველი პარტიის და საბჭოთა—ხელისუფლების დადგენილებებში. [illegible] სალიზმის ხაზს, რომელსაც არა აქვს რა საერთო ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკასთან და ჩემის აზრით ამ პოლიტიკის გასატარებლად ერთად-ერთი გზა არის რაიონების სპეციალიზაცია და სამეურნეო შრომის განაწილება, როგორც ეს ნაჩვენებია ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის თეზისებში. გადაჭრით უარყოფილ უნდა იქნეს ყოველივე ის, რაც ეწინააღმდეგება ამ ხაზს.

ხ. დევდარიანი.

7 მაისი, 1928 წ.

P. S. ვთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ჩემი განცხადება.

ხ. დ.

ს. კ. პ. გორის სამაზრო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება
ამხ. ნიკო კეჩხუაშვილის
ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება მოხდება 10 მაისს, ხუთშაბათს, 4 საათზე. ნ. 1062

გორის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მწუხარებით აცხადებს, რომ 7 მაისს, სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა, გორის მაზრის აგრონომი
ნიკო (ნიკოლოზი) გრიგოლის-ძე კეჩხუაშვილი
გამოსვენება ხუთშაბათს, 10 მაისს, 4 საათზე, ქ. გორში. ნ. 1062

ქალაქ გორის საბჭო მწუხარებით აღნიშნავს საბჭოს რიგებში მყოფ აქტიურ და ენერგიით სავსე
ამხ. ნიკო კეჩხუაშვილის
ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება ქ. გორში, 10 მაისს, დღის 4 საათზე. ნ. 1062

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გორის მაზრის აგრონომ
ნიკოლოზ კეჩხუაშვილის
ტრაგიკულად დაღუპვას, 7 მაისს, მოვალეობის ასრულების დროს.
2306

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის აგრონომები და სპეციალისტები გულითადი მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 7 მაისს მოვალეობის ასრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა გორის მაზრის აგრონომი
ნიკოლოზ კეჩხუაშვილი
2307

ღრმად დამწუხრებული მეუღლე თამარა შვილებით: გოგლიკო და სანდრიკო, და ვერა კეჩხუაშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ საყვარელი და დაუვიწყარი, პირველის მეუღლის, მეორეების მამის და მესამესი ძმის
ნიკოს
ტრაგიკულად დაკარგვას. გამოსვენება ქ. გორში, 10 მაისს, ნაშუადღევის 4 ს. ნ. 1062

საქ. მ | გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის თანამშრომლები ამით აუწყებენ ამხანაგებს და ნათესავებს, რომ ა. | წ. 8 მაისს დილის 8 საათ. გარდაიცვალა თანამშრომელი
გიორგი პეტრეს ძე ჩუბინიძე
გამოსვენება საბურთალოდან (საკუთარი ბინა) 10 მაისს 3 საათზე. 2308

თავზარდაცემულნი დედა მატრონა, მამა კონსტანტინე, და ნინო და ძმა ნიკოლოზ სანოვები, ბებია მაკრინე, დეიდა მაშო და ბიძა კონსტანტინე ლორთქიფანიძე ოჯახობით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი
თამრიკო
დასაფლავება ქ. ქუთაისში. ნ 1060

შვილები ნ. ფ. და ბ. ფ. ტელიჩკოები, ქალიშვილი ნ. ფ. ტელიჩკო (მჟავანაძე), სიძეები: გ. ა. მჟავანაძე და ნ. გ. ჩახავა შვილებით, მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 7 მაისს, ღამით გარდაიცვალა საყვარელი დედა, სიდედრი და ბებია
არიამ ბარისის ასული ტელიჩკო (ხუცურიძე)
გამოსვენება 9 მაისს, ოთხშაბათს, დღის 4 საათზე, ბინა, პასტეროვის ქ. № 5. დაკრძალვა იმავე დღეს, კუკიის სასაფლაოზე. 2287

ლავრენტი ივანეს ძე სოხელია ღრმა მადლობას უძღვნის ყველა იმ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომელთაც გაიზიარეს განუსაზღვრელი მწუხარება ძვირფასი მეუღლის
ელენეს (ელიკოს)
დაკრძალვის დღეს, როგორც დასწრებით, ისე დეპეშით. 2300

დამწუხრებული ბარბარე ალექსის ასული, თამარ ზაქარიას ასული და პატარა არიკო სალარიძეები აუწყებენ ნათესავთ და საზოგადოებას, რომ მათი დაუვიწყარი შვილის, ქმრის და საყვარელი მამის, დამცველთა კოლეგიის წევრის
ვლადიმირ არჩილის-ძე სალარიძის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მიცვალებულის საფლავზე, ქ. სურამში. ხუთშაბათს, 10 მაისს, დღის 4 საათზე. 2311

ღრმად დამწუხრებული შვილები: გრიგოლ და მიხეილ მიხეილისძენი და რძალი თამარი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 6 მაისს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი დედა
მარიამ იაკობის ასული ძიძიგური
სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, ელისაბედის ქ.№ 90 დაკრძალვა მოხდება 10 მაისს. 2305

დამწუხრებულნი დედა ნინო, დები: მატრონა, მარო და ლიუდი, ძმები: იორდანე, გერონტი და ვასო, სიძეები: ალექსანდრე გაგუა და სამუელ ანდღულაძე შვილებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფასი
ნინა ივანეს ასული დონაძის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კამოს საავადმყოფოდან, ოთხშაბათს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა შაბათს, 12 მაისს, სოფ. ლეხაურში 2310

ღრმად დამწუხრებული მეგობრები კარპეზ, ნიკო, ელისე, ალექსი და პოლა დონაძეები კატუშა და ანიჩკა კონტრიძენი, ილიკო კარეგიშვილი, ილიკო ცულაძე, ვასო ჯაფარიძე, ლადო კალანდარიშვილი და კოლია ურუშაძე აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს მათი ძვირფასი მეგობრის
ნინა ივანეს ასული დონაძის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კამოს საავადმყოფოდან ოთხშაბათს, 9 მაისს, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა შაბათს, 12 მაისს, სოფ. ლეხაურში.

აპოლო
არფასტო
სოლეი
ოდეონი
დარბაზი
პროლეტარი ავლაბარი

სახკინმრეწვის კინოები

მხატვრული სურათი მეორე სერია **„ბორა“**
დადგმა—კ. მარჯანიშვილის. ოპერატორი—ს. ზაბოზლაევი
ელენეს გატაცება და ტროიას დაცემა 3 და 4 სერია ერთად
მსოფლიო შედევრი **მხდალი**
უკანასკნელად **ვარიეტე**
ანონსი: ამ დღეებში უცხოეთის ორიგინალური კომედია „ორი ქმრის ცოლი“ 0—4

მალე პარიზის უკანასკნელი გამოშვება
ორი ქმრის ცოლი
კინო თეატრ **აპოლოში**
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს
ნ. 1059

ხონის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ბ. ერისთავი
ამით აცხადებს, რომ მის მიერ 15 მაისს 1928 წ. დღის 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება ქალ. ხონში 1 უბანში მოქ. ბიქტორ კოსტას ძე ოკუჯავას ქონება სახელდობ: ერთი ხის სახლი ორი განყოფილებით, წინ აივნით ერთი თვალი ჰერით და იატაკით, მეორე კი უჰერო და უიატაკო, ყავრით დახურული; ერთი ხის სამზარეულო, დახურული ნახევარი კრამიტით და ნახევარი ყავრით; ერთი სახიმინდე ქვიტკირზე დგმული, კრამიტით დახურული; ერთი სასადილო მაგიდა, ერთი რგვალი მაგიდა, ერთი კედლის შკაფი, აღნიშნული ქონება შეფასებულია 160 მანეთად და იყიდება მოქალ. მინადორა დანგაძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ხონის უბნის სახალ. სასამართლოსა 11 თებერვლის 1928 წ. № 283 ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ქონების დათვალიერება შეიძლება ვაჭრობის დროს.
ნ. 1061

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

სია გაზ. „კომუნისტის“ იმ ხელისმომწერთა, რომლებიც არ იღებენ გაზეთ „კომუნისტს“ სწორი მისამართების უქონლობის გამო.

ხელის მომწერის სახელი და გვარი	ხელის მომწერის მიერ მოცემული მისამართი
1. ნიკოლაიშვილი ლეონტი.	მისამართი არ არის
2. ხელაძე მელქის.	ავჭალის № 4.
3. იონათიშვილი.	ელისაბედის № 60.
4. ტაბაძე დავით.	გრიბოედოვის № 16.
5. ქარიაული	რკ. გზ. საავ. რუსთაველის № 3.
6. საჯაია.	გორის შეს. № 2.
7. კარგარეთელი.	ბაქოს ქუჩა № 17
8. კობერიძე.	საბურთალო, სახ. დეკანოზ.
9. კიკაშვილი.	აბულაძის ქუჩა № 15.
10. ასათიანი ოლღა.	სპასკის შესახ. № 7.
11. ჯაფარიძე ვერა.	ლენინის ქუჩა № 38.
12. სარტაძე პავლე.	სვანეთის ქუჩა № 11.
13. ჩიკვაიძე	ვადბოლსკის ქუჩა № 16.
14. ბალაურიძე ანა	რაზბოლის ქუჩა № 17.
15. ჩიხლაძე სერიოჟა.	ასურის ქუჩა № 13.
16. იმნაძე.	ატენის № 6
17. ლომაია შალვა	ატენის № 13.

ზემოთაღნიშნულ ხელისმომწერლებს ვთხოვთ გვაცნობონ თავიანთი სწორი მისამართები.

გაზეთ „კომუნისტის“ ექსპედიცია
მისამ.: კამოს (ყ. დიდი მთავრის) № 68, ტელ. ბ—48.
0—1

ექიმი
ა. დ. პეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9-12 სალ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.
25—1 ტელ. 12—76

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
სნეულებათა
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით წამლობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 12, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ტიგრან იაგორის-ძე თერიხანიანმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის მოსესიანზე შეცვლის. შესახებ.

საერთო და საადმ. ქ | განყ. უფროსი ჯავახიშვილი
მმაჩის ბიუროს გამგ. შარაშენიძე
2297

ქალაქ ბათომის და მისი მაზრის აღმასკომის ადმინგანთან არსებულ მმაჩის ბიურო ამით აცხადებს, რომ მცხოვრები ქალაქ ბათომში, დემეტრეული შესახვევი № 2, დავით ვასილის-ძე ბიბილაშვილს დაბადებიდან 25 წლის, სურს შეიცვალოს თავისი გვარი ბიბილაშვილი გვარი „ბებელი“-თ.

მმაჩის ბიუროს გამგე ქემხაძე.
ნ. 1058

დაჰკარგე: ქ. ხონის ცხრაწლედის დამთავრების ატესტატი გიორგი მოსეს-ძე ბარტაძეს სახელზე, ჩ. გ. 2298

დაჰკარგე კავშირის წიგნაკი № 2842—აპოლონ სვანის სახელზე, ჩ. გ. 2304

დაჰკარგე: მატრიკული № 1183 თამარ ქვლივიძის სახელზე, ჩ. გ. 2312

დაჰკარგე: სახელმწიფო უნივერსიტეტის მატრიკული № 1373 თამარ სიხარულიძის სახელზე, ჩ. გ. (კ)

დაჰკარგე: სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 1581—არამ იაგუბიანცის სახელზე ჩ. გ. 2301

დაჰკარგე თამ. [illegible] 235 მანეთის [illegible] სტეფანია-ძე [illegible] ჰელიძეს ხელმოწერით, ჩ. გ. 2291

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68